„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ *გიორგი ლეონიძე*



# ლიტერატურული მესხეთი


№9 (249)
სექტემბერი 2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეერთე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"




## „შოთაობა" - 2019

### „პოეზიის სახალხო დღესასწაული - შოთაობას" გილოცავთ პოეზიის თაყვანისმცემლებო!

შოთა რუსთაველი უდიდესი მოაზროვნე და გენიალური პოეტი, ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის სიამაყე და მარად სათაყვანებელია. ღვთის წყალობით, ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, აქ დაბადებულიყო და მესხურ მიწას აღეზარდა უდიდესი გენია, რომლის „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიო პოეზიის გვირგვინია და მასში ზედმიწევნითაა ასახული ქართველი ერის სიყვარული უფლის, ქვეყნის და მოყვასის მიმართ.

როგორც დიდი ვაჟა ბრძანებს: - „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი", ასე რომ არ იყოს, ქართველებს ხომ ასეთი სიყვარული არ ექნებოდათ შოთასი... ამ დიდი სიყვარულის მოხვეჭა კი მხოლოდ დიდს ადამიანს, გენიოსს შეუძლია..."

„ვეფხისტყაოსანი" მეგობრობის, სიყვარულის, ტოლერანტობის კლასიკური ლიტერატურული ნიმუშია, რომელსაც ბადალი არ მოეძებნება.

სწორედ ამან განაპირობა, რომ ჯერ კიდევ 53 წლის წინ, - 1966 წელს, ციხე-ქალაქ ვარძიაში, მსოფლიო მასშტაბით, საზეიმოდ აღინიშნულიყო ქართველთა სათაყვანებელი შვილის 800 წლის იუბილე.

შოთას ნაკვალევზე, სწორედ მაშინ დაწესდა „პოეზიის სახალხო დღესასწაული - შოთაობა" და სოფელი რუსთავი ყოველთვის უშურველად მასპინძლობს რუსთაველისა და პოეზიის თაყვანისმცემლებს.

გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ამ უმნიშვნელოვანეს სახალხო დღესასწაულს და გისურვებთ მშვიდობას და ჭეშმარიტ ბედნიერებას, უდიდეს ადამიანურ სიყვარულს როგორც ერისა და ქვეყნის, ასევე საკუთარი ოჯახებისადმი.

**როსტომ მაგრაქველიძე,**
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

## მზისა და ვარდის მეტაფორის ტრანსფორმაცია, როგორც „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი

**ნესტან სულავა**

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული ეპიზოდები, მხატვრული სახეები, ერთმანეთს ენაცვლება და პოემის სიუჟეტურ მსვლელობას დაძაბულობით, მოულოდნელობებით აღავსებს, რის საფუძველზეც პოემის კომპოზიციური ღერძი იკვრება და იქმნება ჰარმონიულობა, რაც გაუნელებლად ზრდის მკითხველის ინტერესს. ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციას ჟანრობრივი თავისებურება და მისი ესთეტიკური მოთხოვნები განაპირობებს; იგი სიუჟეტის ცალკეულ ელემენტებს, ეპიზოდებს, გმირთა თავგადასავლებს ერთმანეთთან აკავშირებს, რომელთაგან თითოეულს მხატვრული ნაწარმოების მთავარ იდეას უხამებს და უქვემდებარებს. კომპოზიციას თავისი მკაცრად რეგლამენტირებული წესები და ელემენტები წარმართავს. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციამ წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან ბევრი რამ იმემკვიდრა, მაგრამ მისგან მაინც მკვეთრად განსხვავდება, რაც ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკურმა მოთხოვნებმა განაპირობა, რადგან, ფაქტობრივად, სეკულარული ცხოვრების, შესაბამისად, სეკულარული იდეოლოგიის დამკვიდრებამ ახალი, საერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული პრინციპები შემოიტანა.

სამეცნიერო ლიტერატურაში პოემის კომპოზიციის წრიულობის შესახებ ხვთისო ზარიძემ საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა (ხ. ზარიძე, ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია, თბილისი, 2002), რომელიც კიდევ მოითხოვს დაკვირვებასა და კვლევას. ყოველი კომპოზიციური ელემენტი პოემის მთავარი სათქმელის ასახვას, ძირითადი მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს. პოემაში კომპოზიციის წრიულობა მრავალი ეპიზოდის, მხატვრულ სახეთა სისტემის, გამომსახველობითი ხერხებითა და სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით ვლინდება. ერთ-ერთია არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთის არსებობისა და ბოროტის უარსობის შესახებ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ საფუძვლად გვევლინება და რომელიც შოთა რუსთველის პოემის კომპოზიციას განსაზღვრავს//წარმართავს. კომპოზიციური თვალსაზრისით სიკეთისა და ბოროტების მიმართების არეოპაგიტული სიბრძნე რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ პოემის დასაწყისში თინათინის მიერ დასმულ კითხვას კეთილის მარადიულობისა და ბოროტის უარსობის შესახებ – „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ – პოემის დასასრულს პასუხი ბიბლიურ-ევანგელური სწავლებისა და არეოპაგიტული სიბრძნის საფუძველზე ავთანდილმა გასცა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361). სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების უარსობის არეოპაგიტული მოძღვრებით თინათინისა და ავთანდილის სულიერი ერთიანობაა წარმოდგენილი, რაც ამ პერსონაჟთა სახე-ხასიათების გახსნას ემსახურება. ამ საკითხზე იმიტომ შევაჩერე ყურადღება, რომ სიკეთისა და ბოროტის ურთიერთმიმართებას, მათს არსობა-უარსობას უკავშირდება მზისა და ვარდის სიმბოლური და მეტაფორული წარმოსახვა „ვეფხისტყაოსანში“.

შოთა რუსთველის პოემის პერსონაჟთა ჰარმონიულობა, მათ თვისებათა ჰარმონიული შეხამება ის იშვიათი მთლიანობაა, რაც იმ დროისა და უფრო გვიანდელი ეპოქის აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციებში არ შეინიშნება. ფაქტობრივად, ანალოგი ვერ ეძებნება. ეს ფაქტი პოემის კომპოზიციის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ. კომპოზიციის შემკვრელი მეტაფორული სისტემის ამ ტიპის ელემენტები საკმაოდ მრავლად არის „ვეფხისტყაოსანში“, კერძოდ: სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, მზისა და ვარდის სიმბოლური და მეტაფორული გააზრება, მთვარის მეტაფორა, ზაფხულისა და ზამთრის, სიცივის//ყინვისა და სითბოს, დროისა და სივრცის მეტაფორული გააზრება, სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერთმიმართების მხატვრული ასახვა და სხვ.

ამ სტატიაში ყურადღებას შევაჩერებ მზისა და ვარდის მხატვრულ სახეებზე, როგორც სიუჟეტისა და კომპოზიციის მეტაფორულად წარმმართველ მეტად საგულისხმო ხატ-სახეებზე. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მზისა და ვარდის მხატვრულ ხატ-სახეებს მითოპოეტურ სახეთა შორის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ამ თვალსაზრისით პოემის სიუჟეტს წარმართავს დამჭნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის მეტაფორა და სიმბოლური გააზრება, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს მოასწავებს, და ალუზიებით, სიმბოლოებით დატვირთული მზის მეტაფორა, რომლებიც პოემის კომპოზიციური სიმწყობრის მომწესრიგებლად გვევლინება. დასაწყისშივე როსტევან მეფის მიერ წარმოთქმული ბრძნული აზრი ცხოვრების წარმავლობისა და დაუდგრომლობის თაობაზე ვარდისა და მზის სიმბოლიკითა და მხატვრული გააზრებითაა ნასაზრდოები („რა ვარდმან მისი ყვავილი...“; „მზე ჩაგვისვენდა...“), რაც პოემის დასასრულს პერსონაჟთა ცხოვრებაში ვარდის გაფურჩქვნის მეტაფორა-სიმბოლოსა და მზის ეტლის ცვალების მხატვრული სახით ეპოქალური სიახლის მაუწყებელ მხატვრულ ასახვად წარმოგვიდგება („ვარდის ფურცლობის ნიშანი...“; „ეტლის ცვალება მზისაგან...“).

მზისა და ვარდის მხატვრული სახის, მეტაფორის, სიმბოლოს, ალეგორიის, ალუზიისა და ენიგმის გათვალისწინება გვმართებს ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა გარეგნობის, მათი შინაგანი სამყაროს, მძაფრი სულიერი განცდების სრულყოფილად გასააზრებლად. პოემის დასასრულს ვარდის მხატვრული ფუნქცია განსაკუთრებულად ჩანს, ვინაიდან გაზაფხულზე, ქვეყნით მწვანის ამოსვლის ჟამს ვარდის ფურცლობა ახალი სამყაროს დასაწყისადაა მოსააზრებელი, მის გაშლას უკავშირდება გარდატეხა პოემის გმირთა ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან ბოროტისაგან განძარცვულია და სიკეთის დასაბამადაა მიჩნეული. ასევეა მზის მხატვრული სახეც ღრმა საზრისით დატვირთული, რომლის ეტლის ცვლა ეპოქალური სიახლის დასაბამადაა მიჩნეული. მთავრდება ძველი, პატრიარქალური ეპოქა და იწყება ახალი, მზით განათებული ეპოქა, ხოლო მზე მითოპოეტური გააზრებითაც და საღვთისმეტყველო საზრისითაც ღმერთის სიმბოლოა, მეტიც, ქრისტიანულმა მწერლობამ მზეთა მზე და მზე მამა ღმერთად ძე ღმერთად აღიქვა და მოიაზრა; ვარდის მხატვრული სახის, მისი ტროპული მეტამორფოზის, მზის ცვალებადობის მეტაფორული არსის გამოყენებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა შოთა რუსთველის აზროვნების მასშტაბურობა, სიდიადე, სიღრმე და მხატვრული ოსტატობა.

მზისა და ვარდის მეტაფორულმა და სიმბოლურმა გააზრებამ ქართულ მწერლობაში, ისევე როგორც ფოლკლორში, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, მაგრამ განსაკუთრებულია მზისა და ვარდის მეტაფორა, მათი სიმბოლური გააზრება „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც ირეკლება წინარე მითოლოგიური, ფოლკლორული, რელიგიური თუ ლიტერატურული ტრადიციები და რომელიც მომდევნო ხანის ქართული პოეზიისათვის თავად გვევლინება ამოუწურავ საუნჯედ. ამავე დროს მზისა და ვარდის მხატვრული სახეები პოემის


დასასრული მე-10 გვ. ▶


## განცხადება

**2019 წლის 28 სექტემბერს სოფელ რუსთავში გაიმართება ტრადიციული სახალხო დღესასწაული**

**„პოეზიის დღე – შოთაობა“,**

**სადაც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ანსამბლები, რეგიონის შემოქმედებითი კოლექტივები; მოეწყობა ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების, მხარის მხატვართა ნახატების გამოფენა-გაყიდვა, სპორტული სანახაობები.**

**გაიმართება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.**

**დასაწყისი 13 საათზე.**

***გთხოვთ მობრძანდეთ.***

***ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია***



„ქართული პოეზია ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ ვაქციოთ „რუსთაველის დღე" საერთო სახალხო დღესასწაულად!"

*ირაკლი აბაშიძე*

## დურმიშხან ბერიძე

გორის ციხის დაკარგვამ ძალზე გააცოფაო ხონთქარი, მერე ლალა-ფაშა იხმო და ჯარის სასწრაფოდ შეყრა დაავალაო ქართლში სალაშქროდ.

სიმონ მეფემ კარგად იცოდა ეს ლაშქარი, ასი ათას კაცს რომ აღემატებოდა. ისიც იცოდა, ამ ზვავივით მომსკდარ ბრბოს გამოცდილი სარდალი ჯაფარ-ფაშა სარდლობდა და იგი ასე ადვილად არ გაებმებოდა მის მიერ დაგებულ მახეში.

დილის რიჟრაჟს დაასწრო მეფემ, ერთ მხარეზე წოლით მარჯვენა ხელის მტევანი დაბუჟებოდა. ცუდად ენიშნა ბრძოლებში ნაწრთობს, გიორგი უფლისწულის ამბავი იკითხა უმალ.
– ქართლის ლაშქარი ჯერ არ გამოჩენილაო, – მოახსენეს.

ეწყინა მეფეს, მაგრამ მახლობელთათვის არ გაუმხელია წუხილი. იცოდა, მტერი უკვე ნახიდურს იქნებოდა მოსული და თუ არ შეაჩერებდა მათს წინსვლას, შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა ყოველივე. მართალია ზოგიერთები წინ აღუდგნენ კიდეც, მტრის შეჩერებას ვერ შევძლებთ და ამაოდ დაიღვრება სისხლიო, მაგრამ სიმონი ასე ადვილად როდის თმობდა ბრძოლის ველს.

ჯაფარ-ფაშას თბილისის ხელში ჩაგდება ჰქონდა გადაწყვეტილი, ამიტომაც ცდილობდა სწრაფად გაევლო სამცხე, უკან მოიტოვა თმოგვი და ხერთვისი, არც აწყურის ციხის ზურგში მოქცევას დალოდებია, ლაშქრის სიმრავლეს დანდობილი.

გიორგი უფლისწულს მაინც მოესწრო ქართლის ლაშქრის შეყრა. არა და, ვაი თუ აქ გადაწყდესო ჩვენი ბედი, თითქოს საკუთარი გულის ბაგა-ბუგი ესმოდა მეფეს, ისე უწიოდა ყურებში ეს სიტყვები.

რატომ ვერ შევნიშნეო აქამდე.

– იქნება გახსოვს, რა ერქვა ამ ადგილს, დემნა? – თითქოს სხვისი ხმით უთხრა თანმხლებს, მერე მოუბრუნდა და იჭვნეულად მიაჩერდა მის ფართო შუბლზე გაწოლილ ნახმლევს.

– როგორ არ ვიცი, მეფევ ბატონო, შაჰ-თამაზის ლაშქრობის დროს აყრილი მესხები აქ შეგვიხიზნეს პირველად. შემდეგ, ცხონებულმა მამათქვენმა შეგვიფარა ბედკრული ქრისტიანები და მას შემდეგ სად არ ვხლებივართ სარწმუნოებისთვის უშიშარს მებრძოლს.

– თუ შეგკრთობია ბრძოლის წინ გული, ოდესმე, ჩემო დემნა,




ებიც ასევე წყნარად გამოიყურებოდა, ცხარე ბრძოლის წინ, მერე წუხანდელი სიზმარივით გაიხსენა გარდასულ დღეთა ამბავი, გამარჯვებული, მოზეიმე ხალხი და ბრძოლებში გაჭალარავებული, ყიზილბაშ ზაქირას ხმლით განგმირული მამის სახე მოაგონდა, ანაზდად.

– ჩვენ ჩვენი გზა გავიარეთ, დიდო მეფეო! – დუმილის დასარღვევად თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დემნა მეაბჯრემ, – მძიმე გზა აღმოჩნდა იგი, ქართლის ველებზე ერთი მტკაველი მიწაც კი არ მეგულება, საფლავი რომ არ გაჭრილიყოს, აღარც ტანზე დამრჩენია ხმლით და-

– მთელი ჩემი სიცოცხლე ბრძოლებში გამიტარებია. მოღალატეებმა ხან საკუთარი ძმა – დაუდ-ხანად მონათლული – დავითი ამიმხედრეს, ხან, ფარცხისის ველზე მაჭამეს მწარე სირცხვილი, ყიზილბაშებმა ხელში რომ ჩამიგდეს, მაგრამ არც ყორღანაშვილისთვის შემირჩენია ჯავრი და არც ყიზილბაშებისთვის დამიყრია კარგი დღე, გახსოვს, ჩემო დემნა, მე და შენ ხატისოფელში დაბანაკებულ ურუმებს რომ ვესტუმრეთ, როგორც დესპანები და მეფის სახელით ხარკის მიცემა რომ აღვუთქვით, მამლის ყივილზე კი უეცრად თავს დავესხით და ამბის მაცნეც კი არ გაგვიშვია ცოცხალი.

მერე მერცხალას კისერზე ხელი მოუთათუნა, იმედის თვალით გადახედა ლაშქარს და ლაღად მოფრიალე, მრავალ ბრძოლაში ნაკენწლავ შვინდისფერ დროშას შესციცინა. იქნება, ჩემო დემნა, ბრძოლის დროს უფლისწულმაც მოგვისწროს და ჯაფარ-ფაშას კუდით ქვას ვასროლინებთ. ახლა კი, როგორმე უნდა შევაჩეროთ მოვარდნილი ურდო, აქ, ნახიდურთან, უნდა გადაწყდეს ბრძოლის ბედი.

ზაფხულის მზე მცხუნვარედ აჭერდა, ხეობაში განაბული ლაშქარი მეფის ნიშანს ელოდა, რომ „ჰკა მაგას“ ძახილით მუსრი გაევლოთ თურქთა მეწინავეებისათვის, რომლებიც ასე თამამად მოიწევდნენ ტყით დაბურულ ხეობაში.

ცხენზე ამხედრებულ სიმონს შუბი მოემარჯვებინა და შესაფერის დროს ელოდა. უეცრად ლაშქარს შეუძახა, ცხენი დასძრა და ერთი მუჭა ქართველებით ანაზდად მიაწყდა თურქებს.

მოვარდნილ სეტყვასავით თავს დატეხილი ქართველები დაუნდობლად სჩეხდნენ დამფრთხალ დამხვდურებს და ყიჟინით მისდევდნენ გაქცეულებს.

ვერ დავხოცავთო, გაივლო გულში, მერე მებუკეს ნიშანი მისცა, მებრძოლებისთვის უკან დახევა ეუწყებინა.

მწყობრად იხევდნენ ქართველთა შეთხელებული რიგები. მარჯვენა მხარში დაჭრილი დემნა მეაბჯრე კვლავ მეფის სიახლოვეს ტრიალებდა, მარცხენა ხელითაც მარჯვედ ხმარობდა ხმალს.

უკან დახეულ ქართველებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ თურქები. ოფლის ხვითქში გახვეულ მერცხალას თავი მაღლა აეწია, მკერდით აპობდა ხეობაში ატეხილ ქარს და შერუჯულ ნასოფლარებში თავდაუზოგავად მიჰქროდა.

ბრძოლებში გაწაფულ სიმონის თვალს არც ერთი წვრილმანი არ გამოჰპარვია. მან ნათლად დაინახა, როგორ წამოეწია წითელ ცხენზე ამხედრებული, აბრეშუმის ჩალმით თავდამშვენებული მხედარი, მკვეთრად გაიგონა მისი ძახილიც – ცოცხლად შეიპყარით, მეფეო! – მერე დემნა მეაბჯრის ყიჟინაც შემოესმა, დაინახა კიდეც, როგორ მოუკლა იმ ჩალმიანს ცხენი და მდევრებს გზა გადაუკეტა, მერცხალა კი თავაწყვეტილი მიჰქროდა და მიიჰქროდა...

ცის ჰორიზონტზე შავად მოქუფრული ღრუბლები ოქროსფრად მოელვარე მზის დისკოს ირგვლივ აგრაგნილიყვნენ, სადღაც იელვა კიდეც...

აბა, ჩემო მერცხალა, ცოტა კიდევ და უკან ჩამოვიტოვებთ მდევრებს, თითქმის ხმამაღლა ამხნევებდა სიმონი ბედაურს და სადავე ბოლომდე მიუშვა.

მერე ნათლად დაინახა, როგორ წამოეწია დაღლილ მერცხალას ის ჩალმოსანი და კვლავ მკვეთრად გაიგონა ძახილი, – ცოცხლად შეიპყარით სიმონი!

– ცოტა კიდევ, მეფევ-ბატონო, მალე ფარცხისიც გამოჩნდება და სამშვიდობოს გავალთ!

# მუხთალი ბედი

### (ისტორიული მოთხრობა)

ასაკში შესულს, არც მკლავი ერჩოდა ძველებურად და არც თვალი ამჩნევდა მოქნეული მახვილის სიზუსტეს, თანამოლაშქრეებმა საბედისწერო დროს მაინც ვერ მიატოვეს მხცოვანი მეფე და თან ეახლნენ მრისხანების ჟამს.

კარავიდან გამოსულს, ტყით დაბურული მთების თავზე, ამომავალი მზის ვეება სისხლისფერი დისკო ეცა თვალში.

ბევრჯერ დასწრებია რიჟრაჟს მეფე, ბევრჯერ უხილავს ციური მანათობლის ეს მღელვარე სხეული, მაგრამ დღეს რაღაც უცხოდ მოეჩვენა ყოველივე.

კარავიდან მოშორებით მდგარ მხრებგაშლილ მუხასთან გამობმული წამდაუწუმ ჭიხვინებდა მეფის უნაგირმოხსნილი ბედაური „მერცხალა“. თითქოს ძილშიც ჩაესმოდა მეფეს მისი გულისწამლები ჭიხვინი და ათას ეკლად ესობოდა მისი ხმა.

აქ, ალბათ, სოფელი ყოფილაო, ოდესღაც, გულში გაივლო, მერე თვალი გააყოლა მთების ფერდობზე შეფენილ შერუჯული კედლების ნანგრევებს. თანდათან იღვიძებდა ტყის ნაპირზე დაბანაკებული ლაშქარი.

– „მერცხალას“ შეკაზმვას ხომ არ ინებებთ, მეფევ ბატონო, – სიმონმა ახლა-ღა შენიშნა ზურგს უკან ადევნებული დემნა მეაბჯრე და გაუკვირდა კიდეც,

ან, იქნებ, ცხონებული მამაჩემისთვის შეგინიშნავს ამდაგვარი რამე? – კვლავ იჭვნეულად ჰკითხა მეფემ. დემნა მეაბჯრემ ჭრილობაზე ხელი გადაისვა, მერე, თითქოს, უცხო თვალთაგან მისი დაფარვა გადაწყვიტაო, ჭაღარაშერეული თმა შუბლზე ჩამოიშალა, უნებურად.

– გარისის ბრძოლის წინა ღამეს ლუარსაბ მეფეს ენახა სიზმარი, გულიც უგრძნობდა, თურმე, ხიფათს, მაგრამ გრძნობას როდის აჰყოლია, მეფე. მაშინ ოცდახუთი წლის ვაჟკაცი ვიყავი, გულიც მერჩოდა და მკლავიც მიჭრიდა, მაგრამ დღემდე ვერ მომინანიებია, ცოცხალი თავით რატომ მივუშვი ყიზილბაშები ასე ახლოს მხცოვან მეფესთან.

– ბედისწერაა, ჩემო დემნა, ბედისწერა! ზოგჯერ კაცი მარტო ხმალს ენდობა, ბედისწერა კი უფსკრულში გადაჩეხავს მას. ბედისწერა რომ არ ყოფილიყო, ღვთისმოშიშ მეფეს განა მეჰმედ სულთანთან ბრძოლის საბედისწერო დროს გადაუტყდებოდა ვადაში ხმალი? – მძიმედ თქვა მეფემ. მერე „მერცხალას“ ჭიხვინმა „ლურჯაის“ ჭიხვინი გაახსენა, უნებურად.

იმ დღესაც ასე ჭიხვინებდა მეფის კარავთან გამობმული „ლურჯაი“. გარისის მიდამოუსერავი ადგილი. ღმერთი მიცავს და ღმერთი მფარველობს, თორემ, აქამდე სადმე ჩაიყრებოდა ჩემი ბებერი ძვლები.

სიმონ მეფეს ორივე ხელი ხმლის ვადაზე დაედო და თბილისისაკენ მიმავალ გზას გასცქეროდა. მერე მოეჩვენა, თითქოს მტვრიან გზაზე მალე მსრბოლი მოჰქროდა, სასიხარულო ამბის მაცნედ. მოეჩვენა, ერთი მოქნევით როგორ დააგორა მიწაზე ჯაფარ-ფაშას მოჭრილი თავი და ქართლს ცის ჰორიზონტზე მოწოლილი ლეგა ღრუბლები მოაშორა.

ხეობაში გაშლილი ქართველთა ლაშქარი აიშალა, მერცხალაზე ამხედრებული სიმონი კვლავ იმედიანად შესცქეროდა ძველ თანამებრძოლთ. დემნა მეაბჯრე ბებერ მუხასავით გვერდში ამოსდგომოდა და მზად იყო ერთი ნახტომით დაემიწებინა მეფის ორგული თუ მოძალადე.

გიორგი უფლისწულს უკვე მოუსწრია საბარათიანოში ლაშქრის შეყრა, ახლა კი ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს, ჩემო დემნა, იმედიანად გადაუჩურჩულა მეფემ ზურგს უკან თეთრ ცხენზე ამხედრებულ მეაბჯრეს და იმედიანად გაუღიმა. მერე უნაგირზე გადაიხარა და ხმამაღლა, სხვების გასაგონად თქვა:

შუბმომარჯვებულმა სიმონმა წინ შემოყრილ თურქს შუბი აძგერა და ცხენიდან გადმოაგდო, მერე ხმალზე გაივლო ხელი და მზის სხივებზე აათამაშა ოქროსფერი ჯავარდინი. დემნა მეაბჯრეც მარცხნივ და მარჯვნივ შეუჩერებლივ იქნევდა მოქნილ ფოლადს და ფეხდაფეხ მისდევდა მეფეს.

კარგა ხანს გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლა, თურქთა მეწინავეებმა წინა რიგებიდან მოვარდნილი შიში უკანა რიგებს გადასცეს და, „ალაჰის“ ძახილით, ვიწრო გზას მიაწყდნენ. მერე ხეობიდან გამოსული ურიცხვი, ახალი რაზმებით გულმოცემულნი, შედგნენ, თანდათან გონება მოიკრიბეს და კვლავ საბრძოლველად განეწყვნენ.

ლაშქრის სიმრავლემ თავისი გაიტანა. მოქანცულ ქართველთა წინა რიგებს ხეობიდან გამოსული თურქი მეთოფეები განუწყვეტლივ ცეცხლს უშენდნენ და ახლოს აღარ იკარებდნენ ბრძოლისათვის აშლილებს.

სიმონი კარგად ამჩნევდა შექმნილ ვითარებას. გიორგი უფლისწულმა ვერ მოგვისწროო ახალი ლაშქრით, არა და ეს ოხრები ისე ურიცხვნი არიან, მთელი ათი დღე რომ ვკაფოთ, მაინც

– კვლავ მოესმა სვიმონს დემნა მეაბჯრის ხმა:

– მაშველმა ვერ მოგვისწრო, მაგრამ არ შედრკე, მეფევ, შენი ერთგულნი არ დავთმობთ ბრძოლის ველსა და შენს თავს!

სვიმონმა თვალი მოჰკრა, როგორ სწრაფად მოატრიალა დემნამ ცხენი და წამოწეულ თურქს ოსტატურად აძგერა შუბი.

„მერცხალა“ თითქოს პიტალო კლდეს შეასკდა, ადგილზე შეტორტმანდა, წინა ფეხებზე წამოიჩოქა და მხედარი ჭაობიან ველზე მოწყვეტით ისროლა.

ცივმა წყალმა გონდაკარგული მეფე გონს მოიყვანა. ცოტა იქით, ჭაობში, „მერცხალას“ ზეაწეული თავი დაინახა. ლელიანში ჩაფლული მეფე გრძნობდა, როგორ ეშვებოდა დაბლა, ფსკერისაკენ.

საბრალოდ ჭიხვინებდა მრავალ ბრძოლაში გამოვლილი პირუტყვი. თითქოს პატრონთან განშორება უმძიმსო, თავს აქეთ-იქით აქნევდა და ჭაობიდან ამოსვლას ცდილობდა.

სვიმონი ირგვლივ წამოზრდილ ლელიანებს მოებღაუჭა და ხელებზე წამოიწია, მერე მისწვდა ჭაობში მშვილდსა და მიმოფანტულ ისრებს. ერთხანს თვალცრემლიანი გაჰყურებდა მოფართხალე პირუტყვს,

➔



⟵

შვილდისარი გამართა და ჭაობისაკენ ჭენებით მომავალ თურქებს გახედა. პირველად კვლავ ის ჩალმიანი მოიჭრა.

მშვილდმომარჯვებული სვიმონი მოწინააღმდეგეს ნაბიჯებს უთვლიდა, რათა ახლოს მოსულისათვის უფრო ზუსტად ეტყორცნა ისარი.

– დაგვენებდი, მეფევ! – შემოესმა ქართული ძახილი. სვიმონმა ერთხელ კიდევ გახედა ჩალმოსანს, იცნო ძველი მოსისხლე თავადი ბარათაშვილი.

მეფემ მშვილდი მოზიდა, ლარს ხელი უშვა და თვალი გააყოლა გაფრენილ ისარს. მერე ხელებზე წამოიწია და ხმამაღლა გასძახა მდევარს:

– მამის სულს ვფიცავარ, ცოცხალი თავით არავის დავნებდები!

კვლავ მოზიდა მშვილდი, ჭაობთან შეკრებილ თურქებს უსწორა და მკერდიდან ამოსული ძახილიც გააყოლა:

– ბარათაშვილო, ქართლი ახლა ხონთქარის ხალათზე გაცვალე! მამის სულს ვფიცავარ, ცოცხალი თავით არავის დავნებდები მაინც!

მერე კვლავ მოზიდა მშვილდი, ჭაობის ნაპირთან ჩაჩოქილს სტყორცნა და გულიდან ამოხეთქილი წყევლაც გააყოლა:

– ბარათაშვილო, გვარის მაქექო... შენი სახელი წყეულიმც იყოს უკუნისი უკუნისამდე.

*

იმ დღეს ლალა-ფაშას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველა თურქული ზარბაზანი დააქუხებინა ზედიზედ, გურჯებზე გამარჯვების ნიშნად. მებრძოლები უხვად დაასაჩუქრა, მოპოვებული ნადავლი ჯარს გაუნაწილა. მერე ჯაფარ-ფაშა მოიხმო – გურჯისტანისა და ერზრუმის ჯარების სარდალი.

მოღიმარი სახით შემოვიდა საზეიმო ხალათით დამშვენებული, ინით შეღებვა წვერი, მოოქროვილი იატაგანი შემოერტყა წელზე. მისი სიახლოვე ბალკანეთის მთებს აგონებდა ლალა-ფაშას. ისიც, ოდესღაც, ალბანეთიდან გაეტაცათ თურქებს, თავის სამსახურში ჩაეყენებინათ და ბრძოლებში გაჭაღარავებული, ოსმალეთის იმპერიისათვის თავდადებულ მებრძოლად ექციათ.

ალაჰის ძახილით მუხლებზე დაეცა შემოსული, ჯერ ხალათის კალთები დაუკოცნა და მერე გამოწვდილ ხელზე ეამბორა ქართლის მეფის მძლეველ სარდალს.

ახლავე სტამბულს მაცნე უნდა ვაფრინოთ. დიდ სულთანს მივულოცოთ ეს ბრწყინვალე გამარჯვება. ვიცი, ჩვენს ამბავს დიდი გულისყურით ელიან იქ ოსმალთა იმპერიის კარზე, სვიმონ მეფის მარცხი და ტყვეობა ირანის შაჰის დიდი მარცხია გურჯისტანში. შაჰ-აბასი ისე ადვილად არ დასთმობს თბილისს. თავისი ლაშქრით დიდ დახმარებას გაუწევს ტახტის მემკვიდრე გიორგის. ამიტომ, ვიდრე უფლისწულს ქვემო და ზემო ქართლის ლაშქრის შეყრა არ მოუსწრია, მას თავგზა უნდა აუბნიოთ, ყველგან და ყველაფერში უნდა დავასწროთ.

გურჯებმა არ უნდა გაგვიგონ, სად გვყავს ამჟამად დატყვევებული სვიმონ-ხანი, ან რა გზით, რა დაცვით ვაპირებ მის გაგზავნას სტამბოლში, სულთნის კარზე.

ლალა-ფაშა ერთხანს დაჰყურებდა მის წინ ქედმოხრილს. ფეხზე ადგომა უბრძანა. გვერდზე მოისვა ძველი თანამებრძოლი და სიყრმის მეგობარი:

– შენი ვაჟკაცობა საქვეყნოდაა ცნობილი, სარდალო. დიდი სულთანი და პირადად მე ბევრჯერ გვასახელე ჯერ სერბეთში, მერე ბულგარებთან ბრძოლებში. ამიტომაა, რომ დიდმა ალაჰის სწორმა, აქ, გურჯისტანში, გვიბრძანა, ახალი სახელის მოხვეჭა.

– ვიცი, ჩვენი ლაშქარი ურიცხვი და უძლეველია, იგი ახალ-ახალი გამარჯვებებით გაახარებს სტამბოლს, მაგრამ, აბა, დაფიქრდი: სვიმონ მეფეს, რომ, თუნდაც ჩვენი ჯარის ნახევარი ჰყოლოდა, რას გვიზამდა? შენ ძველი მებრძოლი ხარ და იცი, – მას მხოლოდ მასავით მამაცნი, თითზე ჩამოსათვლელი დელიბაშები ახლდნენ, წარმოგიდგენია – მხოლოდ რამდენიმე ასეული დელიბაში?! ვერ გავრკვეულვარ, როგორ გაბედა, მეფემ, ამ მცირე ლაშქრით, ჩვენი ამხელა არმიის მეწინავეთა დამარცხება და უკუქცევა?!

კიდევ კარგი, ქვემო ქართლის თავადის, – სვიმონ-ხანის მოსისხლე მტრის, ვილაცა გურჯი ხანის ბარათა ბარათაშვილის მეშვეობით შევიტყვეთ, სვიმონ ხანის გეგმები, ბრძოლის ველზე შევიცანით იგი, მისივე მეშვეობით დავატყვევეთ მოხუცი მეფე.

თუ არა ღალატი, განა შევძლებდით უშიშარი მეფის დამარცხებასა და დატყვევებას ჩვენ, ბალკანეთის უძლეველი სარდლები?! ვერა, ვერ შევძლებდით, ჯაფარ!

–ალაჰის ნებით შევძლებდით, დიდო სარდალო!

– ალაჰის ნება მაშინ სჭრის, როცა შენს მიწაზე ხარ! აქ კი უძლეველ გურჯისტანში სვიმონ ხანის დამარცხება და დატყვევება თვით სულთანსაც არ შეეძლო თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით...

– გიბრძანებ: – ახლავე შეჰყარო ჯარის სარდლები და ყველას აუწყო, რომ მხოლოდ თურქთა არმიის მამაცურმა ბრძოლამ გადაწყვიტაო ბრძოლის ბედი.

არც ერთი სიტყვა სვიმონ მეფის ჯარის სიმცირეზე, ყველა დაარწმუნე, რომ ჩვენ მხოლოდ ლალა-ფაშას სიბრძნემ და სიმამაცემ გვიშველაო, ბრძოლის ველზე. უთხარი: – თუ არა ჩემი პირადი ვაჟკაცობა, სვიმონ მეფეს ვერ დაიჭერდაო ვერავინ. შენს სიმამაცეზე კი მე პირადად მოვახსენებ დიდ სულთანს.

რაც შეეხება იმ ვილაცა მოღალატე გურჯს, ჩვენც ბევრი მოღალატე და ავის მოსურნე გვყავს ოსმალთა იმპერიაში.

ერთხანს დუმდა ლალა-ფაშა. თვალი თვალში გაუყარა გვერდით მჯდომს:

– განა საკუთარი მეფისა და რჯულის მოღალატე ჩვენი ერთგული იქნება, ჯაფარ?

მართალია, ოდესღაც ჩვენი დიდი წინაპრებიც ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ჩვენ როდის ვუღალატეთ ჩვენს სარწმუნოებასა და მამულს, ან ჩვენ რატომ უნდა ვზღოთ მათი ცოდვები, ჯაფარ!

დიდმა ალაჰმა ძალა მოგვცა, ხელში მახვილი დაგვაჭერინა და თავისი ლაშქარი გვანდო, ამიტომაც ერთგულად ვემსახურებით მას, ხოლო ეს გურჯი თავადი, თავისი მეფისა და ერის გამყიდველი, ჩვენი და დიდი სულთნის ერთგული არასოდეს იქნება, ვიცი, – ან რად უნდა გავუყოთ ვილაცა გამყიდველს ჩვენი დიდება?!

დღეს დიდი სვიმონი გაჰყიდა, ოქროსა და ვერცხლს მოიხვეჭს, მამულს დაიმტკიცებს, ხოლო ხვალ ჩვენც გვიღალატებს და ყიზილბაშთა სამსახურში ჩადგება. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე მოიპოვოს, მეტი სახელი იშოვოს, მეტი ჩაჰკლას და ჩაჰკაფოს, კიდევ უფრო მეტად განდიდდეს თავის თვისტომთა შორის.

ასეთ კაცს რა ეკუთვნის, ჯაფარ?

– მაგისთანებისთვის სიკვდილიც ცოტაა, უძლეველო!

– ჰოდა, მეც მაგაზე ვფიქრობ, ჩემო ერთგულო და სიყრმის მეგობარო!

არავისთან დასძრა კრინტი, როგორ დავატყვევეთ სვიმონი, არც აქ და არც იქ არავინ უნდა იცოდეს ჩვენი საიდუმლო!

დიდი სულთანი ათმაგად დაგვიფასებს ერთგულებასა და ვაჟკაცობას, ხოლო ლაშქარს ის მოწყალებაც ეყოფა, რაც გამარჯვების საფასურად გავიღეთ მათთვის...

*

სვიმონი დიდი პატივითა და ზეიმით მიიღო ლალა-ფაშამ, ახალი ტანსაცმლით შემოსეს ჭაობიდან ამოყვანილი, ტალახითა და სისხლით მოსვრილი, მოხუცი, სახელოვანი მხედართმთავარი. მერე გვერდით იახლა და ლაშქრის წინ ჩამოატარა ყველასათვის შიშის მომგვრელი დელიბაში თურქთა ჯარების მთავარსარდალმა.

მხოლოდ მესამე დღეს, სვიმონ მეფეს დარჩეული ხუთასი ცხენოსანი აახლეს და შორეული სტამბოლის გზას გაუყენეს მხცოვანი მეფე.

გიორგი უფლისწული მცირე გუნდით მამის კვალს გაჰყვა, მაგრამ ვერც მსტოვრებმა, ვერც ერთგულმა მხლებლებმა გაარკვიეს, რა გზით აპირებდნენ თურქნი საქართველოს საზღვრების გადაკვეთას.

ამაოდ დაშვრა მტერს ადევნებული ტახტის მემკვიდრე. ცალ ხელში გამოსასყიდი ეჭირა, ცალით – ხმალს იქნევდა, მაგრამ თურქთა ისე გადაჰკვეთეს სამცხის საზღვარი, ვერვინ გაიგო რა გზით აპირებდნენ ისინი სტამბულამდე ჩაღწევას.

მხოლოდ მტკვრის ხეობაში შესვლისას აუხსნეს მეფეს თვალები, ყალიონით თრიაქი მიართვეს ცხენზე მჯდომს.

მიჩენილი მსახურები გვერდიდან არ მოშორებიან მეფეს. მის ყოველ თხოვნას თუ ბრძანებას, უსიტყვოდ ასრულებდნენ.

მტკვრის ხეობას გაფაციცებით ზვერავდნენ თურქნი. წინ მზვერავებს გაუშვებდნენ და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ, ყოველ დანგრეულ ციხესთან ჩასაფრებული გურჯნი ელანდებოდათ...

ჯერ კიდევ ხრჩოლავდა გადაბუგული სამცხის სოფლები. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო გზებზე. მტკვრის გაღმა შეფენილ ტერასებზე შორიდანვე მოსჩანდა აჩეხილი ვაზისა და ხეხილის გამხმარი ხეები.

გულდათუთქული მეფე თვალცრემლიანი გაჰყურებდა მინაცრებულ, სახურავმორღვეულ სახლებს, კარებდათხრილ მიწურებს, შეტრუსულ ტერასებს...

მხოლოდ ყვავები გუნდ-გუნდად დასჩხაოდნენ ხრამებში ჩაჩეხილ ჯერ კიდევ ცოცხალ პირუტყვს და უპატრონოდ მიტოვებულ ადამიანთა ცხედრებს...

ცოტა კიდევ და თურქთა საპატიო ტყვე, მის უკან მიმავალ ქართველ მამულიშვილთა წაკვეთილი თავებით დატვირთული ქარავანი გასცდება სამცხის საზღვარს და ჩაესვენება იმედი მტერთაგან გამოხსნისა.

– მხოლოდ ერთიანი საქართველო თუ დახვდება აგრერიგად მოზღვავებულ მტერს... მხოლოდ ერთმუჭად შეკრული საქართველო თუ გაუძლებს თურქთა... საქართველო კი იყოფა ნაწილ-ნაწილ, სამეფოებად... ჩვენ მაშინ ვართ ძლიერნი, როცა შენ ხარ ძლიერი, მეფეო! – ყურებში ჩაესმის სვიმონს დემნას ხმა... – შენი ფესვები ჩვენ ვართ, რადგან შენგან ვღებულობთ სითბოს და იმედს, ეს შენ ხარ ჩვენთვის თავმკვდარი... ეს ვიცით და გვჯერა შენი.

საქართველო მოფენილია პატარ-პატარა სამთავროებით, ყველა თავიანთ ნაჭუჭშია ჩაკეტილი, დამოუკიდებელ საქართველოებად მოაქვთ თავი და იმ დღეს ელიან, როდის ჩაესვენება ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის იმედი. ეს შენ აერთიანებ და ერთ მუჭად ჰკრავ საქართველოს!..

ნელ-ნელა მოიწევს თურქთა რაზმი წინ, საქართველოს საზღვრებისაკენ და კვლავ დემნას ჩურჩული ესმის ტერასებზე მიმჯდარი მონაცრებული მესხური სოფლებიდან.

– ყველას თავისი წილი საქართველო სტკივა, რადგან იგი ეგულება თავის სამემკვიდრეოდ, ხოლო ერთიანი საქართველო მძიმე უღლად მიაჩნიათ მათ თავიანთ კისერზე. თითქოს მხოლოდ მეფის ვალია ზიდოს ქვეყნის ერთიანობის მძიმე უღელი.

– ჩვენ მაშინ ვართ ძლიერნი, როცა შენ ხარ ძლიერი, დიდო მეფეო, – შენ ჩვენთვის ხარ თავგადამკვდარი, ეს ვიცით ჩვენ და გვჯერა შენი...

– ვაი შენ, ჩვენო ბედკრულო საქართველოვ, მტერთაგან გაპარტახებულო და გათელილო, ბრძოლებით დაღლილო, დაკნინებულო და ფეხშიშველო. გაუმაძღარნი შენნი შვილნივე გკორტნიან შენ, ყელს გიღადრავენ, შენი უბედურებით სტომაქებს ივსებენ და შენი უბედურებით მდიდრდებიან. ხოლო ერი, ქვეყანა მეფისათვის წილხდომილად მიაჩნიათ, მხოლოდ მეფის ვალიაო, დაიცვას იგი.

*

აჰა, მალე გასცდებიან საქართველოს საზღვრებს...

მიდის და მძიმედ დატვირთულ ფიქრის ხურჯინს მიათრევს მეფე, თვალცრემლიანი, გულდათუთქული და სიბერეში შერცხვენილი, უკვე სიკვდილთან წილნაყარი სახელოვანი მეფე ქართლისა.

## ნანა ნასყიდაშვილი-გოზალიშვილისა

### მოძღვარი

ღამე ჩამოწვა, დაეშვა ფარდა,
შორს, ცის ტატნობზე სანთლები ენთო,
ყველას ეძინა მოხუცის გარდა,
ყველაფერს, თურმე, ბოლო აქვს, ღმერთო.

ფანჯრიდან ღამე იმზირებოდა,
უთვალთვალებდა მოხუცის სახეს,
ის კი იმედის სხივით ხარობდა,
მისი ღიმილი ჭადრებმაც ნახეს.

ვნების ქარავანს უკან მისდევდა,
სევდა გამქრალა, სადღაც, უკვალოდ,
მის არსებობას სიკვდილი სდევდა,
ვერ უბედავდა ხელყოფას მხოლოდ.

ფეხმოკეცილი ფიქრიც კი თვლემდა,
ხევები ძილში იკარგებიან,
ყველას ეძინა, მოხუცის გარდა,
თვალს რული არც კი მიჰკარებია.

მის თვალწინ წუთში გაინავარდეს,
წარსულ დღეების აშლილ ფურცლებმა.
არ შეიძლება, რომ არ გახსოვდეს, –
ჩაიჩურჩულეს თუთის ფოთლებმა.

ეს მერამდენედ გამოზაფხულდა,
ეს მერამდენედ აყვავდა ნუში,
მის თმებში ზამთარს დაედო ბინა,
სითბო უცვლელი შერჩა მას გულში.

მოძღვარმა ოდნავ ასწია თავი,
მთვრალ ქუთუთოებს ატანდა ძალას
და დრო სადავით უკან დასწია,
მის შეჩერებას ლამობდა, ალბათ.

სიკვდილის ელჩო, წინ გამიძეხი,
შეჩერდი წამით, სიცოცხლეს მიქრობ!
თვით დაბადებაც, ვითარცა მეხი,
სიკვდილის ელვით მთავრდება, ვფიქრობ.

მდიდარი იყო თავის ცხოვრებით,
ახალგაზრდებს გზა ცოდნით უჩვენა,
სიმართლით მიდის მასთან ვედრებით,
ტაძრის კარამდე გამოსაჩენად.

მოძღვარმა მძიმედ დახუჭა თვალი,
როს ალიონი ლამაზ ფრთებს შლიდა.
უსასრულობამ მიიღო ვალი,
დარჩა სხეული, უკვდავი შინა.

## პლატონ ზუმბაძე

### გასაუბრება შოთას ძეგლთან

შენ შუბლგახსნილი წალკოტებს უმზერ,
თითქოს ფრიდონს და ავთანდილს ელი,
მზე ოქროსავით გადნება გულზე,
და შემოგყურებს მსოფლიო მთელი.

გიცქერ, არ ძალმიძს მოგწყვიტო მზერა,
შენსკენ მოიწევს გულიც და თვალიც,
სხვისი რა გითხრა და მე კი მჯერა,
რომ უკვდავების შეგისვამს წყალი.

ჭაბუკმა, ალბათ, ვარძიის კლდეში
ღარი მოუწყე წყაროს ლამაზად,
მერე კი თავად აგივსო პეშვი
და უკვდავებაც შემოგთავაზა.

ახლა კი დგახარ, წალკოტებს უმზერ,
თითქოს ნესტანს და ტარიელს ელი,
მზე შარბათივით გელვრება გულზე
და შუბლს გიკოცნის მსოფლიო მთელი.

დღეს ყველას სჯერა, რომ მართლა შესვი
ის თავანკარა ვარძიის წყარო,
მერე ის იქცა სიბრძნის ზღვად შენში,
მზევ, პოეზიის მზედ საფიცარო.

ამიტომ არ მსურს მოგწყვიტო მზერა,
მსურს დაგიკოცნო გული და თვალი,
რომ ასახელე ქართული კერა,
მესხეთის მიწა, მარად უკვდავი.

**რეზო ადამია**

[illegible] უკიდეგანოდ თავისუფალი შემოქმედებითი მუსიკალურ-იდუმალი ქროლვა, გაბედული ხედვა და მართალი სიახლე აზროვნების სრული გაპოეტიზირება, ვერა და ვერ მიიღო წარსულის რელიგიურმა იდეოლოგიამ და მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ყოველ ქართველთა თუ კეთილ უცხოელთა სამწუხაროდ, ანტონ კათალიკოსმა უკეთილშობილესი და ტანჯული ვახტანგ მეფისეული უნიკალური გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“, ეკლესიური პროტესტის ნიშნად, ადიდებულ მტკვარში გადაყარა და ეს პატიოსანი, კეთილმავალი, ძველი თბილისის და მგოსანთა მუზის უხსოვარდროინდელი მეგობარი – მდინარე, უხერხულობაშიც ჩააგდო. მიწიერი მოთხოვნილება, რელიგიურმა არასწორმა აზროვნებითმა განსჯამ, მზიური განუმეორებელი საქვეყნო სულიერი სიმდიდრე გულმწარედ უარყო.

უკეთურება ხანგრძლივი დროის შემდგომ სიკეთეს შობს, მაგრამ ამდაგვარი შენაძენი ძალიან ხშირად მერყევია.

სრულყოფილი კეთილშობილება უფლისმიერი კოსმოსური აკადემიაა, რომელიც როგორც უხილაობაში, ასევე ხილულში აღმშენებლობითია და ბუნებრივ-განშტოებითი...

მდუმარედ თუ ღიად გახსნილად მრავალ გენიოსთ უაზროვნიათ მაგრე; ხოლო ვარსკვლავეთური ჭეშმარიტებით უფრო თამამად ვინც იაქტიურა მეცნიერულად თუ რელიგიურად, სამშობლო-ქვეყნიდან გააძევეს, დასავლეთ ევროპაში კი ინკვიზიცია კოცონზე წვავდა პლანეტა მიწის და ფანატიკურ მორწმუნეთა გაღმელ ზეენარულ მოაზროვნეებს. აი, რა შეუძლია, მეგობრებო, კოსმოსიდან, გალაქტიკიდან ან მზის სისტემიდან გონებრივ-ზნეობრივ თუ სულიერ უაზრო განდგომას...

გარემოსგან ზეწოლით და მდუმარებით შექმნილი შედევრი წამებით არსებობას განაგრძობდა.

ადამის მოდგმამ ერთ დროს მზეს და მთვარესაც უდიდესი ცოდვით სავსე შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც მსხვერპლად ახალშობილ ბავშვებს სწირავდა. მილიონობით წლის შემდგომაც უფრო სამარცხვინოდ მოიხსენიებენ ეშმაკეულ წინაპართა ნებისმიერ ველურობაზე უარეს ქმედებებს (აქ ხსენებაც კი არ გვინდა სატანისტური ომების მომწყობთა).

დიდება-უკიდეგანობას კოსმოსისა და უფლის სამართალ-უძლეველობას, უკვე ხალხში თავისუფლად აზროვნებს „ვეფხისტყაოსანი“.

ადამიანის თვითმყოფადი ნიჭის უმაღლესი საფეხური, გენიაა, რომელიც პლანეტათა დაუდგრომელი სხივთ ენერგიაა მოუსვენარი, ურთულესი მოქმედებით, უზარმაზარი შემოქმედია და პირისპირ შინაგანად ანგრევს ნებისმიერ ავტორ-პიროვნებას, რის შედეგად უჩნდება სულიერი ავადმყოფობები ანუ მთავრდება გაუთვალისწინე-ბელი ტრაგიკული მოვლენებით.

„ვეფხისტყაოსანში“ უფრო ვარსკვლავური კვეთაა, რომელიც მკითხველზე კეთილთვისებრივი დამატყვევებლობით მოქმედებს, რადგან წარმოუდგენელი გაერთიანებაა მაგიურამდე დასული მისტიკის, სამყაროს სიშორის ძალებით. ადამიანზე ამაზე უფრო დიდი და მძაფრი ქმედება ალბათ მხოლოდ სიკვდილს თუ გააჩნია, რომლის მთლიანობის გაშიფვრა თავად გენიოსებსაც გაუჭირდათ და უჭირთ, იდუმალებამატარებელმა მოგვებმაც ვერ შეძლეს ათასწლეულებში და ოდითგანვე ღმერთებსაც აფიქრებდათ და აღელვებთ მისი უკეთური ტანჯვის მომგვრელი უმძლავრესი გონმიუწვდომლობა.

არსებობს თურმე უსასრულობის წარმოუდგენელი სიკვდილის რაობათა სხვადასხვაობანი, მაშინ განუზომელი სიშორით მოქმედებს უთუოდ კოსმოსურ შესაძლებლობათა დაუძლევლობის სიკვდილიც. რისი საპირისპირო ზეძალითი მოქმედებები ირგვლივ სიახლოვესაც არ არსებობს. აზრობრივი გულისყურით, თვალგონებით, სიღრმეებით თუ ჩავიხედავთ, შოთა რუსთველის ქმნილების ფილოსოფიურ ურთულეს ჩანაფიქრამდე, მართლაც, პოემის ქვედა გამდინარების უხილავ შრეებში, აზრთა გამაოგნებელ მოულოდნელობებს ამოვიკითხავთ, – წარმოიდგინეთ, საშინელებათაგან, დაუსაბამობის სიკვდილსაც. ამდაგვარი ვარსკვლავეთური თვითმყოფადი დასკვნის წინაშე გრძნეული შემოქმედი თავისი გენიის წინაშეც გაკვირვებულია.

ჭეშმარიტება-სიმართლესაც კლავსო, სიკვდილი.

მერმე გულდათუთქულთ, ქვეყნიური ყოველთა სიკვდილაღდგენითობა და უმძიმეს მოვლენათა გარდამავლობა როგორც გაგვახსენდება შედარებით მშვიდდებით, რადგან დიდ მგოსანს ხომ ღმერთის და სიკვდილის სიღრმეებით ეაზრებ-ნათლად განეხილებოდა ყოველივე მთავარი. ბოლოს ისევ უმთავრესი: ნაწარმოების ბაჯაღლო ოქროს ზედაპირის ქვედა დინების სიღრმეებიდან მნათედ ამოიკრიფება ოკეანისეულ მარგალიტებად ზეადამიანურ-ღვთიური სიბრძნე: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ყველაფერი და ყოველივე თუ არა, უმეტესობა შემთხვევა მოვლენებისა, ურთიერთთან მიახლოებით შედარებითია ამქვეყნიურ ირგვლივობაში და ჩვენც თვითნებურად კეთილგონიერდებით...

სიკეთე, უფლისმიერი, მხოლოდ ქმნადობა კი არაა, არამედ უდიდესი ბრძოლაა წმიდანური დაუმორჩილებლობის მშვენიერებით...

მუდამჟამს ჰყავდა საქვეყნოდ გამორჩეულ უპირველეს ქმნილებას ერთგული პატრონ-შემსწავლელი მეცნიერები, დამსახურებული ილუსტრატორ-მხატვრები, უნიჭიერესი კომპოზიტორები, მაგრამ ბოლომდე ვერავინ ჩასწვდომია და ვერც განსჯიან ვერასოდეს მის უხილავ გალერეათა მარად უკვდავ სახეებს, რადგან ზეციური მიუწვდომელ-განუხილველი მხატვრულ-გემოვნებითი სიმდიდრე, თითქოსდა ვარსკვლავთა კოსმოსური კეთილხმოვანი სიმების მელოდიურ რხევათა და ზეადამიანურ აზრთა მოსვლა სასწაულებრივადაა ასახული, სრული კოსმოსურ სხეულთა ჰარმონიულ-რიტმული, რომელიც სულში ჩამყოლი მუსიკალური სრულყოფილებაა. „ვეფხისტყაოსანს“ აღფრთოვანებითა და გატაცებით რომ კითხულობ, გაოგნებულს წარმოგიდგენია, რომ მრავალფეროვანი ვარსკვლავებით შემკულ მოზაიკურ უმშვენიერეს ცას შეჰყურებ, ივსები პლანეტათა შეუდარებელი ენერგია-მადლით და მიუწვდომელი, ბნელ-ნათელი ქვეყნიერება გულღიად გემოძღვრავს. უფლისმიერი პოეზიის ენით მოაზროვნე პიროვნება შენდა უნებურად იძირები მოულოდნელ შემოქმედებით უმდიდრეს უსასრულობაში.

უსათუოდ კოსმოსმცოდნე, სამუდამოდ მიძინებულ ატლანტიდელებსაც აღაფრთოვანებდა მზენათელი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მართლაც რომ ღვთიურ-კოსმოსური დაუდგრომელი ლექსსიშმაგეა პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ზოგჯერ ღრმად აღტყინებულ მეოცნებეს მიფიქრია, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის და რაფაელსაც ხომ არ გაუჭირდებოდათ მხატვრული სრულყოფილებითი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება? ან მხოლოდ ხელოვნების ტიტანნი თუ დაასრულებდნენ ჩვენს უზომო სურვილ-წადილს?

მხატვრულ-შემსრულებლობით სრულყოფილ იტალიურ რენესანსთან მიახლოებულმა დიდმა მხატვარმა სერგო ქობულაძემ საამოდ დაგვატყვევა, რადგან თითქმის ნათლად შეგვახედა რუსთველის შედევრ პოემაში, სრული ბატალური ფართო მოქმედებების, კლასიკური პასაჟების, უმშვენიერესი სახეების, გმირების ხასიათების, ათასწლოვანი ქართული ხავერდოვანი მზით გამთბარი სულის, ეპოქისთვის დამახასიათებელ პეიზაჟებსა და მრავალფეროვან ექსპონატთა მიუწვდომელ გალერეაში სულისმიერი მოგზაურობით და სხვა მხატვრებთან შედარებით უკმარისობის გრძნობისგან შეგვასვენა, მერმე გონებრივად მდუმარედ ისევ შევყოვნდით, ღვთიური ქმნილების უსაზღვროდ წვდომის და სულიერი სწრაფვის წყურვილისაგან და უმდიდრეს ფონდებს მორიდებით განვერიდენით, რადგანაც კოსმოსთან ჰარმონიულ-რიტმული შემოქმედებითი განუყრელობა და უზარმაზარი ზემიწიერი მიუწვდომლობაა „ვეფხისტყაოსანი“. და ესაა, თანამოაზრევ, ნაწარმოების უკიდეგანო გარემოსეული სიცოცხლის განუყრელი უმთავრესი მრავალ ფორმა-განწყობილებიანი სახე. სრულიად მიუკვლეველი უნატიფესი ნიუანსებით ყოველთ სულიერ მფარველი და მიწად ჩამობრძანებული სიბრძნისეულ-მხატვრულ-რიტმული ენერგიის კოსმოსი: დიდება შენდა, მრავალღმერთიანო სამყაროვ და მარადიულო საშოვ...

„ვეფხისტყაოსნით“ ამაღლებულ თავადდებულთ გვწამს მხოლოდ მისი ბრწყინვალე უდიდებულესობა – ქმნილება მრავალმხრივ გადაგვარჩენს. მეცნიერებო, მხატვრებო და კომპოზიტორებო,

დიახ, კაცობრიობის მოვლენა- შედევრში ვეძიოთ ნაღდი, განუყოფელი მარადიული, კაცობრიული ჩვენეული და მარადიული საქართველო: უძველესი კოლხეთ-იბერიით, რომელიც წარმოადგენს მიწიერ ფიქრებში მყოფ პლანეტარიუმის ენერგიათა წარუშლელ მეხსიერებას, როგორც ისტორიულს, ასევე ზეციურს. ამ შემთხვევაში, მკითხველნი ჩემ ვინაობასაც გამოიკითხავენ: თავადვე, მეგობრებო, თქვენსავით „ვეფხისტყაოსანში“ ჩაძირული და ზეციურად მონათლული ტყვე მსახური ვარ, რომლისგანაც საშველი და სრულყოფილი სულიერი განკურნებაა ყოველთათვის. უმორჩილესი თხოვნაა ნებისმიერი ერის წარმომადგენელთან, რომ მზიური ჯვარდასმული ნაწარმოები სიყვარულით და გატაცებით ავითვისოთ და მერმე თამამად გავიხედოთ უსასრულობა ვარსკვლავეთისკენ.. დიდება თქვენდა, „ვეფხისტყაოსანო“, ჩვენგან ჭეშმარიტად აღქმულ გრანიტისსაფუძვლიან ხალხთა საერთაშორისო შედევრს.

როგორი წმიდანური ერთგულება, სიყვარული და ნიჭთ დენაა, „ვეფხისტყაოსანში“ ფარდაჩამოხსნილ უძველესი მინიატურებით, მიხაი ზიჩით, ირაკლი თოიძეში და სერგო ქობულაძესთან, ლევან ცუცქირიძე, ნათელა იანქოშვილში, რუსუდან ფეტვიაშვილთან, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მათ ნაწარმოებში, ნათელ-მხილველნო, მეცნიერნო, მხატვრებო, კომპოზიტორებო, მოქანდაკენო, მწერლებო, პოეტებო, დრამატურგებო, კინოს და თეატრის მსახიობებო, ოპერისა და ესტრადის მომღერლებო, კინორეჟისორო, არქიტექტორო და მკითხველ-ინტელექტ-მოყვარულო, მეოცნებენო, მომიტევეთ და მხოლოდღა შემოქმედებითი უერთგულესი გაელვებაა ყოველივეთგან, ბრდღვიალა და სხივთმჭექარე უზარმაზარი მზის გვერდით, რათა პოემის მთავარი მიწიერი სურათ-კადრები, სრულყოფილებითი და გაკოსმიურებული მიუღწევლობაა. ისევ შემოგბედავთ, – მხოლოდ შოთა რუსთველის გენიის დონის და ნიჭის მხატვარი თუ კომპოზიტორი შეძლებდა ყოვლად საოცრება-პოემის მხატვრულ-მუსიკალურ დასურათებას, თუ მიწყენთ უფრო მეტად ამღიარებელნო, მაშინ მიმართეთ უფალს და კოსმოსს – მათთან უფრო იპოვით სიმართლეს.

ზეცის გზავნილმა გაჯერებულმა წარმოსახვამ ამ შემთხვევაში ჩემს გონებას უშუალოდ ჩაუქროლა და ჩაეხმიანა, მეტს ვერაფერს ვერ გიშველიო და უმალ შევჩერდი.

ეროვნებით უნგრელი, ევროპაშიც გამოჩენილი და აღიარებული მხატვრის, მიხაი ზიჩის სურათები გახლავთ თავისუფალი ჰაეროვანი ხაზ-ფორმა დამამშვიდებელი ფერთა დინება, გამოკვეთილი ხასიათებისა და რბილი განწყობილების, თემის სულიერების უმაღლესი გამჟღავნებით. სერგო ქობულაძე კი აღორძინების ხანის შეუდარებელი ფორმით ქანდაკებური მკვრივ-სიმტკიცეა, – ანტიკურობისაკენ მავალი მხატვრულ ხაზთა განლაგება. თითქოსდა რუსთველისეული პოემის გმირების სიცოცხლეს შესცქერი, მაგრამ სინანულად უფრო მეტს ხედავ და გრძნობ-დიადური პოეზიის ლეგენდარულ წიგნში. ორიგინალთან მიახლოება, ნებისმიერ, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადად თუ ღრმად მცოდნეს, ძლიერ უჭირს როგორც მეცნიერებაში, ასევე მხატვრობა-მუსიკაში, რის შესახებაც ზევით უკვე მოგახსენეთ. ის ურთულესი სამყაროსეული სიმდიდრე, ცხოვრება-სიცოცხლეზე, ადამიანურ წმიდა სიყვარულზე ამაღლებული და, ვინ იცის, კიდევ როგორი სიდიადისაა, რომელიც მარადიულ იდუმალებას წარმოადგენს. წმიდად კოსმიური უწყვეტი სიყვარულია გულმხურვალებამდე ცეცხლოვანი, მაგრამ სინანულად ეს უმაღლესი მშვენიერება ბევრი ჩვენგანისთვის წარმოუდგენლად შორეულია, რადგან უშუალოდ უფლის შინაგანი დიდებაა, ხატ-ფრესკებად ქცეული...

ყოველგვარ ფიქრებს გარეშეც ფენომენალურ წარმოსახვათა მარადიული და უმდიდრესი ვარსკვლავეთური ნიჭის განძია „ვეფხისტყაოსანი“, კოსმოსური თავისუფალი და უმაღლესი მისტიკური





## მზე-ენიჩგოაა



აზროვნებაა რუსთველისეული, ღვთივ ნააზრევ ლექსად თქმული. რადგანაც მეცნიერნი გვეუბნებიან და მართლაც თუ რამე ქართული ხალხური თქმულებიდან სტიქიური გავლენით შემოუვიდა პოეტს, მაგ შემთხვევაში აუცილებელი საჭირო მაგალითი უნდა წარვადგინო: „მცხეთის ჯვრის“ მონასტრის ასაგებად ღვთივგონიერმა გენიალურმა ქართველმა ხუროთმოძღვარ-არქიტექტორმა, ქვა-კირი და სხვადასხვა მასალა იხმარა და აღმართა ზემავალი საოცრება გეომეტრიულ ფორმათა კოსმიური გაანგარიშება სიბრტყობრივი და ხვეულ ორნამენტთა ბარელიეფ-გორელიეფთა ზეცას შერწყმული ჰარმონია, რითაც უნიკალურ არქიტექტურული ძეგლ-ქანდაკებად დადგა, რომელსაც სამარადისო საძირკვლად ამაგრებს ქართული კოლორიტის კეთილშობილურად მარად მდუმარე კლდოვანი მთის კვარცხლბეკი. ამდაგვარად ხდება სრულყოფილი შედევრთა დამკვიდრება ჩვენს გულღია კეთილ და გაწონასწორებულ მზენაფერებ პლანეტაზე, რომელთა ყველა მათგანი ვარსკვლავეთის ნიჭთუანგარობაა...

შემოგთავაზებთ კიდევ ელვარე შედარებით მსგავსებას, მსოფლიოს სიამაყე- მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა, ჩვეულებრივი საღებავებით ინგლისურ შავ მუშამბაზე შექმნა შეუდარებელი და განუმეორებელი ფერწერული შედევრები, ბუნების ხილულ-უხილაობის ფერადოვან-ქართული კოლორიტის სახე და მხატვრულ მარადიულობად აქცია (განა ეს სათქმელია? ან ნაწარმოების განხილვის ნორმალური თემაა!).

საოცრება-ოკეანისეულ სულჩაღვენთილ პოემაში თანმიმდევრობით რომ შეხვალთ, თითქოსდა ქართული უძველესი ხალხური, ზოგი მათგანიდან წარმართული და მნათობთა თაყვანისმცემლობისდროინდელი უნიკალური მელოდიები იღვრება, უსათუოდ უძველესი კოსმიურ-სივრცობრივი მუსიკით ნაზიარებნი, რუსთველის პოემაშიც ხომ მზე რითმულ-ჰარმონიით სამას ჩვიდმეტჯერაა ნახსენები, შედევრთან ურთიერთობისას ორმოცდაშვიდჯერ მთვარე სულიერად შეგვასვენებს ხოლმე. მზისა და მთვარის აზრგაელვებითაც არ გრძნობ განმეორებებს, იმდენად დიდ-ღვთივ-ოსტატურადაა პოემის უჯანსაღეს სხეულში ჩაორგანოებული...

მესხური მთის შიშველ მწვანე ფერდობზე ლაღად დაჩოქილი, ზეცას შემყურე, ჭაღარა კეთილი მწყემსის უძველესი საკრავ სალამურის უწყვეტი სიღრმისეული ღუღუნი ისმის, მაცხოვარივით მართალხმიანი, ზღვა ბატალური მზე-ტალღოვანი სიკეთე-სიყვარულის პოემიდან, ამდაგვარი ქართული გენის სულიერი სინამდვილის გამაოგნებელი ამღერება, საერთაშორისო პოეზიის ზომა-ნორმებით იშვიათობა და განუმეორებლობაა...

შოთა რუსთველი კაცობრიულიდან წმიდა ეროვნულს ეახლა და ღმერთივით გადიადებული ხმა სამყაროს ვარსკვლავეთურ უსასრულობაშივე გააჟღერ-გაასივრცობრივა, რითაც თავისი ერის, პლანეტის ხალხთან სულიერი ნათესაობის უნატიფესი ელემენტები გახსნა...

როგორც მოცარტმა, ბეთჰოვენმა, ბახმა, ჩაიკოვსკიმ, შოპენმა და რამდენიმე გენიალურმა კომპოზიტორმა კოსმოსის ფანტასტიური სიღრმეებიდან მოიზიდეს მიუწვდომელი მუსიკალური ბგერები თუ მელოდიები. ასევეა დიდი მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მხატვრები და მეცნიერები. შეაღწევენ და ეახლებიან ხოლმე, გაციურებულნი. უკვე მათეულ ფერებს, მუსიკის ხმას, მარგალიტებად ასხმულ სიტყვათა კონას, აზრებს, სიბრძნეს, მიწიერი ცივილიზაციის სიახლეებს, და შემდგომ წარმოუდგენელი ხელოვნების მეცნიერული თუ ფილოსოფიური ნაწარმოებები იქმნება...

„ვეფხისტყაოსანი“ ზეამაღლებული ფორმის, სტილისა და მხატვრული სიმაღლის ურთულესი ფილოსოფიური ინდივიდუალური პოეზიის უნიკალური ნიმუშია, რომ ნაწარმოების უცხო ენაზე სრულყოფილად თარგმნა შეუძლებელია. ამიტომ, საერთო კეთილი აზრით, არამიწიერი შედევრ-საოცრებებით დაინტერესებულმა კაცთმოყვარე და ინტელექტუალურად შეგნებულმა უცხოელმა საგანგებოდ უნდა შეისწავლოს ქართული გრამატიკული ენა, რათა ორიგინალში სივრცისმიერად ღვთიურ უკვდავებას უნაკლოდ ეზიაროს.



სიბრძნისა და სიკეთე-მშვენიერების მაძიებელო მეგობარო, „ვეფხისტყაოსნის“ შენში უახლოეს მეობად გასულიერება სულიერ-ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობის მომცემი უხსოვარდროინდელი გრძნეული კოლხი მედეას უებარი და ჯადოსნური მკურნალი წამალივითაა (რომელიც ათასწლეულთა დაუდგრომელმა ბოროტებამ არ შემოგვინახა).

ბოროტება ტანჯვის პროცესია, ფსიქიური უარყოფითი დაავადებაა და ძალაუნებურად სიკეთეს აძლიერებს. ასე რომ, უკეთურობა ვარსკვლავეთიდან ავთვისებიან სხივთა მეოხებით ადამიანზე გამანადგურებელი გადმონერგვაა და უმძიმესი სულიერ-ფსიქო-გონებრივი შენაძენია.

სხივნათელი პოემა-ნაღვაწი ყოველი ჩვენგანისთვის მხოლოდ მზე-ენერგიისმიერი ზნეობრივი აღმზრდელობითობა კი არ გახლავთ, არამედ კეთილსხივოსანი ვარსკვლავთ-მცოცავფონითი, უცხო იდუმალებითი შინაგანი მეცნიერულ-კოსმიური განსწავლულობაა და უახლოეს თუ უშორეს ციურ მნათობთა მიერ სულიერ-გონიერებითი ყოველთა ნეტარ-კვებაა შეუდარებელი; ქართული ძველზე უძველესი გენის განახლება-გაგრძელებაა სასწაული...

შენი აღმზრდელი დედა გამუდმებით კეთილშობილური უწმინდესი რძით გვკვებავდეს მზისდარი და ფორმის მხურვალე ძუძუებიდან, შენ კი მადლობას ცის გაყინულ სიმაღლეებზე აკრულ მითაჟამინდელ ქორს მადლს სწირავდე – მაგდაგვარია ზოგიერთი მეცნიერის დაუჯერებელი სამართლიანი კვლევა-განსჯანი. თუმცა, უხსოვარდროინდელი მიმტევებლობაა ჩვენში.



ზიჩი



ნებისმიერ თემაზე, კერძოდ, ლიტერატურის საკითხზე ანალიტიკური, მეცნიერულად შემაჯამებელი აზროვნება გონ-სულიერად შინაგანად მართალ-წარმოსახვები ნერვიული მოუსვენრობით უნდა გწვავდეს და მერმე უნდა დააფიქსირო, თუ გინდა მრავალთა ურჩი თუ მორჩილი აზროვნება დადებითად შეძრა...

„რადგან წერა მარადიულობასთანაა წილნაყარი“. მოვლენა მგოსნის, უაღრესად მდიდარი იდუმალი მასალა იყო, მრავალათასწლიანი ქართული, კოლხურ-იბერიული შორეული გენ-ნათესაური სივრცე; საიდანაც მზისფერ წვეთებად ჟონავდა; შუმერების, ხეთების, პელაზგების, ეტრუსკების და ქალდეველებისა – რომელთა რვა მეფე წარმომადგენელი განაგებდა სხვადასხვა დროს ბაბილონს.

საინტერესო გამბედაობით კარგად და მისტიკურად თუ წერ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ბუნების უთვალავ სურათზე ან მიუწვდომელ ზეციურ იდუმალებებს, აუცილებლად ავტორს დაუდგენელი ფსიქიურ დაავადებათა გადახრები ახლავს. მაგრე რომ არა, არ იქმნებოდა წარმოსახვათა სიღრმისეული უიშვიათესი სცენები და გონების გალიზიანება მოვლენების სიმწვავეთა განვითარებითი არსება. ამდაგვარი შემთხვევისას თქმულა, ავტორის ძარღვებში სისხლი და სული ერთდროულ მიმოქცევაშიაო.

ქვეყნად როგორც ადამიანთა, სხვადასხვა მიმართულების და დონის გონიერებითი აზროვნება და თანმდევი განსხვავებული სამშვინველ-სულიერებაა. ეჭვგარეშეა, მაგ სახისა და ფორმის მრავალფეროვნებაა ჩვენი მზის სისტემის ენერგია-გონიერება, უთვალავ გალაქტიკებსა და ასევე უსასრულო სამყაროებში. ამ უზარმაზარი სისტემის მცირედი ორგანული მოაზროვნე ატომგულია ნებისმიერი ერისა და რასის წარმომადგენლის გენიალური უიშვიათესი პიროვნების გონება და შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც სამყაროს მთლიანობის განცდებია, მწამს, ნებისმიერ გარემოში არსებულ, წარმოუდგენელ ტვირთზე უფრო მძიმეა.

ღვთივ-ადამიანური გენია, ზესამყაროს სივრცე გარემოდან და ასევე მშობლიური მიწა-პლანეტის ნაღებ უმცირეს ელემენტებსაც ფლობს. როგორადაც თავდადებით და მოწადინებით, კოსმოსისკენ სიახლოვით ურთიერთობდნენ, საკვირველ მოვლენილთა უმთავრესის ჯანსაღი მაცოცხლებელი ფესვები, უთუოდ დედამიწის სხეულშია განფენილი და მიწიერი უნოყიერესი სისტემისეული მადლით იკვებება, რომელიც ისევ მტკიცებულებების გარეშე დედამიწა, ვარსკვლავეთის განუყრელი კავშირ-ღვიძლია, წევრ-პლანეტაა, ხოლო კოსმოსური საოცრება გონება ზედმიწევნით, საგანგებოდ ამწიფებს და შემდგომ ამშობიარებს მათ, – შედევრ მანათობლებს, როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში.

ასე რომ, მეგობრებო, გენიალურ პიროვნებებს უშუალო ურთიერთობა გააჩნიათ ზეციურ-უმაღლესთან და მათგან ივსებ-მარაგდებიან. დანარჩენი ფართო ფენა საზოგადოებისა, თავადვე უზომო მუყაითობით შეიმეცნებს სამყაროს, ღმერთებს და დღედაღამ ევედრებიან, ლოცულობენ, ზოგჯერ დაჩოქილები სანთელს უნთებენ. დროთა ჟამში შემოქმედი ადამიანებიც კი შეუერთდებიან, მაგრამ მათი ლოცვა და უფლის რწმენა სრულიად სხვა მიზეზსიმაღლე, უხილავ სიახლესთანაა დაკავშირებული, რომელთა გონებრივი ჩაწვდომა მდაბიოთათვის ძალიან რთულია, სულიერი სიახლოვე კი, ისევ ღვთიური განგებაა... მათგან ნებისმიერთ, ახალი ათასწლეულიდან მოყოლებული დღემდე არ ეგზავნებოდათ და არც აწმყომომავალშიც მიუვათ იმდენი ზეციური სიმდიდრე – გონი, მადლი და ნიჭი, რამდენიც გენიად შობილთ. მზედყოფილი უმცირესნი სამყაროს განუყოფელი ნაწილია და თავადვე წმიდანები გახლავთ, უთუოდ უფრო მეტი, როგორც გავბედე, ზემოთ, საუბრისას, სრულყოფილი მოღვაწე ღმერთია ყოველ მათგანში. ფერები, ბგერები და სიბრძნისეული სასწაულები ილუზირებით დაეხეტებიან სამყაროს სივრცეში, მათ გენიები უთუოდ ალმოაჩენენ, ხშირად ზეციდან წარმოსახვებით მოეწოდებათ რეალიებით-შედევრებად.

პლანეტის ცივილიზაციების საწყისსათავეებიდან ერთეულებია ზენაართ რჩეულნი და მათ შორისაა მოკიაფე ვარსკვლავად „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი...

აიეტ და ფარნავაზ ლეგენდარული მეფეების მოუშინაურებელი არწივები კი დღემდე, გაშმაგებით და დაუსრულებლად ყივიან შორეული ისტორიიდან.

გულღიად წმიდანივით შეხედეთ საქართველოს სასწაულებრივ მრავალფეროვან ბუნებას: ზღვას, კავკასიის მთებს, ტბებს, მდინარეებს, ცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს. ზღაპრულ ღამეებს როგორც მთისა, ასევე ბარისა. ერს ულამაზესს, რომელიც მართლაც რომ წმიდა ნინოსა და გიორგისეული სულიერი დახვეწილობისაა, ამდაგვარ საღვთო გარემოს, რა გასაკვირია, რომ მოევლინენ საერთაშორისო გენიები: რუსთველი, ფიროსმანი, ზაქარია ფალიაშვილი, ოშკის, მცხეთის ჯვრის, ხახულის, გელათის, სვეტიცხოვლის, ბედიის მონასტრის და მრავალ არქიტექტურულ საოცრებათა ავტორები, ბექა და ბეშქენ ოპიზრების თუ ხახულის ხატის შემქმნელები. ანდა უძველესი კოლხური ოქროს შედევრ-ნაკეთობანი და ცივილიზაცია...

ველურთა ეშმაკეული მრავალი საუკუნით სხვადასხვა ათასწლეულში გულისამრევი ბატონობა რომ არა, მათ შორის კვლავ უდიდესი პოეზია, პროზა, მუსიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, შედევრ-ფრესკები, ჭედურობა და მინანქარიც შეიქმნებოდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, შხამიანი მორიელების და გველების მტრულ გარემოცვაში ვიყავით მუდამჟამს.

ჩემი მართალი და ჩვეულებრივი გული როგორ უძლებს, მიკვირს, როცა ვკითხულობ ზოგიერთი მეცნიერის ნაწერებს და ვხედავ, სულიერ ჩვენს დიდებას სხვას რომ მიაკუთვნებენ, ან გადაზიარება ხდება. ზევით უკვე შემოგჩივლეთ, მხოლოდ მწიგნობრობა, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები თუ აკადემიები არ წყვეტენ ხელოვნებისა და მეცნიერების, ჭეშმარიტების უმთავრეს საკითხს, როდესაც განიხილავთ ლიტერატურულ შედევრს, უნდა იყოთ ღმერთივით, გონგამჭრიახნი და მართალნი, რათა ჩაწვდეთ შედევრისეულ ვინაობას, სრულყოფილებას და მერმე ზეცასავით სუფთა ანალიტიკური აზრები უნდა დააფიქსიროთ, თუ არადა დიდ ზიანს აყენებთ ხელუხლებელ სიმართლეს და ღვთიურ ქმნილებას. დიახ, მდიდარი ბუნება და ღვთიური სილამაზის გარემო ხომ ჯანსაღი საშოა გენიისა. ანუ ქართული ხალხური მუსიკა-სიმღერები, წარმართობიდან მოყოლებული, განა კახური ჰანგ-ჰარმონიები, გურულ-იმერული, სვანური, რაჭული, ქართლურ-მესხურ-მთიულურ-ფშავური, აჭარული, აფხაზური და ლაზურ-მეგრული ზღვის სივრცისმიერი მელოდიები არ ზრდიდა დროთა ჟამში ქართულ გენიას და ხვეწდა პლანეტის კეთილშობილსა და უვნებელ რასას...

ბრმად ორგულ-შურიანთა გასაგონად: მარადიულობიდან ჩვენი მზის სისტემის ფენომენალურმა უწყვეტმა სხივმა და უახლოესი გალაქტიკის, ირმის ნახტომის, გენმა ააშენებინა და შეაქმნევინა შოთა რუსთველს უნიკალური და მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურა-პოეზიის მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით ციურ საძირკველზე ნაგები სასახლე, რომელშიც უძველესი პელაზგებისეული ცისფერი სიმართლის მიუკარება ფუნდამენტია ჩაკირული. ისტორიული სიმართლეა პელაზგების ფესვებმა გამოკვებეს და აღზარდეს საოცრება ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიის უზარმაზარი ხელოვნებისა თუ ფილოსოფიის მუხის უკვდავი ღვთიური, ცამდე მწვდომი ხეებიც.

თუკი ეროვნულ მეცნიერულ ნიადაგზე ისტორიულად სიმართლეს გრძნობთ და ძლიერ განიცდით, ასევე ბუნებრივი მტკიცე შეგონებითი ალღო გაქვთ, რომელიც ზეენარი ინსტინქტის ძალებიდან ჩაგედინება, მაგ შემთხვევაში პროფესია, ხარისხი, ანუ ხელისუფალთა პრემიები რა სახსენებელია. წმიდანური ველური შემოქმედებითი სივრცე მხოლოდ ხელოვნებას კი არ გააჩნია, არანაკლებ მოუშინაურებელ საუფლოებშია ისტორიასა და უთუოდ ნებისმიერ მეცნიერებაში. ხშირ შემთხვევაში მთავარი არაა გადაყოლილი ენციკლოპედიური ცოდნა, არამედ უმთავრესია, როგორც ვთქვი, ინტუიცია: მასალათა მართალი გაანალიზება, თემათა ჰაეროვანი ჩამოგზავნა კოსმოსური უმდიდრესი სივრცეებიდან; ზესამყაროს მეხსიერებათა უშეცდომო ჩამოწოდება ხომ წარმოსახვების უმტკიცესი ქარბორბალა არხებით მომდინარეობს, რომელიც კოსმიურ მნათობ აკადემიას წარმოადგენს... შლიმანმა, ალბათ, ზოგადად თუ იცოდა ძველი კოლხეთის ისტორია, მაგრამ საიდან? – ზუსტად ვიციო, ქალაქ აიას ადგილმდებარეობაო, რომ განაცხადა. აი, სადაა მარადიულობის მეხსიერების სამარხები, რომელთაც მხოლოდ გენიები ფლობენ, აღიქვამენ და ხედავენ... დედამიწის სხვადასხვა კონტინენტებზე რად უნდა ვეძიოთ ქართული უძველესი ცივილიზაციის ფესვები, როცა ისტორიის შორეულ მოვლენებში გამშუქებელ სხივებად გარკვევით ჩვენშივე ისახება. ასე რომ, მეცნიერებო, ნუღარ ჩაერევით, ულვთოდ და მოურიდებლად ნუ შეანჯღრევთ ბაჯაღლო ოქროსძარიან, უმშვენიერესი პოეზიის მანქანას, რომელიც ზღაპრულ შემოქმედებით შარაზე ყველგანმავალია, როგორც შიშველ მგრძნობიარე მიწაზე, ასევე კოსმიურ ზესამეფოებში, რადგან ის ურყევი დიდება, სამყაროსეული მშვენიერების ჰარმონიული პოეტური უხილავი მეცნიერება და ქართული მხატვრული სულიერებითაა ნაქარგი...

ცოცხალთათვის მიუწვდომლობაა საფლავთ დუმილ-ფიქრი; მაგ უკუნეთ ცრემლშემშრალ სევდაში ყველაფრისა და ყოველივეს ჩაკარგვაა; უთუოდ ირგვლივ მჩქეფარე სიცოცხლეშივე უმძაფრესი ჩასაფრება ტკივილ-სიკვდილია, ჩაკირული უცხო მეხსიერებითა და გაურკვეველი უჯიუტესი მოძრაობით. დაუსრულებელი გასაიდუმლოება მათ რომ გააჩნიათ მარადიულად ჩასვენებული უკვდავი მზეა ჩამქრალი. ამდაგვარი აზრ-ფიქრები მიტრიალებს შოთა რუსთველის დაკარგულ და გამქრალ საფლავს ფერწერულად ჩემი პლანეტარიუმის მიდგომით რომ ვხატავ და ვიხილავ ხოლმე ვარსკვლავეთის მიუვალ პანთეონში, ანუ ვარსკვლავოპანთეონი... პანთეოკოსმეონი (ჩემეული აღმოჩენაა), რომელიც ზეცაზე წარმოიშვა მეთორმეტე საუკუნეში და ანგელოზებმა პირველად შოთა რუსთველი დაასვენეს...

ყოველივე ამას მათთვის ვწერ, ვისაც ეამებათ ჩემი სუფთა ქართულგანწყობილებიანი ნააზრევ-ნაამბობი; თუ არა – ის ნამდვილად კეთილი გულით მეცოდება, რადგან განუკურნებელიაო მართალთა მიმართ განდგომის გონებრივ უკეთური სენი.

ახლა შევეხოთ აზრ-ვერსიათა თავშეუკავებელ ხეტიალს.

რაში სჭირდებოდა შოთა რუსთველის დაუოკებელ იშვიათ გენიას აღმოსავლეთით გახედვა ან სამხრეთ-დასავლეთით, თუგინდ თავისივე სამშობლოს ხალხური თქმულებების და არაკების აკრეფვა, რათა მასში თავადვე იჯდა, როგორც მოარული იგავ-არაკები თუ ფანტასტიური თქმულებები, რაც მთავარზე უმთავრესია შორეული სივრცეების უდრეკი შემოქმედებითი ფანტაზიის ენერგია, როდესაც მგოსნის სხეულში და სულ-გონებაში წარსულის ათასწლეულთა ფანტასტიური აზრფორმათა შინდისფერი ხვეულები რომ ელაგა. მათგან შევნარსულდები: შუმერული, პელაზგური, ეტრუსკული, ქალდეური საოცრებანი და ხეთების ცივილიზაციის უშორესი სხივებიც ირეკლებოდა; დიდი შემოქმედის ნერვიული და გონებრივი სიახლის შექმნის ქსელით დაბანდული იყო, კერძოდ, უძველესზე არქაული პელაზგური ჩაუქრობელი უკვდავებით, როდესაც მგოსან-მოციქული ფლობდა კოლხურ-იბერიულ სულიერებას და თავისი ქართული დროის ოქროს ხანის სიბრძნე ამდიდრებდა; იქვე რწმენით აძლიერებდა იესო ქრისტეს ჰუმანური მოძღვრება და ულრმესი თანამედროვეობის საერთაშორისო განათლება, რომელსაც უკიდეგანო კოსმოსი ავსებდა ბრძენი პოეტი ალმასბრილიანტ სხივთ ნაკადად. მგოსანი დღენიადაგ იქით გასცემდა ზეციურ სიმდიდრეს. იყალთოს და გელათის აკადემიებში გამობრძმედილმა გენიამ შექმნა მსოფლიოში უძლიერესი და უნიჭიერესი სიახლე პოეზიის კოსმოსი, ხალხთა სიბრძნის უნიკალური ინსტიტუტი და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნება.

ღიმილის მომგვრელად ტყვედ მყოფი დიდი მეცნიერები, ვისკენაც გონების ხელს იშვერენ, რითაც არასწორ კვლევებს გვაწვდიან, ისინი ხომ რამდენიმე ათასი წლის წინ უძველესი ქართული ტომების მიერ სიბრძნე-გონებით ნაძერწი ერებია. ამ შემთხვევაში ისევ დავასახელებ უძველესი ისტორიისა და ისტორიამდელ ხალხთა ნუსხას: ქალდეველები, შუმერები, პელაზგები, ეტრუსკები, ხეთები, უძველესი კოლხები და გენიალური ჰეგელის ზეადამიანური სიტყვებით დავამთავრებ: კოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი... დანარჩენი ხედვა სიცარიელისკენაა.

რამდენიმე ასეული წლის მერმე გენიალური გოეთე დაწერს: „რწმენა საწყისი კი არა, ყოველი სიბრძნის დასასრულია“. ფერწერის ვარსკვლავსაც – ვან გოგს ეყო გამბედაობა, რომ დაეწერა: „რაც უფრო რელიგიური ხარ, უფრო მალავ შენს სათქმელს“. თუმცა მხატვარი ყოფილი მღვდელი გახლდათ. როგორც მოგახსენეთ, მიწიერ-ზეციური გენია კოსმიური უშრეტი ენერგიის ფენომენია, რომელიც ოდითგანვე რელიგიებზე მაღლა მდგომია...

იშვიათ მოვლენა-მგოსანს და დიდ მოაზროვნეს შესწევდა ძალა და უნარი, თემათა თუ ნაწარმოების ფაბულათა ცოცხალი ორგანიზმის უსასრულობის ნაკად-მოსვლისა, რომელსაც მზით ნაფერი წარმოსახვა, აღმატებული ფანტაზია და მუზები, დღედაღამ ტალღურ-სინქრონულად თავს დასტრიალებდა, რითაც სიყვარულის, სიკეთის, გმირობის, თავდადებულობის, მეგობრობის, მიმტევებლობის ზეადამიანურ ენით აღუწერავ მრავალ მიდრეკილებას უკიდურეს სიღრმემდე წვდებოდა და ზნეობრიობის სიახლე მაცხოვრისეულ აზრ-შეგონებით ნათელ თვისებებს ვარსკვლავეთურად დიდ პოეზიაში ავრცობდა...

უსათუოდ უძველესი რელიგიები და რწმენები, როგორც ყოველთვის, შეაბერდება სამყაროს მარადიულ ცვლილება მთლიანობის ცივილიზაციურ გარდამავლობას, ხოლო ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ ათ მცნებასავით პლანეტიდან ვარსკვლავებზე ბრილიანტებასხმულ ოქროს ბირთვად იგორავებს, რომელიც ანტიკური ზეგენიის ფიდიასის ქანდაკებების მხატვრული უფაქიზეს-უმკვრივესი ნატიფი ფორმებივით გაუცვეთავია. დიახაც, ვიტყვი სიმართლეს, ქალდეველების, შუმერებისა და პელაზგების მიერ აღზრდილ-ნაკვები ერებისგან რა უნდა მიეღო განსაკუთრებული მათივე ძირუბერებელ აგორებულ ნაშიერს?! მეგობრებო, ჩვენს ისტორიას შავი ღრუბლებით ნუ დავფარავთ, თორემ ყველანი ჩვენ მასწავლებლებად და მოქიშპეებად გაგვიხდებიან.

საკვირველია, რომ უძლეველი დრო უფუნქციოდ გაურბის მათ. აქედან გამომდინარე, კეთილშობილნო და ზედმეტად თამამნო, ნუ ვაღიზიანებთ უმიზეზოდ ურყევს და თვითმყოფად სამართლიან კოსმოსს, ზნეობის, სიყვარულისა და სიკეთე-სიმართლის უფალს. მათი უშუალო მონაწილეობითი ქმნილება ხომ „ვეფხისტყაოსანია“ ქართულ-მესხურ მარად უკვდავსა და უნოყიერეს ნიადაგზე?!

შოთა რუსთველისეული შემოქმედებითი ხედვა სრული პლანეტისეულია, მგოსნის უზომო ფანტაზია გადასწვდა დედამიწას და მისი მდიდარი პოემის გმირები, სხვადასხვა ეროვნებისანი რომ არიან, არ დაგვაბნიოს ახლომხედველობითობამ. ქართული სულით და გენიით პრაქსიტელივით ძერწავდა მათ ხასიათებს, მოვლენებს და ამითაა „ვეფხისტყაოსანი“ კაცობრიული, მგოსნის შემოქმედებითი გენია ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანივით დაქროდა უკიდეგანობაში...

როდესაც საქვეყნოდ პირველი მგოსანი დიდი ფილოსოფოსია, მგონი ნებისმიერ მხოლოდ ფილოსოფოსზე არანაკლებ წარმატებულია უფლის და მიუკერძოება სამყაროს აზროვნების წინაშე...

ჭეშმარიტად განღმერთებულ რუსთველს ავსებდა და აწიოკებდა უძველეს, მიწად ქცეულ საფლავთა ბნელეთური იდუმალება, მათი მიუწვდომელი კვნესა, მხოლოდ სულის უკუნეთთან გაურკვეველი ბრძოლა, ფერწასული სევდა, არამზისქვეშეთური დარდი და სიკვდილთან დამარცხების წუხილი; ყოველივე მიწა-პატრონმა რომ გადაიბარგაითავისა უვადოდ...

მგოსან-ფილოსოფოსს და კაცთა შორის ზნეობათა უფალ-კოსმოსივით დამკანონებელს საკუთარი გამოკვეთილი ბედ-ვარსკვლავი თან სდევდა, განსაკუთრებით აზრთ გამოქანდაკების ჟამს და პოეტური უზადო მხატვრული გემოვნების გამოვლენისას, შოთა რუსთველის ლექს-პოემის განსაკუთრებული პლანეტისმიერი სივრცეში საამო შემავსებელი გუგუნის ხმა მშვენიერი ხომ დამოუკიდებელი და განსხვავებულია მსოფლიოს ნებისმიერი დროის პოეზიისგან. ამიტომ, მომავლის მართალო და იდეურად ამაღლებულო მეცნიერებო, მხატვრებო, კომპოზიტორებო, ვარსკვლავეთური ფორმით და სივრცითი სახის აზროვნებითი გზით შეიძლება ყოვლისშემძლესთან რეალური მიახლოება, რომელიც საბოლოოდ ისევ ირეალურ სახე-ფორმას მიიღებს... (რაც კოსმოსის ხასიათ-თვისებაა), რომელსაც ვერ განვეშორებით.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ციური ასპანიძე-მესხიშვილისა

### დედას!

როცა მოვდივარ შენთან ხოლმე, გაზაფხულია!..
როცა გშორდები – მაცილებენ სევდის ფერები,
ვგრძნობ, როგორ ხარობს შენი სევდა, შენი ცუგრია
და როგორ კრთიან სიხარულით, თბილი ხელები...
გიმზერ და გამჩნევ, მონატრებით, რა ძლიერ ტკბები,
ვხედავ, რა გრძნობით მილამაზებ ცარიელ ჩანთას,
არა, დედიკო! – არ მაწუხებს შიმშილის წლები...
გთხოვ, გამატანო ის ბავშვობა, შენთან რომ დამრჩა!..

### თმოგვის ციხეს

სარგის ( გ ე ლ ა ) თმოგველს

იცოდე, რომ ამაღამ, შენთან, ჩუმად დავრჩები,
ქარავანი გავძარცვე, – მოგიტანე ფარჩები,
როგორ ჩამოგძონძია ის ლამაზი ქობანი,
ალბათ, გამვლელს ჰგონიხარ, ვიღაც მწყემსი, ჩობანი...
კვლავ თავს რომ არ დაგესხას, მგელია თუ ხონთქარი,
უნდა ვთხოვო ღვთისმშობელს, წაგიკითხოს ტროპარი!..
წუხელ ვნახე სიზმარში, გელა ბიჭი ტიროდა, –
მიცურავდა კალმახი, მტკვარის სანაპიროდან....
ნეტავ, მაშინ, იმ დროში, ღმერთო, რად არ მაცხოვრე?!
ვიქნებოდი იმ გმირის ღირსეული საცოლე!..
ვინც რომ თავის ლურჯათი, ქარაფიდან იფრინა,
მტერი, საოცარ გმირებს, თითზე ველარ ითვლიდა!..
მიწაზე არ დაეშვა, მისი დროშის ტარია!..
ჰაერში შეასრულა თორმეტჯერ მეტანია!..
ნეტავ, მაშინ, იმ დროში,... ღმერთო, რად არ მაცხოვრე?!
ვიქნებოდი ამ გმირის ღირსეული საცოლე!!!..

### ქვაბიკარის ჩანჩქერი

ქვაბიკარის ჩანჩქერი, როგორც დალის დალალი,
საროს მთებს რომ გავცქერი, მოჰქრის ჰარი-ჰარალით!
ხელთუქმნელი ლოდები, ანტიკური ხანისა,
გულზე ხავსის მოდებით, მზემ ძლივს გაახალისა...
ქვებს რომ ვესაუბრები, ფოთლებს არხევს თავშავა,
საროს შავი ღრუბლები ახურია თავშალად...
თითქოს მეფე ერეკლე, გადაჰყურებს ქარაფებს,
სადაც არის, ბრძოლისთვის, კვლავ არწივებსააფრენს...
ბადრი მთვარე ღრუბლებში, უფლად გამოკვანძულა! –
ურმის ჭრიალ-ჭრიალით, საროს მიდის მანძულა...
ღამე არის ნათელი, ღია, სადაფისფერი,
შავშეთიდან მოდიან ტაოს ასპანისძენი!..
ქვაბიკარის ჩანჩქერი, როგორც დალის დალალი,
საროს მთებს რომ გავცქერი, მოჰქრის ჰარი-ჰარალით!..

### თეთრი გვირილა

(ი.გ-ს და ი.კ-ს)

შენ, ჩემი გაზაფხული ხარ,
მაისის ვარდი ხვიარა,
გუშინ ბაღჩაში შეგნიშნე,
მთვარემ რომ ჩამოიარა...
ხელში შენ კოკა გეჭირა,
იმას ლამაზი დაირა,
ვერცერთმა ვერ შემამჩნიეთ,
მე რომ გიქნევდით ბაირაღს.
ჰოდა, მეც, ჩუმად გაგშორდით!..
გამოვედევნე ყაყაჩოს,
ცრემლებს რომ ველარ ვაშრობდი,
იმანაც კოცნით დამაღრჩო...
მზემ ციდან გადმოიხედა,
შენს ნაცვლად გამიღიმილა,
თავზე გვირგვინად დამადგა,
თეთრკაბიანი გვირილა!..
......
,,თეთრკოფთიანო გვირილავ“,
შენ, რაღამ გაგაღიმილა?!
,,ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ“,
სულ გეკითხები, დილიდან!
თეთრი, ქათქათა ფურცლები,
მკერდზე დავისხი ღილებად,
გახსნის უფლებას მივცემდი,
იმას, ვინც გამიღიმებდა!..

### ირინე!

(სალაღობო)

ყვავილები იყიდეთ! – ერთი კონა მანეთად,...
სად ხარ გოგო, ირინა, აირინ თუ ირინე?!
ჩუქურთმიან კარებთან, ჩამომდგარა კარეტა,
შენ ხომ არ გვითხოვდები, აირინ თუ ირინე?!..
ჯვარს იწერენ ტაძარში ანტუან და ანეტა,
შენც ხომ არ დაიწერდი, აირინ თუ ირინე?!..
ცაზე გაჩნდა პლანეტა, თუ ვარსკვლავი მთვარეთა?..
შენ ხომ არ გამიღიმე, აირინ თუ ირინე?!
დღეს ვარდები გიყიდე, ცალი ათას მანეთად...
მარგალიტა მეგონე, აირინ თუ ირინე!..
ფიროსმანი არა ვარ! არც საქმე მაქვს მხატვრებთან...
ცოლად მინდა შეგირთო, აირინ თუ ირინე!..
ნათლიებად მოდიან: ანტუან და ანეტა!..
ალბათ, არ გეწყინება, აირინ თუ ირინე!
კართან ჩამოგიყენე ეტლია თუ კარეტა,
თეთრი კაბაც შიგ არის, აირინ თუ ირინე!..
ქოში დამვიწყებია!...დამაბნია რა რეტმა?! –
ცოლად ველარ შეგირთავ!..აირინ თუ ირინე!!!..



### ძველი სახლი

ჩვენ რომ გვქონდა ძველი სახლი,
რომ ეხურა ყავრის ქუდი,
ვერ შევცვალეთ დიდხანს ახლით
და ვხარობდით ძველი ბუდით.
ჩუქურთმიან აივანზე
ძველი კაბა ქანაობდა,
ფისოს გათხრილ ორმოებში
ჩიტბატონა ბანაობდა...
კუნტრუშებდნენ ბოჩოლები,
წივწივებდნენ წიწილები,
რომ გენახათ ქოჩორები,
გულიანად იცინებდით.
ფისო გორგალს აგორებდა,
წინდებს ქსოვდა ცუგა თათით,
ო, რა ტკბილად მაგონდება
იხვის ჭუკი ჭრელი ბაფთით...
ბაღის ბოლოს ბალამწარა,
გვერდით მწვანე კეხურები,
გვერგებოდა თაფლ და წამლად...
ვფიცავ, –
კი არ გეხუმრებით!
უფლის სუნი ასდიოდათ
მზისთვალება იასამნებს,
სოფლად ხმები დადიოდა,
უყვარდაო ლია სავლეს!
უყვარდაო!.. ბიას შინდი,
ჭორაობდნენ ქლიავები,
გაწვებოდა ცაზე ბინდი,
მთვარეს, ველარ მიაგნებდი!..
ციცხვი ქვაბში ჩამხტარიყო,
დოინჯები მოეყარა,
ზღაპარ იყო, აღარ იყო!..
დროს ის სახლი მოეპარა.
ჩვენ რომ გვქონდა ძველი სახლი,
რომ ეხურა ყავრის ქუდი,
ვერ შევცვალეთ დიდხანს ახლით
და ვხარობდით ძველი ბუდით.

### თუნგულა და თუნგი

ჩვენ რომ გვქვნდა საზიარო ჭა და,
თქვენ რომ გქონდათ საზიარო თონე,
ჩვენ სახლიდან თქვენი სახლი ჩანდა,
მახსოვს, კიდეც!... როგორ გადმოთოვლე...
კრამიტებით დახურული სახლი,
თოვლის მთებში ჩიტის ბუდეს გავდა,
სახურავზე მზეს დაედგა ვარცლი
და ბეღურებს დილით ხელ-პირს ბანდა...
კიდევ, გინდა, გაგახსენო რაღაც?!
გახსოვს?! – ჩვენი დახუნძლული ხურმა,
ტატიანე ბებიკონა, მართლაც,
მიაბამდა, ხოლმე, თავის სურმას...
ერთ საღამოს, ჩამობნელდა, ვიდრე,
ხმელი ჩალით ამოუვსო ბაგა,
ფოსტის კაცმა, მივამსგავსე ხიდრელს,
იმ ხურმაზე ჩამოკიდა აბგა...
სამფეხათი გამოუდგა წამში
ბებომ, თხილი და არაყის ჭიქა,
ტრიფონია ფოსტალიონს თვალში,
ეშმაკურად აუცეკვდა ჭინკა...
უცნაურად გამიღიმა მე და
ეჭვისთვალით მიაშტერდა საფქვავს,
მერე უცებ ადღეგრძელა მზე და...
წერილებით ყველაფერი დაფქვა!..
ჩვენ რომ გვქონდა საზიარო ჭა და,
მე რომ თქვენთან მოვდიოდი თუნგით,
თურმე, მთვარე, ეჭვის თვალით მჭამდა,
დამყვებოდა ვარსკვლავების გუნდით...
თუ გიყვარდი, ვერ მითხარი მაშინ?!
შე, სულელო! თუ გიყვარდი, თუკი?!
ახლა მივხვდი, რად ჩავარდი ჭაში
ჩემი ვერცხლის თუნგულით და თუნგით!..

### ბები!

შემოდგომა შემოსულა, ბები!
ჭანჭურები ჩამომსკდარან ხიდან!..
ვუყურებ და მათი ცქერით ვტკბები,
თითქოს თაფლი დაეწუროთ სკიდან...
ახლაც ვნატრობ იმ უტკბილეს წუთებს,
სალაზე რომ მიჩირავდი ხაზულს,
ტუჩები რომ უსკდებოდათ თუთებს
მზისგან, ისე, როგორც მთვარის ასულს...
დიდ ქვაბში რომ თუხთუხებდა წო და ...
მღეროდა და თან ცეკვავდა ციცხვი...
შენი შიშით, ბუზ-ფუტკარი ძრწოდა,
ბევრი იყო, თუმცა მათი რიცხვი.
მო! – სიზმარში შემისწორე ბაფთა,
გამიკეთე ცოტაც თუთის ხმელი,
მომენატრა შენი თბილი კალთა
და ტყლაპისგან ამოსვრილი ხელი...
შემოდგომა შემოსულა, ბები!
შენ წასულხარ და საფლავში გძინავს...
გული მტკივა სხვის ტყლაპების ცქერით,
აღარ მყავხარ, გამიკეთებს ვინ?! რას?!..

### ხომ არ გინახავთ?!

სად დამეკარგა ჩემი ბავშვობა?
ხომ არ გინახავთ? – ვერსად ვიპოვნე!..
ველარ მოასწრო კაბის გაშრობა
და ეს ზღაპარი გამოვიგონე:
გოგო რომ იყო ერთი კუდრაჭა,
თმებზე პატარა, ორი კიკინით
და მოჩითული მოკლე კაბიდან
სულ რომ უჩანდა თეთრი ბიკინი...
სულ რომ დახტოდა ტოტიდან ტოტზე,
ფრთა რომ მოჰპარა ციცქნა ნიბლიას,
უფლისჩიტები, ალუბლის რტოზე,
ფოთლობის დროს რომ წერდნენ ბიბლიას!..
იფნის წყაროზე გარბოდა დოქით,
პირს უგრილებდა სულტკბილ ბებიას!
გოგოს და ბებოს ბადიშობაზე,
ახლაც ჯადოსნურ ამბებს ყვებიან...
ასეც ამბობენ: გოგომ და ბებომ,
დამალობანა ითამაშესო...
იხუჭებოდა მუდამ ბებია
და ახარებდა ამით ბავშვებსო!..
ერთხელაც ბებომ დახუჭა თვალი,..
სხვა რაღა გითხრათ ამ ამბავიდან?!
ისე გაიზრდა პატარა ქალი,
ველარ გამოდის სამალავიდან!..



# თამაზ ჩიკვაიძე

## ჭიაბერის შეწირულობის სიგელი და შოთა რუსთაველი

გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესწავლის დროს, მეცნიერ რუსთველოლოგებს ძალიან მცირე მასალა ჰქონდათ, რაც ძალიან ართულებდა ჭეშმარიტების დადგენას. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ყველა შოთაზე, რომელთა შესახებ ცნობები შემოუნახავს მატიანეებს, სიგელ-გუჯრებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს თუ სხვა საისტორიო წყაროებს, რომელთა მოღვაწეობის დრო გარკვეულ ფარგლებში მაინც შეიძლება დამთხვეოდა შოთა რუსთაველის ცხოვრების ხანას. მათ მიერ აღნიშნული იქნა რამდენიმე პირი: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე გამოსახული **შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი,** ჰერეთის ერისთავი **შოთა კუპრი,** აჯანყებულ დემნა ბატონიშვილის ბანაკში მყოფი **შოთა ართავაჩოს-ძე.** ჭიაბერის სიგელზე ხელის დამრთველი, **ჟინვანის მქონებელი შოთა,** ქვემო ქართლში მდებარე **სოფ. აძიკვის ბარელიეფის წარწერაში მოხსენიებული შოთა,** ბორჯომის რაიონში, **ქვაბისხევის ფრესკაზე გამოსახული შოთა,** ზარზმის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული **შიო შოთა ყოფილი.**

იმ რამდენიმე შოთას შორის, რომელთა სახელიც ფიგურირებს რუსთაველის ბიოგრაფიული პრობლემების კვლევისას, ერთ-ერთია **ჭიაბერის შეწირულობის სიგელში** მოხსენიებული შოთა.

**ვინ იყო ჭიაბერი?**

მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დიდი ამბები მოხდა. 1177-1178 წლებში **დემნა უფლისწულის** მიერ მეფე **გიორგი მე-3**-ის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას, რომელსაც მისი სიმამრი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი **ივანე ორბელი** ხელმძღვანელობდა, ქვეყნის მთელი რიგი დიდგვაროვანი ფეოდალებიც მიემხრო. აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ მეფე მოულოდნელი თავდასხმით შეეპყროთ, მაგრამ დროულად გაფრთხილებულმა მეფემ თბილისში შეასწრო, გამაგრდა და თავის მომხრეებს მოუხმო.

**დემნა გიორგი მეფის უფროსი ძმის – დავითის შვილი** იყო და ბიძას სამეფო ტახტის მიმტაცებლად თვლიდა.

რაკი გიორგი მესამე პირველ ხიფათს გადაურჩა და გაძლიერება იწყო, მის მოწინააღმდეგეებს ყოყმანი შეექმნათ. მეფემ ისარგებლა აჯანყებულთა ამ სისუსტით და გაბედული შეტევით ჯერ კოჯრიდან გააქცია, შემდეგ სამშვილდეც წაართვა, ტაშირში ავიდა და გარს შემოერტყა ლორეს ციხეს, სადაც დემნა უფლისწული და მისი ერთგული ივანე ორბელი იყვნენ გამაგრებული.

მეამბოხეთა სიმტკიცე მალე გატყდა. მრავალი მათგანი მეფეს მიუვიდა და შეცდომების პატიება ითხოვა. მეფემ აჯანყებულთა მოღალატენი დიდი პატივით მიიღო, რამაც დანარჩენ მეამბოხეთა სიმტკიცე კიდევ უფრო მოშალა. აჯანყებულებმა ლორედან მოციქულები გაუგზავნა მეზობელ თურქ ხელმწიფეებს და დახმარება სთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში მეფე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, აჯანყებულთა მხარე კი სუსტდებოდა. თამარის ისტორიკოსის მიხედვით, აჯანყებულებმა გიორგის ორი ფრონტი გაუხსნეს – ერთი ლორეს გამაგრებულ ორბელთა მეთაურობით და მეორე – ჰერეთს, სადაც მოვიდნენ *„ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა: აქ იყვნენ და აჯანყებულთა მხარეზე იბრძოდნენ გრიგოლ ასათის-ძე, ივანე ვარდანის-ძე და შოთა ართავაჩოს-ძე. ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, აჯანყებას მხარს უჭერდნენ „ქართლის ერისთავი, ღოღორელები, ხოჟორნელები, ჯავახურნი, კახა შვილებითურთ, გამრეკელ დიდი, ჯაყელი მემნა, ტაშირელები, ჰასან კაენელი, გრიგოლ აპირატიანელი. ზოგმა მათგანმა ადრე დატოვა აჯანყებულთა ბანაკი – მაგალითად ხოჟორნელებმა, დიდმა გამრეკელმა, სარგის მხარგრძელმა შვილებითურთ.*

*აჯანყება საბოლოოდ დამარცხდა. დემნა უფლისწული მორჩილებით გამოცხადდა მეფესთან, დამორჩილდა მეფეს ივანე ორბელიც.*



*მეფემ დამნაშავენი გაასამართლა და „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი". დემნა უფლისწულს თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს. სიკვდილით დასაჯეს ივანე ორბელი, მისი უმცროსი ძმა ქავთარ, შვილი ივანესი სუმბატ და ძმისწული ინა“.* ივანე ორბელის სახლიდან ცოცხალი მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც ამ დროს ქვეყნის გარეთ იმყოფებოდნენ.

სასამართლოს დარბაზის გადაწყვეტილება ეკლესიასაც განუმტკიცებია და განდგომილ-ექსორიაქმნილნი შეუჩვენებია, – ეკლესიის მიერ შეჩვენებული სამოქალაქო უფლებააყრილი იყო. აჯანყებამდე ორბელებს გიორგი მესამის კარზე ჰქონდათ ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, ამირახორის და მეჯინიბეთუხუცესის სახელოები. პირველი ორი თანამდებობა უფროს ივანეს ეპყრა, ხოლო ორი დანარჩენი კი, რომელიც აგრეთვე სამხედრო უწყებაში შედიოდა და ამირსპასალარს ექვემდებარებოდა, უმცროს ძმებს – **ლიპარიტს** და **ქავთარს.** გიორგი მესამემ ამ ამბოხების დროს, როცა ყველა ორბელის პოზიცია სავსებით გარკვეული იყო, აჯანყების მონაწილეებს მის დამთავრებამდე წაართვა თანამდებობები და მათ ადგილებზე თავისი ერთგული პირები დანიშნა. ამას უნდა გამოეწვია როგორც ნაყივჩაღარ **ყუბასარის** ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად დანიშვნა, ასევე **ჭიაბერის** აღზევება მეჯინიბეთუხუცესად. ახალ თანამდებობაზე დანიშნული ჭიაბერი მაშინვე გაიგზავნა აჯანყებას მიმხრობილი ჰერ-კახთა წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი მესამის საშინაო პოლიტიკის ერთგული ჭიაბერის შემდგომი დაწინაურება თამარ მეფის დროს, კერძოდ, მაშინ, როცა დიდგვარიანები გიორგი მესამის მიერ აღზევებულთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. გიორგი მესამის მიერ „გაზრდილი ყუბასარის" ერთი თანამდებობა – მანდატურთუხუცესობა, ისევ მეფის მიერ „გაზრდილმა ჭიაბერმა“ დაიკავა. იგი დიდ ოპოზიციურ ძალებთან ბრძოლის დროს დაწინაურდა და მისი როლი სამეფო კარზე განსაკუთრებით გაიზარდა ამ სახელოს მიღების შემდეგ. ჭიაბერი აქტიურად მონაწილეობდა **გიორგი რუსის** აჯანყების ჩაქრობაში და პირველთაგანი იყო იმათ შორის, რომელთაც აჯანყებულთა ერთი ძირითადი – ჯავახეთის დაჯგუფების განადგურების შემდეგ გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ მეორე დაჯგუფებას – ქართლში დაბანაკებულ აჯანყებულებს.

ჭიაბერი მიუხედავად იმისა, რომ მანდატურთუხუცესი იყო და მის, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეთა გამგებლის მოვალეობას, საგარეო ომების დროს, უფრო ზურგის დაცვა შეადგენდა, ვიდრე ბრძოლის ველზე მოქმედება, აქტიურად მონაწილეობდა შამქორის ბრძოლაში და მისი გამარჯვებით დამთავრების მახარობელიც იყო. საგულისხმოა, რომ შამქორში გამარჯვების შემდეგ გამართულ დარბაზობის მონაწილეთა „დარბაზის რიგის მოხელეთა“ შორის ჭიაბერი მეორედ მოიხსენიება მწიგნობართუხუცესის შემდეგ და ამირსპასალარის წინ. ეს კი გიორგის და თამარის წინაშე დიდი დამსახურების მქონე მოხელის განსაკუთრებული პატივის მაუწყებელია.

გარდაცვალებამდე ჭიაბერი იყო თამარის სამეფო კარის უცვლელი მანდატურთუხუცესი – ერთ-ერთი პირველი დიდმოხელეთაგანი. გიორგი რუსის აჯანყების მარცხის შემდეგ, თამარის მომხრეთა ერთი ჯგუფი ახალ თანამდებობაზე დაინიშნა, ზოგს ქვეყნები უბოძეს, ზოგს კი სახელოებიც და ქვეყნებიც: *„მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის სპასალარისას, მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი ქალაქი და ციხე მრავალთა მთიულეთითა“.*

დაახლოებით 1190-91 წლებში ჭიაბერი თავის ჟინვანის საკუთრებიდან შიო-მღვიმის მონასტერს სწირავს ერთ მამულს, რასაც შესაბამისი სიგელით აფორმებს. მთავარი ნაწილი ამ სიგელისა ასეთია:

„... ესე დაგიწერე და მოგახსენე მე მანდატურთუხუცესმა და ამირსპასალარმან ჭიაბერმან, პირველად შენ სასოსა და შესავედრებელსა წმინდა მამასა შიოს, და შენ მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვიმესა... ჩემსა ჟინოვნისა ქონებას, შინა (ე.ი. ჩემს ჟინვანში მფლობელობის დროს) ვჰკადრე და მოვახსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ წმიდასა მამას შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვიმესა და მუნ შინა დამკვიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით (ჟინვანით) მიხითარაისძენი დავითის შვილნი ... მათითა სახლითა და მამულითა ნასყიდითა და უსყედელითა, რომელნი მიიღებდნენ ყოველთა წელიწადსა შინა ცუინსა თხუთმეტსა ლიტრასა... არა შეგეცვალოს ჩემგან, არცა შემდგომად ჩემსა ჟინოვნისა მქონებელთაგან, რადგან მე პატრონთა ღმრთისა სწორთა ბრძანებითა და კითხვითა მიქნია და ვინც რამანცა გუარამმან კაცმან ხელყოს ამისად შლად და გატეხად, კრულმცა არს...

სიგელის ტექსტს მისდევს დამტკიცებანი:

*ა).თამარ მეფისა:*

*„ქ.ესე მანდატურთუხუცესისაგან შეწირულად განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა“.*

*ბ).თვით ჭიაბერის:*

*„ქ. ესე დაწერილი მე ჭიაბერსა, მეფეთ-მეფისა თამარის მიწასა, მანდატურთუხუცესსა, თამარის დღეგრძელობისთვის შემიწირავს იგი კაცი და დაწერილი დამიმტკიცებია და ჩემად სალოცავად – ვინ შეცვალოს, შემცაიცვალების ქრისტეს რჯულისაგან“.*

*გ).კათალიკოზისა:*

*„ქ.ესე დაწერილი, ჩვენ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა თეოდორეს დაგუიმტკიცებია. შემცვალებელნი ამისნი შეცვალნეს ღმერთმან სჯულისაგან ქრისტიანეთასა... დამამტკიცებელნი ღმერთმა აკურთხენ და წმინდამან და წმინდამან დედაქალაქმა“.*

აქ თავდება დოკუმენტის ძირეული ტექსტი. გარკვეული დროის შემდეგ (დაახლოებით მე-12 საუკუნის დამლევსა და მე-13 საუკუნის დასაწყისისთვის) ვინაიდან საჭირო იყო სიგელის განახლება (ე.ი. ხელახალი დადასტურება, დამტკიცება), ახალი მფლობელის მიერ სიგელზე ასეთი წარწერაა:

*„მე, შოთაი, ჩემს ჟინოვნის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შიგან სწერია.*

*ამგვარად, არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს შოთა არის ჭიაბერის შემდეგი დროის მფლობელი, რომელსაც თანახმად არსებული წესისა, განუახლებია წინანდელი მფლობელის სიგელი.*

*საინტერესოა, რომ ეს შოთა მხოლოდ საკუთარი სახელის ხსენებით იფარგლება და არ მიუთითებს თავის გვარს. სიგელი იურიდიული დოკუმენტია და მისი გვარის მოუხსენებლობა მიანიშნებს, რომ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, თუ ვინ არის ეს შოთა. ვფიქრობთ, ეს მის მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე მიანიშნებს.*

*სიგელზე შოთას ხელმოწერის შემდეგ ამავე დროის ხელით ჩაწერილია კიდევ ორი დამტკიცება:*

*ა). „მე ავაგ ორბელი ამისი დამამტკიცებელი ვარ, ხომე წმიდისა შიოს და აქ შიგა სწერია“.*

*ბ). მე იოანე ორბელი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“.*

საინტერესოა მეცნიერთა აზრი იმაზე, თუ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა ჭიაბერი. **აკად. პ.ინგოროყვა** მიიჩნევდა, რომ **ჭიაბერი** ჰერეთის მხარის დიდებულთა წრის წარმომადგენელია, ხოლო შოთა, **ჰერეთის ერისთავი, შოთა კუპრია,** ანუ **შოთა რუსთაველი.**

როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული.

ისტორიკოსი **ს.კაკაბაძე** „ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემის შესავალ ნაწილში ჭიაბერს მიიჩნევს **თორელად,** ხოლო ჭიაბერის საბუთის ხელჩამრთველ **შოთას რუსთაველად და ჭიაბერის შვილად.** ამ მოსაზრებას იზიარებენ ისტორიკოსები **თ.ჟორდანია, მ.ჯანაშვილი, პროფ. ს.ცაიშვილი.**

ისტორიკოსი **ნ.შოშიაშვილი** არ იზიარებს ჭიაბერის თორელობას და აღნიშნავს, რომ, თუნდაც, ჭიაბერი თორელად მიგვეჩნია, ის მაინც ვერ დააკავშირებდა შოთა რუსთაველს თორელებთან, რადგან არსაიდან არ ჩანს, რომ ჭიაბერის საბუთის ხელჩამრთველი შოთა ჭიაბერის შვილი იყო. მისი აზრით, პირიქით, სწორედ ამ ხელრთვიდან ჩანს, რომ შოთა არ იყო ჭიაბერის შვილი.

შოთა ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, რომ ის ამტკიცებს თუ აახლებს მისი მამის შეწირულობას. იგი ასე აღნიშნავს:

*„მე შოთა ჩემს ჟინოვნისა ქონებასაცა შიგან ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შიგა სწერია“.*

ჩეულებრივ კი საბუთის განმაახლებელი ან დამამტკიცებელი აღნიშნავდა ხოლმე თავის ნათესაურ დამოკიდებულებას საბუთის გამცემისადმი.

პროფ. **შ,მესხიამაც** განიხილა ეს საკითხი და აღნიშნა, რომ ნ.შოშიაშვილის მიერ ამ მიმართულებით წარმოებული კრიტიკა მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ არის და ჭიაბერის თორელობის საპირისპიროდ ბევრს ვერაფერს ლაპარაკობს. ***„ამასთან,*** – აღნიშნავს იგი, – *თვით ნ.შოშიაშვილი გარკვევით არაფერს ამბობს ჭიაბერის ვინაობის შესახებ“.*

ჭიაბერის კარიერაში საინტერესოა ერთი დეტალი: – მისი დანიშვნა (როგორც ჩანს დროებით) ამირსპასალარის თანამდებობაზე. ჭიაბერის მოხსენიება სიგელში ერთდროულად მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის თანამდებობაზე უეჭველს ხდის ამ ფაქტს, რომ ჭიაბერი მართლაც ასრულებდა ამირსპასალარის ფუნქციას, თუმცა სიგელის დამამტკიცებელნი და მოწმენი მას მხოლოდ მანდატურთუხუცესად მოიხსენიებენ.

როდის უნდა იყოს შედგენილი ეს სიგელი და როდის უნდა ჰქონოდა ჭიაბერს ამირსპასალარის თანამდებობა?

პროფ. შ.მესხია თვლის, რომ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ამ მხრივ სწორი უნდა იყოს ისტორიკოს თ.ჟორდანიას მოსაზრება, რომ სიგელი შედგენილია 1190-1191 წლებში და ჭიაბერი დროებით ასრულებდა ამირსპასალარის ფუნქციას გამრეკელ-თორელის შემდეგ.

ამ მოსაზრებას ეთანხმებიან **ს.კაკაბაძე, პ.ინგოროყვა, ნ.შოშიაშვილი.**

ამრიგად, ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სიგელში მოხსენებული **შოთა ჭიაბერის შვილი შოთა რუსთაველია,** რომელიც შეწირულების სიგელს ამტკიცებს, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ქვაბისხევის მარიამწმინდის ეკლესიაზე დედასთან ერთად გამოსახული შოთა რუსთაველი არ არის, ვინაიდან შეუძლებელია ფრესკაზე გამოსახული იყოს დედა-შვილი, ხოლო მამა – ჭიაბერი – ქართული სახელმწიფოს იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა, არ იყოს გამოსახული. ეს ჭეშმარიტებაა, მიუხედავად იმისა, რომ ქვაბისხევის ეკლესია იმ დროს თორელთა საგამგეოში შედიოდა.

# ნომადი ბართაია - 75



*ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, დიდებულ ირანისტსა და მთარგმნელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნომადი ბართაიას 75 წელი შეუსრულდა.*

*ნომადი ბართაიას სახელი კარგადაა ცნობილი როგორც სამეცნიერო, ასევე ლიტერატურულ საზოგადოებაში. იგი 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი ლიტერატურული კრებულის ავტორია.*

*ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდება ბატონ ნომადის წერილები და პუბლიკაციები, მათ შორის ჩვენს გაზეთშიც და თავისი მაღალ პროფესიული დონით მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს. მას, სხვა მრავალ ჯილდოსთან ერთად, ქართულ-ირანული ლიტერატურულ ურთიერთობებში შეტანილი დიდი წვლილისათვის მიღებული აქვს ირანის სახელმწიფოს პრესტიჟული ჯილდო – შაჰრიარის მედალი.*

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ღირსეულ იუბილეს ჩვენს დიდ მეგობარს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში. ქვემოთ გთავაზობთ ბატონ ნომადის წერილს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით:*

## მოკლედ დავით-გარეჯის შესახებ

* * *

მას მერე, რაც აზერბაიჯანი არაბთა ბატონობისგან განთავისუფლდა, X საუკუნიდან, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ოთხი დამოუკიდებელი სამთავრო: შირვანის (შამახაში), შედადიანების (განჯაში), სალარიდების (არდებილში) და საჯიდების (სამხრეთ აზერბაიჯანში).

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკურ არენაზე გამოდიან თურქ-სელჩუკები, რომელთა გავლენის ქვეშ, სხვებთან ერთად, აზერბაიჯანელებიც მოექცნენ.

თურქ-სელჩუკებმა, დავით აღმაშენებლის წყალობით, ვერ მოიკიდეს ფეხი საქართველოში, რომელიც ამ დროს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო იყო და რომლის პოლიტიკურ ორბიტაში იყო მოქცეული აზერბაიჯანი.

ქართველები და აზერბაიჯანელები ერთად ებრძოდნენ თურქ-სელჩუკებს. მაგალითად, დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით ქართულ-აზერბაიჯანულმა ლაშქარმა ორჯერ სძლია თურქ-სელჩუკებს – 1117 დ 1123 წლებში, ხოლო გიორგი მესამემ, 1165 წელს ილდეღიზიადთა სამეფოსა და თურქ-სელჩუქთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხა და განჯა გაათავისუფლა.

* * *

ირანში თურქ-სელჩუკთა გამოჩენას და მათ მიგრაციას აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ ირანისკენ სპარსული ლიტერატურული ცენტრის აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისკენ – შირვანშაჰთა კარზე გადაადგილება მოჰყვა, სადაც შეიქმნა შირვანის ლიტერატურული სკოლა, რომლის სიდიადეზე ნიზამი განჯელისა და ხაყანი შირვანელის სახელთა ხსენებაც კმარა.

ამასთან ერთად, მიგრაციის პროცესს მოჰყვა ასიმილირება ადგილობრივ მოსახლეობასთან და მრავალენოვან ქვეყანაში მთავარი ადგილი დაიჭირა თურქულ-აზერბაიჯანულმა ენამ, თუმცა სალიტერატურო ენად, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, სპარსული დარჩა.

* * *

დავით აღმაშენებელმა, რომელიც ერთნაირად იხედებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ, აზერბაიჯანელებთან პოლიტიკური ახლო ურთიერთობა დინასტიური ქორწინებითაც განამტკიცა – ქრისტიანმა მეფემ თავის ქალიშვილი თამარი მუსლიმ შირვანშაჰ მანუჩარ მეორეზე დააქორწინა.

გაჩაღდა კულტურული კავშირები ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის. ჩვეულებრივი გახდა ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებსა თუ კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება და მონაწილეობა, ერთმანეთის ჭირ-ვარამის გაზიარება. თარგმანისა და მიბაძვა-გადაკეთების გზით, დიდი რაოდენობით იწყო შემოდინება სპარსულენოვანმა მწერლობამ ქართულ ლიტერატურაში.

ცნობილია დავით აღმაშენებლის შემწყნარებლური დამოკიდებულება მუსლიმთა მიმართ. არაბ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით, რომლებიც ერთიერთზე ემთხვევა ერთმანეთს, მუსლიმები თბილისში უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე ისლამური სამყაროს ბევრ სხვა ქვეყნებში.

* * *

თანამედროვე უცხოელ პოლიტოლოგთაგან ხშირად გაისმის რადიარდ კიპლინგის მოარული გამონათქვამი: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი – დასავლეთი, ისინი ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს.“

აღმოსავლეთში იგულისხმება ისლამი, ხოლო დასავლეთში – ქრისტიანობა.

ჩვენი აზრით, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ XII საუკუნეში და ის კულტურული ურთიერთობანი, რაც არსებობდა მაშინ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის, შეიძლება ჩავსვათ ცივილიზაციათა დიალოგის, ასე ვთქვათ, ოქროს ჩარჩოში.

დიალოგი ცივილიზაციათა შორის შეიძლება მოხდეს ძალდატანებისა და მშვიდობიანი გზით. აღნიშნული დიალოგი კი მოხდა მშვიდობიანი გზით, რაც, ვფიქრობთ, ერთადერთია ქრისტიანობასა და ისლამს შორის არსებულ ურთიერთობათა ისტორიაში.

ამ დიალოგმა კი, უპირველეს ყოვლისა, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა გულებზე გაიარა.

* * *

VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამა – დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, დასახლდა გარეჯის უდაბნოს პატარა ბუნებრივ მღვიმეში, საიდანაც საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას, რომელიც შემდეგ, საუკუნეთა განმავლობაში, ქართველ სულიერ მამათა სავანე და ქართველ ქრისტიანთა მოსალოცი წმინდა ადგილი გახდა, ამავე დროს, იგი, ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს სამწიგნობრო კერად იქცა.

ცნობილია, რომ ამ სავანეში, ქართველ ქრისტიანთა გარდა, არასოდეს არავინ არ მოსულა და თუ მოსულა (მონღოლები, თემურელები, სპარსელები), არა სალოცავად, არამედ – ასაოხრებლად.

პრობლემა წარმოიშვა გასაბჭოების მერე, 1921 წლიდან, როცა ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის საზღვრის დადგენისას, სამონასტრო კომპლექსის მცირე ნაწილი – ბერთუბანი, რომლის მონასტრის კედლები თამარ მეფის, ლაშა-გიორგის და ლუკიანეს მიერ ირმების წველის გამოსახულებებით არის მომშვენებული, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

საბჭოთა ათეისტურ ხანაში ხომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამონასტრო კომპლექსის რა ნაწილი საზღვრის რომელ მხარეს მოექცეოდა. მათთვის ხომ ბერთუბანს ბოსლის ფასიც არ ჰქონდა.

იმედია, ორივე მხარე გამონახავს საერთო ენას და ორ ხალხს შორის გაგრძელდება ის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს.

**ნომადი ბართაია**

## იზოლდა ენდელაძე-ჩირგაძისა

### დამალული სევდა

მე შენს ქორწილში მოვალ,
რომ გნახო სატრფოს გვერდით,
თვალებს დავხუჭავ ნელა
თუ ვერ დავმალე ცრემლი.

მე შენს ქორწილში მოვალ,
დაგლოცავ მასთან ერთად,
მაგრამ რა ვუყო ამ გულს
თუ ვერ დამალეს სევდა...

წყდება ცრემლები თვალებს,
მთვარეულივით დავალ,
უშენოდ ყოფნა მიჭირს
და წლებიც ასე გავა...

ღამეს ფიქრებში ვათევ,
ცრემლით შევყურებ აისს,
თუმც შენი ღირსი არ ვარ,
რატომ მიყვარხარ,
მაინც?!

## მერაბ ბერიძის ახალი კრებულის წარდგინება



ამ დღეებში ასპინძის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა გამოჩენილი მეცნიერის, მკვლევარისა და ლიტერატორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის წიგნის – „ასპინძა და ასპინძელობა“ – წარდგინება. წიგნში დაბეჭდილია მხატვრული და სამეცნიერო მასალები როგორც ასპინძის, ასევე მთლიანად ისტორიული და თანამედროვე მესხეთის შესახებ. ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლალი ბერიძე იყო. პრეზენტაციაზე წიგნსა და მის სამეცნიერო მნიშვნელობაზე ისაუბრეს წიგნის რედაქტორმა როინ ყავრელიშვილმა, უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და სხვა გამომსვლელებმა. წიგნის წარდგინებას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების გარდა დაესწრნენ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლები, პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები, დაინტერესებული მკითხველთა საზოგადოება ასევე ბატონ მერაბის ოჯახის წევრები, რომლებმაც მსმენელ საზოგადოებას რამდენიმე მუსიკალური ნომერი აჩუქეს.

*საკუთარი ინფორმაცია*



# სოსო სიგუა – 70



*ცნობილ ქართველ მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, მთარგმნელსა და კულტუროლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომრის მოადგილეს, ყოფილ პარლამენტარსა და გაზეთ „მწერლის გაზეთის“ რედაქტორს სოსო სიგუას 70 წელი შეუსრულდა.*

*ბატონმა სოსო სიგუამ, როგორც დიდმა მეცნიერმა, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის საქმეში, მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდა მეცნიერმა დაიცვა დისერტაცია, მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, ათობით ლიტერატურული კრებული.*

*დიდია ბატონ სოსოს ღვაწლი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, რისთვისაც მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ივანე მაჩაბლის, გერონტი ქიქოძის სახელობის პრემიები.*

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ მწერალსა და მეცნიერს, ჩვენს დიდ მეგობარსა და გულშემატკივარს, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს ლიტერატურულ და სამეცნიერო სარბიელზე.*

## „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკა

### პროტოტიპები

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა პროტოტიპების კვლევა უკავშირდება სიუჟეტის საკითხს, პოემაში ისტორიული რეალიების ასახვა-არეკლვას, მაგრამ პროტოტიპი არ არის ერთსახოვანი ცნება. ავტორი შეიძლება ამოდიოდეს რეალობიდან, მაგრამ ახდენდეს ფაქტის ლიტერატურიზებას, როცა ოცნებით იცვლება საგნის ხატი. ან შეიძლება ფანტაზიიდან ეშვებოდეს სინამდვილეში და მოდელს სულს უდგამდეს ცხოვრებისეული მოვლენებით.

შეიძლება ერთ პერსონაჟში თავი მოიყაროს რამდენიმე პირის თვისებამ და მათი შერწყმით, სინთეზირებით მივიღოთ ახალი სახე, რასაც ბიოლოგიაში მუტაცია ეწოდება.

ხელოვანი არის შემოქმედი და არა ფოტოგრაფი.

როგორც ვთქვით, პოემის სიუჟეტის საფუძველია ისტორიული რეალობა, თამარის ისტორია, რაც ავტორმა დუბლირების პრინციპით გაიზიარა, როგორც განმარტავდა პავლე ინგოროყვა.

თინათინი და ავთანდილი ოცნებაა, ნესტანი და ტარიელი – რეალობა; პირველი აპოლონური ჰარმონია და წესრიგია, მეორე – დიონისური დისჰარმონია და მუდმივი ღელვა.

შესაბამისად თინათინ-ნესტანის პროტოტიპია თამარ მეფე, ავთანდილ-ტარიელისა – დავით სოსლანი, ხვარაზმშას ძისა – გიორგი რუსი (ხვარაზმთა დინასტია არსებობას იწყებს 1194 წლიდან), როსტევან-ფარსადანისა – გიორგი მესამე, თამარის მამა, დავარისა – თამარის გამზრდელი მამიდა, ხორასანის სულტანის ქვრივი რუსუდანი („რძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიქურივისათვის თვისადმე მამულად მოყვანებული“ – „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი„; „ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული“ – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი„), რომელიც აღმოჩნდა მოთავე გიორგი რუსის მოყვანისა და თამარის ნების საწინააღმდეგო ქორწინებისა (პ.ინგოროყვა), ასევე – თამარ მეფის მეორედ კურთხევისა.

არათუ რუსთაველს, ნიზამი განჯელსაც კი (1141-1203) „ხოსროვ-შირინიანში“ (1180 წ.) თავისი გმირების პროტოტიპებად დაუსახავს თამარი (შირინი) და რუსუდანი (შამირა).

ისტორიული რეალობის ფანტაზიით გავრცობა-შეკვეცას, შევსებასა და გარდასახვას ერთვის ლიტერატურული მასალაც, ლიტერატურული წყაროები, როგორც ორიენტირი და შთაგონება.

მაგ., მ.თავდიშვილის აზრით, რუსთაველის პერსონაჟთა ლიტერატურული პროტოტიპებია ნიზამი განჯელის პერსონაჟები: ავთანდილისა – ნაუფალი, სალამი და ბრძენი ფილოსოფოსი პლატონი, ტარიელისა – ისქანდერი (ალექსანდრე მაკედონელი), ნესტან-დარეჯანისა – ნესტან დარჯეჰანი (რომელსაც ისქანდერი დევს წარსტაცებს), რამაზ მეფისა – ხატაელთა (თურქთა) ფლიდი ხაყანი.

საილუსტრაციოდ მკვლევარს არაერთი მაგალითი მოაქვს, როცა აჩვენებს კონკრეტულ დონეზე რუსთაველის შემოქმედებით ნათესაობასა და სიახლოვეს ფირდოუსთან და ნიზამი განჯელთან.

### ეტიმოლოგია და სიმბოლიკა

სახელების ეტიმოლოგია, რაც თავისთავად, ტექსტისაგან იზოლირებითაც ატარებს სიმბოლიკას, განიხილეს ნიკო მარმა, იუსტიანე აბულაძემ, ზვიად გამსახურდიამ, მურმან თავდიშვილმა.

საქართველოში XI საუკუნისათვის გვარების ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული იყო, მაგრამ რუსთაველი არჩევს მუსულმანების წესს და პერსონაჟებს აძლევს მხოლოდ სახელებს.

ხაზგასმით აღინიშნება სახელთან ერთად ეროვნება, რაც შეესაბამება დღევანდელი მოქალაქის სტატუსს.

რელიგიას, მაჰმადის რჯულს, რომლის მიმდევრებიც არიან ინდოელი ტარიელი და არაბი ავთანდილი, ნაკლები ყურადღება ექცევა, ხოლო ენობრივი ბარიერი სხვადასხვა ერის შვილებს შორის არ არსებობს.

ი.აბულაძის აზრით, ტარიელი არის ირანული დარიელი. ეს სახელი ჰქვია ირანელ ერისთავს, რომელიც გამოგზავნეს საქართველოში და იხსენიება მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“.

კ.კეკელიძე მიუთითებს ბიბლიაზე, სადაც დარიოსს დარაელი ჰქვია.

ზ.გამსახურდიამ იგი დაუკავშირა **ტარ** ფუძიდან წარმოქმნილ უძველეს სახელებსა და ტოპონიმებს, ღვთაებებს, საიდანაც წარმოსდგა კაბადოკიური „ტარჰუალა“, რაც ძლევას ნიშნავს. ეს კი სიმბოლურად არის უმამაცესი.

ფუძე **თარ** გავრცელებული ყოფილა მთელს სემიტურ და ინდოევროპულ სამყაროში. ამასთან ერთად ზ.გამსახურდია არ გამორიცხავს, რომ მისი მტკიცება და ი.აბულაძის ეტიმოლოგიური ახსნა კავშირშიც კი იყოს ერთმანეთთან, რაც მართებულია.

**ტარი**-ელ მოხსენებული ყოფილა 1225 წლის ანისის ერთ-ერთ წარწერაში.

ავთანდილსაც აღმოსავლური ძირი აქვს, კერძოდ – არაბული – „ვატანუდინ“, რაც იშიფრება როგორც „სამშობლოს გული„; **ვატან** (სამშობლო) მრავლობით რიცხვში არის **ავტან** (ი.აბულაძე), მეორე ვარიანტით – „სამშობლოს რწმენა“ (დილ/დინ-რწმენა).

ეს სახელი არსებულა ქართულში ასეთი ფორმითაც – **„ვათანდილ“** (ი.აბულაძე).

**ნ.მარის** ახსნით, **ხავთან** არის ვეფხის ტყავის აბჯარი, **დილ** – გული, მკერდი.

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ნესტან-დარეჯანი არის სპარსული *„ნესთ ანდარე ჰეჯან“* (ნ.მარი, ი.აბულაძე) – *„არ არის ამქვეყნად“*, ანუ არაამქვეყნიური (ნ.ბართაია), სიმბოლურად – ულამაზესი.

**ფარსადანი** სპარსულად არის *„ბრძენთაგანი“*, **შერმადინი** – რწმენის სინდისი, **როსტევანი** – „შაჰ-ნამეს“ **როსტემი** (ქართული ვარიაციით – **როსტომი**), **ნურადინი** – არაბულად „რწმენის ნათელი“, **ფრიდონი** – სპარსული ფაჰრიდუნი („საღვთო მადლი„), „შაჰ-ნამეს“ ფაჰრიდუდინი, **ფატმანი** – არაბულ-სპარსული „ფაჰმატ“ – (ცოდნა, გაგება, მიხვედრა ) ზ.გამსახურდია) თუ **ფატიმა** – მეკავშირე (*მ.თავდიშვილი).*

**სარიდანს** ზ.გამსახურდია უკავშირებს სპარსულ სიტყვა ოქროს – *სარ/ზარ*. მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ძირი არის ასურული *სარრიდუმ,* რაც **ნ.ხაზარაძის** ახსნით ნიშნავს სახედრების გამრეკს.

ალბათ ეს სიტყვა უნდა გავიგოთ როგორც ჯოგის პატრონი, სიმბოლურად – მბრძანებელი.

ქართულია **თინათინი,** რაც ათინათინად, სარკიდან არეკლილი სხივიდან მოდის და სინათლის ციმციმი და ნათებაა (შდრ – ნათელი, XIII საუკუნიდან ელიტაში შესული სახელი).

თუმცა, ნ.ბართაიას აზრით, მისი საწყისი ფორმა უნდა ყოფილიყო „დინა-დინ“ – რწმენის რწმენა.

**ზ.გამსახურდია** მას უკავშირებს ელინურ ათინას სახელს, სოფიას, ანტიკურ სიბრძნეს, რაც სიმბოლურად არის უსპეტაკესი და უფქვიანესი.

აქ უჩვეულო არაფერია – ასეთივე ეტიმოლოგიური ახსნა აქვს სხვა ცნობილ სახელებსაც. მაგ. ადამი, ევა, თამარი, გიორგი, დავითი. შდრ – **ნიზამი განჯელის** შირინი – ტკბილი, ლეილი – ღამე, მეჰინ – ბანუ – დიდი ქალბატონი, როუშანაქი – ნათელი (მ.თავდიშვილი).

ეს ყოველთვის არც არის ავტორის გამომგონებლობა. ავტორი შეიძლება მნიშვნელობას ანიჭებდეს სახელის წარმომავლობას, ან თავად თხზავდეს მას, იძლეოდეს ახალ ვარიაციას, რადგან სახელი არის ნიშანი და სიგნალი, რომლის აზრობრივი დატვირთვა გადადის სიმბოლოში, მაგრამ ისე, რომ სიმბოლოთა რეალობა თუ წარმოსახვითობა გამამ არ შეიწიროს მხატვრული სიტყვა.

რუსთაველმა წარმოსახა აღმოსავლური სამყარო, ფანტაზიით წარმოიდგინა უცხო ქვეყნები და პერსონაჟებსაც დაანათლა ამ გარემოს შესაბამისი სახელები, რათა ილუზიას მეტი რეალობა შეეძინა, სიმბოლურადაც შეაკავშირა ისინი.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა არაქრისტიანულმა, არაებრაულმა, არაბერძნულმა სახელებმა, რაც უჩვეულო მოვლენა იყო ქართული კულტურისათვის, ძნელად, მაგრამ მაინც გაიკვლიეს გზა ქართულ სამყაროში ჰეროიკული სულისა და ქალის კულტის, სიყვარულის მეოხებით.

ამას ხელს უწყობდა სიტუაცია – მუსულმანური აღმოსავლეთის პოლიტიკურ-კულტურული აგრესია და ჰეგემონია.

### გავრცელებული დრო და არეალი

რუსთაველამდე პოემის პერსონაჟთა სახელების მეტი წილი, განსაკუთრებით – მთავარი გმირებისა, უცნობია.

XII საუკუნეშიც ბატონობს ბიბლიურ-ბიზანტიური ონომასტიკა, დაბალ ფენებში – წარმართული (მაგ. თოვლაი, დულა, მირაინგული, ქვაჩი, ლვთისია, უჩაკოჩი, მღილა, ნავარქაი, ლატკაი, ჯუჯულია, კაკვუონა). ხოლო ირანულ-მაზდეანური უკვე დავიწყებული იყო (მაგ., ფარსმანი, სერაფიტი, მიჰრდატი), გარდა ვახტანგისა.

ერთ-ერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს **ასმათი:**

თელეთის წმ. გიორგის ეკლესიის 1002 წლის წარწერაში იკითხება ასმათი, თუმცა **ბ.არველაძე** მას გვიანდელ ნაყალბევად მიიჩნევს.

მე-12 ს-ში ცნობილია **ფრიდონი** – შაჰ-ნამეს პერსონაჟი და მსახურთუხუცესი **აფრიდონი** („ისტორიანსა და აზმანში„), XIV ს-ში როსტანი (ჟამთააღმწერელთან).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XIII საუკუნის 10-იანი წლები), რომლის ავტორი დიდ ერუდიციას ავლენს, იყენებს უამრავ საისტორიო და ლიტერატურულ მასალას, მათ შორის – ჩახრუხაძის „თამარიანს“, ასახელებს შავთელს, ასახელებს 12 სამიჯნურო წყვილს თამარის დიდების კონტექსტში, მათ შორის – „ამირანდარეჯანიანის“ ამირანსა და ხორაშანს (ხორასან – აღმოსავლეთი), მაგრამ არ იცნობს რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს.

არც XIV საუკუნეში ისმის მათი სახელი (მაგ., ჟამთააღმწერელთან).

მხოლოდ XVსაუკუნის მეორე ნახევარში, ვაჰანის ქვაბის კედლის წარწერაში და ბერთის სახარებაზე გაჩნდება რუსთაველის სტრიქონები, მაგრამ მანამდე ელიტასა და მასში უკვე ფიქსირდება პოემის პერსონაჟთა სახელი.

გავეცნოთ ზოგიერთ მონაცემს XI-XVII საუკუნეთა ლოკალში (*პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1-4, თბ. 1991-2007):*

კახეთის მეფე **ალექსანდრე პირველის** (1457-1503) მეორე მეუღლე იყო *თინათინი.* თავად ალექსანდრე ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მე-8-ის ძეა.

არაბეთის, ე.ი. შოთას თინათინს ახსენებს „თამარიანის“ გვიანდელი ინტერპოლატორი *(„ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი„).*

ალექსანდრეს დედას, გიორგი მე-8-ის მეორე მეუღლეს ერქვა ნესტანდარეჯანი, რაც აღნიშნულია 1476 წელს.

ასე, რომ – მომავალ დედოფალს ეს სახელი დაანათლეს XV საუკუნის I ნახევარში.

**დავით მე-10** ქართლის მეფის (1487-1523) სიდედრია **ყვარყვარე ათაბაგის** (ჯაყელის) მეუღლე **ნესტან-ჯარი.**

1508 წელს ქვათახევის წინამძღვარს ვენახის ნასყიდობის წიგნი დაუწერია ნესტარჯანისათვის. როგორც ჩანს, იგი გლეხის ქალი იყო.

თინათინი ყოფილა **ბარათა ქაჩიბაიასძის** XV ს.) დედა და მეუღლესაც თინათინი რქმევია (1447-1459 წლების დოკუმენტით).

აქ უკვე გადავდივართ XIV საუკუნეში.

**ალ.ბარამიძე** აღნიშნავს, რომ ნესტან-დარეჯანი, მეფე ალექსანდრეს მეუღლე, იხსენიება 1397 წლის სიგელში.

XIV საუკუნიდან არსებულა სახელი **ავთანდილიც:**

გორის მოურავი **ავთანდილ ზევდგინიძე** იხსენიება 1425 წელს, გლეხი **ავთანდილა ღოღიაშვილი** – 1488 წელს, **ავთანდილაშვილი** ჟამიერი – 1465 წელს, ანუ სახელი უკვე გვარად ქცეულა.

**დულანდუხტი** (სპარს. დულანის ასული) ერქვა **ალექსანდრე პირველის** (1412-1442) პირველ მეუღლეს.

**ალექსანდრე მეორის** იმერთა მეფის (1467-1510) მიერ გელათისათვის 1484 წელს შეწირულ გლეხებს შორის არის მესხი ყმა-გლეხი **„როსტევანი შვილებით“**. ანუ ეს სახელი XV საუკუნის პირველ ნახევრისთვის დაბალ ფენაში დამკვიდრებულა.

კახეთის მეფე **ლევანს** (1511-1574) ჰყოლია ჩოლოყაშვილების სამამულე დავის გამრჩევთა შორის როსტევანი, ანუ იგი თავადი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, XV საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამცხეში, როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში ფიქსირებულია თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი, როსტევანი, დულარდუხტი. მანამდე ისინი დოკუმენტებში არ იხსენიებიან.

პოემის ხელნაწერთა გამრავლების პარალელურად უფრო და უფრო მკვიდრდება პერსონაჟთა სახელი (უძველესი ხელნაწერი განეკუთვნება მე-16-მე-17 საუკუნეთა მიჯნას).

ასევე ჩნდებიან ფრიდონი, ფარსადანი („ამირან-დარეჯანიანიდან“ გადმოსული, სარიდანი და რამაზიც: ფრიდონის სახელს კვლავ ვეცნობით მე-15 საუკუნიდან (მძევალი ფრიდონი).

1580 წლის სვიმონ პირველის წყალობის წიგნში ვხვდებით **ფრიდონ საააკაძეს, 1595** წლის სიგელში – გრკონელ **ფრიდონ შვილობილაძეს, 1616** წელს – ქორდელ **ფრიდონ ჩუბინასშვილს.**

ფრიდონ ყორღანაშვილს შვილისათვის ფარსადანი დაურქმევია;

**ფარსადან ამირახორი** ჩანს 1565-1583 წლების სიგელში;

ცნობილია გიორგი სააკაძის მოდავე **ფარსადან ციციშვილი** (1619 წ.); გიორგი სააკაძისათვის ვენახი მიუყიდია **ფარსადან ჯავახიშვილს** (1607 წ.).

ასევე გავრცელებულა გულანშაროს **მელიქ-სურხავის** სახელი. იგი პოეტს უნდა აეღო „შაჰ-ნამედან“, რაც სულხანად ქცეულა.

1532-1538 წლების დოკუმენტში ფიქსირდება მცხეთელი **სარიდანა;** 1634 წელს იხსენიება რუისელი გლეხის სარიდანაშვილის კომლი.

პოემის მთავარ პერსონაჟთაგან სახელი **ტარიელი** ყველაზე ნაკლები ინტენსივობით გვხვდება. მას არ ღებულობს სამეფო კარი, ბაგრატიონთა საგვარეულო:

1527-1556 წლების დოკუმენტის მიხედვით, ხანდაკში უცხოვრია ვინმე ტარიელს.

ტარიელი რქმევია ქართლელ თაზიშვილს (1634 წ.).

თაზიშვილები არიან ავთანდილი და რამაზიც (თაზი მაჰმადის ენაზე არაბს ნიშნავს).

1700 წელს ფიქსირდება ძმები ფრიდონ, ავთანდილ, ტარიელ, როსტომ და **ბეჟანა იაგულაშვილები** (დემურაშვილები). ისინი ყოფილან სომხითის აზნაურები, როგორც ონომასტიკური წრე ცხადყოფს – გაქართველებული სომხები, ანუ არაქართულ გარემოშიც შესულა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელები.

საინტერესოა, რომ XII საუკუნის შუაწლებში არსებულა გვარ-სახელი **ტარიკასძე,** რომელსაც ატარებდა ქვემო გველდისელი გლეხი.

ასე რომ – შესაძლებელია ტარიელს ჰქონდეს ქართული ხალხურპლებეური ძირი, თუ ეს არ არის არაბული ტარიკატ, რაც სუფიზმს უკავშირდება (შდრ – მეჰეთი ტარიკ-ხანე დამლანში).

კანონიზებულ სახელთა გვერდით ადგილის დაკავება, როცა ძლიერია რელიგიური ფაქტორი, თავისთავად მეტყველებს თუ როგორი ძალა ჰქონდა „ვეფხისტყაოსანს“, რომ წიგნიერ თუ უწიგნურ ფეოდალს თავისი ასულისთვის დაერქმია თინათინი ან ნესტანი და იგი ეცნო ეკლესიას.

**სოსო სიგუა**

◀ დასაწყისი გვ. 1

# მზისა და ვარდის მეტაფორის ტრანსფორმაცია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი

კომპოზიციის ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრება. მხატვრულ აზროვნებაში მზე და ვარდი ძირითადად მიჯნურს, სატრფოს უკავშირდება, მის გარეგნობას, ყველა იმ სულიერ განცდას ასახავს, რაც სიყვარულთან მიგვაახლებს. ესენია: სიყვარულით გამოწვეული სიხარული და ვნება, გრძნობის მუდმივობა ან წარმავლობა, გრძნობისავე ცვალებადობა, თვით მიჯნურთა სიმორცხვე და თავმოწონება, სიამაყე, სიმკაცრე, მიუკარებლობა.

რუსთველის ესთეტიკური ფენომენის კვლევისას ვარდის მეტაფორული სახის შესახებ გიორგი ნადირაძემ აღნიშნა: „ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დაკისრებული აქვს მაღალი იდეებისა და ემოციების გამოხატვა. ვარდში, ამ მინიატურულ ესთეტიკურ ფენომენში, ასახულია რუსთაველის მსოფლმხედველობა... ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დავალებული აქვს გამოხატოს ხან სატრფოს მთლიანი მომხიბვლელი სახე, ხან მისი ქალწულებრივი სილამაზე, პირისახის, ბაგეებისა და ლაწვების სიტურფე, ხან ესა თუ ის სულიერი განცდა, ძლიერი ვნებათა ღელვა ან მაღალი იდეა. მთელი ეს მასალა რუსთაველის პოემას აქცევს მსოფლიო პოეზიის მიერ მოპოვებული ვარდის სიმბოლოების რეზერვუარად“ (გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი,

ბებთან ერთად, წარმართავს მზისა და ვარდის ურთულესი ტროპიკა, რომელშიც ...







# როცა პოეტები უყვართ!

საქართველოს ძირძველ მიწაზე, ოდითგან, ქართველებთან ერთად, სხვა მრავალი ეროვნების ადამიანებიც ცხოვრობენ და მისი ნაწოვი ძუძუთი არაერთი დიდი პოეტიც აღზრდილა და ქართველთა მადლიანი, სტუმართმოყვრული დამოკიდებულებით ბევრ მათგანს საქვეყნო აღიარებაც მოუპოვებია.

ძნელია ყველა მათგანის ჩამოთვლა, იმდენად ძნელი, რომ ისინი ბევრნი არიან, მაგრამ მათგან მაინც გვინდა გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, განსაკუთრებით ისინი, რომელთა სახელები ერთნაირად შესისხლხორცებულია ქართულ კულტურასთან, ლიტერატურასთან.

წელს 150 წლის იუბილეა დიდი სომეხი მწერლის, პოეტის, მოაზროვნის, ქართველთა უიშვიათესი მეგობრის, ქართულ-სომხური ურთიერთობების განმტკიცების თავდაუზოგავი მებრძოლის, **ოვანეს თუმანიანისა,** რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართულ-სომხური ურთიერთობების განმტკიცებისათვის. ამ მიწაზე დაიბადა დიდი სომეხი პოეტი **საიათნოვა,** საქართველოს მადლიანმა მიწამ – ჯავახეთმა, აღზარდა დიდი პოეტი **ვაჰან ტერიანიც,** – ქართველთა და სომეხთა მეგობრობის სიმბოლო, რომლის სახელის უკვდავსაყოფად, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ყოველწლიურად, მისი მადლიერი შთამომავლები, პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას, რაც „ტერიანობის“ სახალხო დღესასწაულის სახელითაა ცნობილი.

არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი ნინოწმინდელებისათვის, – სალამოს ტბის სიახლოვეს, საიდანაც ჯერ კიდევ ჩვენმა დიდმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ ფეხი შემოდგა, განძის მადლიანმა მიწამ კიდევ ერთხელ უმასპინძლა ვაჰან ტერიანის თაყვანისმცემლებს. „ტერიანობაზე“ ყოველთვის ზღვა ხალხი იყრის თავს საქართველოს როგორც სხვადასხვა მხარეებიდან, ასევე სომხეთიდან, ევროპის თუ მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ...

ურიგო არ იქნება თუ ჩვენი გაზეთის მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ დიდი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ნიუანსებს, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამ დიდ ადამიანზე, რომელმაც, მიუხედავად თავისი ხანმოკლე ცხოვრებისა (35 წელი იცოცხლა), თავისი კვალი დაამჩნია სომხურ ლიტერატურას, ქართულ-სომხურ ურთიერთობებს. მას სამართლიანად უწოდებდნენ თავისი ასაკის „ყველაზე ორიგინალურ“ ლირიკოს პოეტს.

იგი 1900-იანი წლებიდან გამოდის ფართო ასპარეზზე და თავისი ორიგინალური ნაწარმოებებით უმალ იქცევს საზოგადოების დიდ ყურადღებას, ამიტომაც იყო, რომ ვ.ტერიანით მაშინვე დაინტერესდა ოვანეს თუმანიანი და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდა. იგი განსაკუთრებული მოვლენა იყო სომხურ პოეზიაში – მან თავისი თვითმყოფადი, ორიგინალური პოეტური შედევრებით გაამდიდრა სომხური პოეზია, განსაკუთრებით დახვეწილია მისი ლექსის რიტმულობა, ჟღერადობა, რითმი. იგი სომხურ ლიტერატურაში, ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, **ზეზვა მედულაშვილის** სიტყვებით რომ ვთქვათ, – „ითვლება სომხური წმინდა ლირიკის ყველაზე ბრწყინვალე ოსტატად, რომელსაც არც ლიტერატურული წინაპარი ჰყოლია და არც თავისივე სადარი ლიტერატურული მემკვიდრე“.,. მან თავისი პოეტური შედევრებით სათავე დაუდო ახალ მიმდინარეობას სომხურ მწერლობაში.

ვაჰან ტერიანის ცხოვრება მხოლოდ ეკალბარდებით იყო მოსილი და ყოველთვის უმძიმესი ეკონომიური პრობლემების წინაშე იდგა, თუმცა სიზიფესეული შრომითა და მონდომებით, მაინც შეძლო დიდი პოეტური მემკვიდრეობა შეექმნა და თავისი ბრწყინვალე, ორიგინალურ ლექსებთან ერთად, სომეხ ხალხს დაუტოვა აკაკი წერეთლის, ჰაინრიხ ჰაინეს, შარლ ბოდლერის, ოსკარ უალდის, ვალერი ბრიუსოვის, ემილ ვერჰარნის თარგმანები, რაშიც ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი შესანიშნავად ფლობდა უცხო ენებს. ტერიანის არაერთი ცნობილი მკვლევარი ხშირად ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, – თუ როგორ შეძლო გაჭირვებაში გაზრდილმა,




სიკვდილის ბოლომდე უსახსროდ დარჩენილმა, მუდამ ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში სამუშაოს მაძიებელმა, უკურნებელი სენით დაავადებულმა ადამიანმა, ასე ხანმოკლე სოცოცხლის მიუხედავად, შეექმნა არაერთი კლასიკური ნაწარმოები, იგი ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ მინიმალურადაც ვერ ამოწურა თავისი ლიტერატურული შესაძლებლობები.

დიდი ადამიანების ბედიც ხომ ესაა. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ რომ ფასდებიან და არდავიწყებას მიეცემიან.




პოეტის არდავიწყებაა, რომ 1967 წლიდან მოყოლებული, მის მშობლიურ სოფელში, მისი სახელის უკვდავსაყოფად, აღინიშნება – „ტერიანობის“ სახალხო დღესასწაული, რომელსაც ორგანიზებას უწევს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო – მუნიციპალიტეტის მერია.

ახლახან ჩატარებული ტერიანობის სახალხო დღესასწაული გახსნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერმა **ანივარდ მოსოიანმა.** სიტყვით გამოვიდნენ სამცხე-ჯავახეთის სომხური სამოციქულო ეკლესიის ვიკონტი **მალაკია ამირიანი,** სომხეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო სამართლის ცენტრის დირექტორი, ერევნის „ტერიანის კულტურული ცენტრის“ დირექტორი, მესხეთში დაბადებულ-გაზრდილი **არუსან ჰაკობიანი,** სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი **შირაკ თოროსიანი,** გაზეთი „ვრასტანის“ რედაქტორი **ვან ბაიბურთიანი,** პოეტი **რაზმიკ დავოიანი** და სხვები.

ღონისძიებას უძღვებოდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი, ცნობილი სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ჟორა სნხჩიანი.**

საზეიმო ღონისძიების მხატვრული ნაწილი წარმოადგინეს: – სომხეთის ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა „კარინმა“ (ხელმძღ. **გაგიკ გინოსიანი),** ნინოწმინდის კულტურის ცენტრის ცეკვის ანსამბლმა ,,ფარვანამ“ (ხელმძღ. **სევაკ ბდოიანი),** წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარდევანის ცეკვის ანსამბლმა ,,ლუისახბიურმა“, ნინოწმინდის სამუსიკო სკოლის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა ,,სამეულმა“ (ხელმძღვ. **ირინა კარსლიანი,** – სოლისტები: **ჰაიასტან ისპირიანი** /ქ.ნინოწმინდა/, **სედა თოროსიანი** /ქ. ერევანი/. დეკლამატორები – **რიფსიმე გალსტიანი, ანნა კოსტანიანი** / ქ. ერევანი).

სახალხო დღესაწაულის თაობაზე თავისი აზრის გამოთქმა მუნიციპალიტეტის მერს ქალბატონ **ანივარდ მოსოიანს** ვთხოვეთ, რომელმაც აღნიშნა, რომ – მსგავსი ღონისძიებები ეროვნული კულტურის დიდ გამოხატულებაზე მიგვითითებს. ჩვენ ვაჰან ტერიანი, დღესაც პატრიოტულ გრძნობებს გვიღვივებს და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში გადამწყვეტ როლსაც თამაშობს. ტერიანის ნინოწმინდელობა, მისი განძელობა, გვაამაყებს, რადგან მისი სადარი პოეტები ხომ თითზე ჩამოსათვლელები არიან და იგი აქ დაბადებულ-გაზრდილი რომ არის, ჩვენთვის ბევრ რამეს ნიშნავს.





ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი

**ჰამლეტ აროიანი** – მხატვარი: მე ხელოვანი კაცი ვარ, ამ მიწაზე დაბადებული და, ჩემზე, როგორც მხატვარზე, ტერიანის შემოქმედებაც ახდენს ერთგვარ გავლენას, მისი ნაწარმოებების შუქი იგრძნობა ჩემს შემოქმედებაში, ვხატავ იმას, რასაც თავის დროზე უმღეროდა ვაჰანი, იმ მიწაზე დავალ და ფერწერაში გადამაქვს მისი პოეტური აზრები და ეს, როგორც ადგილობრივი მხატვრისათვის, ჩემთვის, რომელმაც ჩემი შემოქმედება უცხოეთშიც გავიტანე, ამ მიწის პოეტური სული ჩქეფს და ეს ქართული მიწა, თითოეული მწერლისა თუ ხელოვანისათვის, არაერთხელ იქცა ახალი ნაწარმოებების შექმნის წყაროდ და, სხვების მსგავსად, მეც მეამაყება ჩემი აქაურობა.

**სარკის დურგარიანი** – განძის მეორე სკოლის დირექტორი: სულ სხვა განცდაა, ცხოვრობდე განძაში, იქ, სადაც დიდი პოეტი დაიბადა და შენს მოსწავლეებს გადასცემდე იმ გრძნობებით, რასაც ჩვენი ვაჰანი განიცდიდა და სულიერ საზრდოს გვიმზადებდა. ამიტომაც, მისი ღირსეული მიწის შვილები, მოვალენი ვართ ქართულ-სომხური ურთიერთებები, როგორც კულტურულ, ასევე ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ასპექტში ჯეროვნად დავაფასოთ – ასე ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ და საქართველოს სიყვარულით ქმნიდნენ თავიანთ პოეტურ შედევრებს საიათნოვა, ოვანეს თუმანიანი, ვაჰან ტერიანი...

P.S. აქვე გთავაზობთ ვაჰან ტერიანის რამდენიმე ლექსს, რომელიც თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ავთანდილ ბერიძე



## სენტიმენტალური სიმღერა

გახსოვს, ტყე თრთოდა, როგორც სხეული,
და გაწოლილი ზმანებასავით,
ლურჯი ნისლი და მკრთალი ვარსკვლავი,
გახსოვს, სულ შორი, სულ შორეული?..

გახსოვს, სიზმარი ცხადლივ ხილული
და სიყვარულის ბადაგნასვამი
მაღალი ცა და ცაში ვარსკვლავი,
გახსოვს ტყე იყო, ტყეში ბინული?..

გახსოვს, ბინულის ბროლივით ყელი
და მოცახცახე ნისლის სხეული,
ჰოი, რა შორი, რა შორეული...
ჩვენი ცხოვრების მწუხარე ველი!

## მოგონებები

ზამთრის გრძელ ღამეს ვათენებ თეთრად,
ვიგონებ მინდვრებს და ჭრელ სათიბებს
და მწუხრის ბოლში ჩიტივით მფეთქავ
სიყრმეს, სიწმინდეს და სინატიფეს.

და უსამანო შემოდის სევდა,
მკვდარი დღეების შემოსახლება –
ამდენ ტკივილთან და ტკბილად მთენთავ
წუხილთან მაინც რა მესაქმება?!

ვიგონებ ღიმილს და თვალის ჩაკვრას,
სიტყვას, უცნობი ქალის ხატებას,
აწ მე რომ სიზმრად ვიხილავ, მაგრამ
რაიც არასდროს არ გაცხადდება.

## გარეთ ცივა

გარეთ ცივა ახლა,
ქარი ცასთან დაობს,
მოდი, დღეს ნუ წახვალ,
ჩემთან დარჩი, დაო.

ისევ გზა დაგებნა,
სულ მარტო ხარ ისევ,
ქარაშოტის წკეპლა
გიწვავს ზურგს და კისერს.

ცეცხლს ნუ გამოვაქრობთ;
მხოლოდ ერთს მოვითხოვ –
დაო, შენს უნაკლო
სულს მიეგოს სითბო.

მხოლოდ მე გიშველი –
გრძნეული და სათნო,
სიტყვით მინდა შენი
სუსხი რომ გავადნო.

მინდა, რომ უდავო
ძალა მოგცეს სიტყვამ –
არ დაგბეროს, დაო,
ქარმა აღარსითგან.

გულს ჩაგიდგამ ისეთს,
კელაპტარს და კანდელს,
შენი გზა რომ ისევ
ხევში არ დაქანდეს.

გარეთ ცივა ახლა,
ქარი ცასთან დაობს,
ჰოდა, დღეს ნუ წახვალ,
საყვარელო დაო.

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

# თქმულება შოთა რუსთაველზე

## პირველი თავი

თვალ-მარგალიტი უფასო
ზღვისა ძირებსა ჰყუდია,
ცა, ვარსკვლავებით მდიდარი
ქვეყნის საქები ქუდია.

მაგრამ რად უნდა ზღვას ცისა
მშვენიერება გრძნეული,
როცა აღელვებს გრიგალი
მძაფრი და გადარეული?

ან ცას რად უნდა უნთვაროდ
ზღვა განძითა და ღელვითა?
შეიმურება ღრუბლებით,
გულს დაისერავს ელვითა.

დასჭექს და ქვეყნიერებას
ზარხდომით მოეფინება,
ჩამოიმტვრევა მიწაზე,
უდივრად შეიგინება.

ქვეყნის წამლები ღვართქაფით
მიდამოს მოედინება;
გულსა იოხებს, მისწვდება,
როდესაც მოეწყინება.

ჰა, გადაიღო... ღრუბლებმა
სულ გამოცლილმა ძალითა,
ჩასთვლიმა მთების უბეში
ნამტირალევის თვალითა.

მაგრამ, ჩუ! აქ სად გუგუნებს
ხმა საამური ლხინისა?
ვინ უშვებს, რომ ვერ გაიგო
ხმა ნიაღვრისა, წვიმისა?!

ეს სასახლეა თამარის,
პირს რომ იწუნებს მზისასა,
იქ ნადიმია... ამბობენ
ქეიფისა და სმისასა.

ქებას ეტყვიან თამარსა,
მეფის წყალობას – ღვთისასა
და ადიდებენ რუსთაველს
ძვირის ლექსების თქმისასა.

მგოსნები ლექსებს უმღერენ
ბიზანტიაში სწავლულსა
და თამარ მეფეც იწონებს
ნიჭს ღვთაებამდე ასულსა.

მაგრამ ქება და დიდება
სუყველა უგემურია:
ცოლი სახლში ჰყავს მარტოკა
და მისი ნახვა სწყურია.

სულ თვალწინ უდგას გულჩინა
სახითა მოღიმარითა,
ცა მოწმენდილი, კაშკაშა,
ვარსკვლავებით და მთვარითა.

ძალიან უყვარს რუსთველსა
თავისი ცოლი გულჩინა,
ვინც მოუქარგა სიცოცხლე,
ვინც სხვებზე მეტად ულხინა.

დასთმობს ყოველგვარ ნადიმებს,
დასთმობს მიწას და მაღლა ცას,
დასთმობს რჯულსა და დიდებას,
დასთმობს თვით თავის მგოსნობას.

ოღონდ, ვერ დასთმობს გულჩინას,
მომლხინებელსა გულისას,
მას ანაცვალებს სიამეს,
დასაბამ დასასრულისას...

## მეორე თავი

სხვა სატრფო ჰყავდა შოთასა
წინად, სხვა ბაღში ხარობდა,
პირშიშველა და ჭაბუკი,
პირველად ნინოს ჰყვარობდა.

სისხლი უდუღდა, ენა კი
ნინოს სულ ფიცით ამკობდა,
მაგრამა განა ტყუილად
სულ გულის ნათქვამს ამბობდა?

და მისცა შოთამ ბეჭედი, –
ნიშანი სიყვარულისა,
ყრმობით ნათქვამი: – „მიყვარხარ"!
სიტყვა ნათქვამი გულითა.

მაგრამ გავიდა დრო-ჟამი,
თან გაიყოლა ნინო მან,
იგი სხვა ტრფობამ შეცვალა,
მუხთალმა, სასაცილომა.

თუ სადმე ვპოვეთ ახალი
და კაცნი დაგვიმონია,
ვიდრე ახლო არ გავიცნობთ,
ძველზე ძვირფასი გვგონია.

შოთას ცაზედა აღმოხდა
ბედი ახალი სხივითა
და სხვა შეამკო სათითად,
უკვდავ ლექსების მძივითა.

ნინო კი სახე დამჭკნარი,
ვით მოწყვეტილი ფოთოლი,
ევედრებოდა შოთასა,
უარყოფილი ობოლი:

„რა ჰქენ, პირობა ღვთიური,
დამტყვევებელი გულისა?
რა უყავ უმანკოება,
აღთქმული სიყვარულისა?

ცოლად შეგირთავს სხვა ქალი,
მე რაღას მაძლევ პასუხად,
ფიცი და დაპირებანი
გარდამიქციე მარწუხად!"

განა შოთამ კი იცოდა,
რად ფლობდა გულსა სხვისასა?
რად დაემონა სხივებსა
გულჩინას თვალებისასა?

განა იცოდა, თუ რისთვის
დაუუძლურდა მას სული,
რისთვის შეიქმნა ულონო,
როგორც საფლავში ჩასული?

აბა, რა იცის არაგვმა,
რისთვის მოშხუის ქვევითა?
აბა, რა იცის მნათობმა,
რად არის სხივთა ფრქვევითა?

ან ჩვენ რა ვიცით, რად ვეტრფით,
დილას, მეორედ მოსულსა,
ახალის ტრფობით აღსავსეს,
ახალ სიცოცხლით მოცულსა?

და არც რუსთველმა იცოდა,
რად ჰქონდა სხვისა ტრფიალი,
არავის ხელში არ არის
ტრფობისა ჩარხის ტრიალი!

მაგრამ ეს დიდი ხანია,
რაც იყო, გადაიარა,
ხიდ გადუწვდენმა მდინარემ,
შუაში ჩამოიარა.

ნინო სულ გადაავიწყდა
სხვა ტრფობის ცეცხლში გახვეულს,
სიტყვითაც აღარ იგონებს,
ვით ტაძარს ძველსა, დარღვეულს.

და დღეს ნადიმზე მყოფელი
გულჩინას გონებაშია,
სულ აღარ ესმის, თუ ირგვლივ,
ხალხი რა განცხრომაშია.

აი, დაუკრეს ნაღარა,
სასახლემ იწყო ზანზარი,
ყველას თვალებმა გამოსცა
სხივის სიმკვირცხლე ნარნარი.

ვიღაც ყმაწვილი წამოდგა
მზიურ ღიმილის ფენითა
და ვით არწივმა ცის კიდურს
ჩამოუარა ფრენითა.

სამჯერ გადინტვრა წელშია,
შემოტრიალდა თითებზე,
ფეხი გაუსვა მოხდენით
ცეცხლი სცვიოდა ძირებზე...

და მიდიოდა ნადიმი
სრულ ქართველურის დენითა,
შეღებულიყო ღიმილი
ყურძნის ნაკურთხი წვენითა.

## მესამე თავი

სთვლემენ მწვერვალნი მესხეთის
შეწუხებულნი დგომითა,
გულდასერილნი ნიაღვრით,
მოქანცულები ომითა.

ცა გრილად გამოიმზერებს,
სოფლისას არას მცნაურობს,
ვარსკვლავი ვარსკვლავს შეხარის,
ხევში მდინარე ხმაურობს.

სხვას სხვისა არა აწუხებს,
სხვისა ჭირს მოუცნაურობს,
წყაროც თავისთვის ჟღურტულებს,
თავისთვის აურ-ზაურობს.

მწყემსურად გამოწყობილი
ვიღაცას მიეჩქარება,
ტანზე კაცურად აცვია
და ქალისა აქვს გვანება.

ვინ არის, ნეტა რა უნდა,
ამ დროს მარტოკა გარეთა?
ქალია იგი და მიდის
სასახლისაკენ ცხარეთა.

აი, შევიდა ნადიმზე
და მიესალმა ყოველსა,
მიუახლოვდა რუსთველსა,
გულდარდიანად მყოფელსა.

ზრდილობიანის კილოთი
სალამი უძღვნა მგოსანსა
და გულითადი წუხილით
აცნობა ქალმინდოსანსა.

– „მგოსანო, შენი სახელი
კიდით-კიდემდე გრიალებს,
მაგრამ მის შესარცხვენლად
შენ სახლში ცოდვა ტრიალებს"!

– რას ამბობ, მწყემსო, მუხთალო,
გამაგებინე სწორეთა!
ჩემ სახლში ცოდვას რა უნდა,
საიდან მოაჭორეთა?!

### ყმაწვილი (მწყემსი)

წამო და თვითონ გაიგებ
ჭეშმარიტებას მწარესა,
რომელ თვალითაც იხილავ,
ცრემლს მითვე დაღვრი ცხარესა.

და ეჭვიანის წუხილით
გაჰყვა რუსთველი ყმაწვილსა:
გალაღებული ნადიმი
აეგო ჭმუნვის მახვილსა.

## თავი მეოთხე

წყვდიადი დაჰფარებოდა
ღვთისგან გაჩენილ მახესა,
პირი შეეკრათ ვარსკვლავებს,
დაჰღამებოდა მთვარესა.

ათასჯერ უფრო ბნელოდა,
ვიდრე სხვაგან და სხვა დროსა;
ათი-ათასი ვარსკვლავი
ანათებს ხოლმე ამ დროსა.

ახლა კი ერთიც არ არის
მწარის იმედად ცაზედა,
მიწაც ცივია, ზესკნელიც,
მკვდრეთი წევს ქვეყანაზედა.

ბაღის დაჩრდილულ წყვდიადში
ყელამდე ჩამარხულები,
მოსჩანან შოთას სახლისა
კედლები ამართულები.

და მის გარშემო, ბნელში,
თითქო ბუქნავენ სულები
და თან იმგვარად კვნესიან,
თითქოსდა სტკივათ წყლულები.

თითქო იმასაც ამბობენ,
მოვძებნოთ დაკარგულები,
ჯოჯოხეთურის ხარხარით
შუა გაუპოთ გულები.

ცოლს ქმარი დავათმობინოთ,
მონა და ნაერთგულები,
მგოსნის გულს გაუმიჯნუროთ
ყმა მისი ნამსახურები!..

გადიხარხარეს, წავიდნენ,
შიში დაჰფინეს მიწასა,
დააწყებინეს ცახცახი
მთებსა, ველსა და ქვიშასა.

ფოთოლთა თრთოლვა, ხარხარი,
წყვდიადი გაუტეხელი,
სუყველა იყო საზარის
ამბისა გამომეტყველი.

ეს სად გაისმის წუხილი,
ვინ დამხარხარებს თავზედა?
რა წინათგრძნობა მათრთოლებს,
ვინ მიწვევს მწარე ხმაზედა?

### ვაჟი (მწყემსი)

თითქო ბედისა შიკრიკნი
გვითხრობენ შავსა არაკსა,
თითქო ამზადებს ქვეყანა
ჯოჯოხეთისთვის ზვარაკსა...

### შოთა

მწყემსო, მავნე ხარ მსახური,
არარა დაგეჯერება,
იმას აკადრებ კეთილ სულს,
რაც არა შეეფერება.

გულჩინა მიღალატებდეს? –
აბა, რაში ჰგავს სიმართლეს?
ჯოჯოხეთიდან მოსული
ბნელითა ჰმურავ სინათლეს!

ვინ ჩაიდენდა ჩემ სახლში
ცოდვას მზაკვრულად ბიწიერს?
ხელი ვის მიუწვდებოდა
ვარსკვლავებამდე მიწიერს?

ან რომელს შეშურდებოდა
სახელი ღვთისნიერისა,
ან რომელს მოუხდებოდა
შეურაცხყოფა ერისა?!

### ვაჟი (მწყემსი)

„ჩუ, აგერ, აქეთ მოდიან
შენი ცოლი და მსახური,
ხელს უწყობთ ღამის წყვდიადი
და სიყვარულის ალმური.

ჩვენ მოვეფაროთ ხეებსა,
სახე შევიქმნათ ფარული,
ქურდულად ვპოვოთ სიმართლე,
ცუდ გზაზე გამოპარული".

გაუჩინარდნენ ორნივე,
მოიმფარველეს ხეები,
ჩუმად უმზერდნენ მომავალთ,
ვით გაქცეული ტყვეები.

გამოჩნდნენ შეყვარებულნი
საუბარითა ნაზითა,
გადაბმულები ერთმანეთს
ვნებიანობის რაზითა.

დადუმდა, მზერა დაუწყეს
ერთმანეთს გაოცებითა,
შემდეგ მიეცათ გონება,
ახლოს მივიდნენ ნებითა.

ქალმა ღიმილით შეხედა,
შეიქმნენ ჩაკონებითა,
ალმა გადაჰკრა ორივეს
ჯოჯოხეთურის გზნებითა.

– „მსახურო! – უთხრა გულჩინამ,
ხმისა კანკალით, რეტითა:
– მსახურო! მიხვდი, მიყვარხარ,
სიყვარულითა მეტითა.

შავ-წარბ-შავ-თვალა არაბო,
შავი ხუჭუჭა თმებითა,
შენთან ვარ უფრო ნეტარი,
მეტის ლხენით და შვებითა".

### ამდულ-არამი

– „როდესაც მონა არაბი
გამყიდეს ქართველ მხარეზე,
ჯერ პირშიშველა არაბი
დამსვეს სხვა არე-მარეზე.

ვტიროდი, ვიმდუღრებოდი,
სამშობლოს მოგონებითა,
გული არაბეთს მისტირდა
ბავშვურის დაღონებითა.

მაგრამ რას მოვიფიქრებდი,
თუ ბედს ვტიროდი ამაოდ,
თუ უცხო ქვეყნის კალთებზე
მზე დამატკბობდა საკმაოდ!

რას ვიფიქრებდი, მსახური
ამ დღე-ჟამს მოვესწრებოდი,
თუ მზის სამეფოს მფლობელო
შენს კოცნას ველირსებოდი!

მონობის ლოდ ქვეშ მოკლული
აღმაგზნე, გამახალისე
და მიმახვედრე, რომ ბედი
ხან ასეა და ხან ისე.

მაგრამ ვით დავიჯერებდი
თუ შენ უარყავ ის ქმარი,
ვინც ქვეყნისაა მშვენება,
ვით ღვთაება და ცისკარი.

ვისაც სიტურფით, სიბრძნითა
არა ჰყავს ტოლი სოფლადა
და სწორუპოვარ მზესავით
დაიარება ობლადა.

### გულჩინა

არაბო, ლონე-მრავალო,
ზღვაო ვნებათა ელვისავ,
ლამაზო, წარმოსადეგო,
დამწველო ცეცხლო ელვისავ.

რად მინდა შოთას დიდება,
ნიჭი და მეცნიერება,
რად მინდა მისი სახელი
ეს ფუჭი ბედნიერება.

როდესაც გული მიშფოთავს
მოზღვავებულის ვნებითა,
და აღარ ვიცი ვის მივცე
თავი აღსავსე გზნებითა?!

მეც მსურს ღიმილი, ალერსი,
ხვევნა და კოცნა წყლიანი,
მეც მიყვარს თვალი კაცისა
მკვეთრი და ნაპერწკლიანი.



### ამდულ არამი

მაშ, დავერწმუნო ნათქვამსა,
გულჩინავ, სახე მზიანო?

### გულჩინა

– „დიახ, მიყვარხარ, არაბო,
წარმტაცო, ხუჭუჭ თმიანო!"

– უთხრა და გადაეხვია
ტყის მწვანე სუროსავითა,
მკერდზე დაადნა არაბსა,
მთებს ჩასულ მთვარესავითა.

დიდხანს დაჰყოვნეს ხვევნაში,
შემდეგ წავიდნენ წყნარადა,
უფრო ჩამოწვა წყვდიადი
ცასა, მთებში და ბარადა.

შიშით განცვიფრდა ქვეყანა,
გადაეფარა თავზარი,
თითქო წამოდგნენ სულები,
თითქო მოისმა ხარხარი.

შოთა აენთო ცეცხლითა,
როგორც გულს ისარ-ხეული,
– „მწყემსო, მითხარი, ვინა ხარ,
ავის მომქმედი, გრძნეული?"

უთხრა: „მიწაზე დაეშვი
ძალ-ღონე შემოლეული,
ღრმა მწუხარებამ მოიცვა,
ბედით გულ-გადარღვეული.

მივიდა მწყემსი, მოწყენით
უთხრა ნუგეშად, ვით მწირსა:
– „მგოსანო, ჭირში სიმაგრე
გმართებს, ვითარცა ქვითკირსა.

მოდი, მოგიყრდნო გულ-მკერდზე,
ჟამსა მწუხრისა ობოლი,
ვით შემოდგომის ბორიომ,
ჩამოწყვეტილი ფოთოლი".

შოთამ მწუხარედ, როგორღაც,
წამოიწია ზეზედა,
ხელი წაიღო ხანჯლისკენ
გულცივმა სიცოცხლეზედა.

გასცვივდა მეხი რისხვისა,
შემაკრთობელი ზღვა-ცისა,
სრულიად გამოიხატა
შურისძიება კაცისა.

უთხრა, ჰყოფილხარ ვერაგი.
კაცისა დამაგმობელი,
შენგან შევიქმენ თილისმავ,
ვაი და ვიშის მთხრობელი.
და შენგან შემდეგშიაც კი
ავის მეტს არას მოველი,
წყეულიმც იყავ, მარადის,
კაცთა სულისა მწოველი.

და სასიკვდილოდ ყმაწვილსა
გადაუწოდა უშიშრად,
ხელი შეუპყრო ხელითა,
მოიხსენია უდივრად.

უცნობიც თითქო – „მომკალო"!
– ეუბნებოდა უტიფრად,
მაგრამ წუთიერ ბრძოლაში.
იშვა სიკეთე ავიდან.
და ქუდი იმა უცნობსა
გადაეხადა თავიდან..

მწყემსურად ჩაცმულ ქალწულსა.
თმები ძირს ჩამოეშალა
და შოთას თვალწინ დიაცის
გულმკერდი გადაეშალა.

მუნ იცნო ნინო შოთამა,
თვის მეგობარი ყრმობისა.
სატრფო, პირველი ყვავილი,
პირველისავე გრძნობისა.

იცნო ბეჭედიც მიძღვნილი,
თვის საკუთარი ხელითა...
ხანჯალი ჩამოუვარდა,
წარმოსთქვა ხმითა ნელითა:

– რა ღვთის წყრომაა ზეციდან
წარმოგზავნილი ჩემზედა?
ნინო, შენა ხარ, თუ მხოლოდ
სიზმარსა ვხედავ შენზედა?

### ნინო

დიახ, ნინო ვარ, შენგანა
დაგმობილ-უარყოფილი,
მაგრამ ზეციურ განგებით
შენთვის შექმნილი, შობილი.

რუსთველო, მენატრებოდა
სიკვდილი შენის ხელითა,
რომ მეგრძნო ბედნიერება
ზეციურ საშველებულთა.

მაგრამ სიკვდილიც შეგშურდა,
არ გაიმეტე ჩემთვისა
და საუკუნოდ ბედკრულ მყავ,
მსხვერპლი ორგული ღმერთისა.

### შოთა

დამნაშავე ვარ შენს წინა,
მიმიძლვის ნინო, ცოდვანი,
დამგმე, დამწყევლე, ჩამქოლე,
ბედ-უკუღმართი მგოსანი.

სთქვა და დადუმდა... სათქმელად
ველარ ჰპოებდა სიტყვასა;
უხვად დაედო ფიქრები
ვით ჯანღი მთებს და მინდვრებსა.

მაგრამ კვლავ გამოერკვია,
ვით ნისლისაგან ტყე-ველი,
ხოლო წარსულის ცხოვრებას
აჰყუდებოდა კედელი.

წინ სულ სხვა მხარე მოსჩანდა,
სულ სხვანაირი ბედითა,
ისე არ ჰგვანდა წარსულსა,
ვით ბრმა თვალხილულს ხედვითა.

წარმოსთქვა: – „ქვეყნად დარჩობით
ველარ ჩავიდენ ცოდვებსა,
ბერად შევდგები დღეიდან,
თავსა მივანდობ ლოცვებსა".

სთქვა და განშორდა ნინოსა
მდუმარებითა შავითა...
ნინომ ღრმათ ამოიკვნესა,
ამოკვნესითა მწარითა.

და აქვითინდა მდუღარეთ
მომდგართა ცრემლთა ზვავითა.
მიმოიხედა გარშემო,
ხელი დაავლო ხანჯალსა.
და მიაძახა რუსთაველს
ბაღის ბოლოში გამკრთალსა:

– „შოთავ, შენს წმინდა ლოცვებში
ახსენე ჩემი ცოდვები,
მე კი ის მაბედნიერებს,
რომ შენი ხანჯლით მოვკვდები"!

შორით მოესმა თავის ხმის
გამოძახილი ბგერითა
და მღელავ მკერდში ჩაიცა
შოთას ხანჯალი წვერითა.

ერთხელ ღრმად ამოიოხრა
ჩაბნელებულმა მთა-ველმა,
შემდეგ მიწაზე დააწყო
მდუმარე ფრთები ნაღველმა.

ხევში მოისმა ხმაური,
მოლაპარაკე წყალისა
და შორს წყვდიადში ძახილი
მთაზე გადმომდგარ ალისა,
მათ შეუერთდა კვნესაცა
ობლად მომაკვდავ ქალისა.

*ხალხური,*
*ჩაიწერა ვახტანგ სუდაძემ 1920 წელს,*
*ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი,*
*ე.ნ. N 4004*
*მოგვაწოდა გრიგოლ ჯვარიძემ და*
*ლევან ლაფაჩმა 2019 წელს*

# როზა მეფისაშვილი – მესხი ხელოვანი

ქართული კულტურის განვითარების საკითხის განხილვისას, დაუშვებელია ყურადღება არ მიექცეს **ანა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის** მიერ დაფუძნებულ ქალთა სკოლას. მან უდიდესი როლი შეასრულა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების საქმეში. სასწავლებელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში წარმატებულად ახორციელებდა ქალთა საგანმანათლებლო მისიას. ეს სკოლა არამარტო განათლების კერას წარმოადგენდა, არამედ, იმთავითვე იქცა ქართული კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერად. აღნიშნული სასწავლებელი მიზნად ისახავდა მესხი გოგონების განათლებასა და იმავდროულად ხელს უწყობდა ქსოვისა და ქარგვის ხალხური ტრადიციების დაცვასა და შენარჩუნებას. ამ სკოლაში აღზრდილი გოგონები ქმნიდნენ უნიკალურ ნივთებს, იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა გამოფენებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, სადაც არაერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს, კერძოდ, სკოლის მოსწავლე-გოგონებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს 1898 წელს ქუთაისში გამართულ გამოფენაზე. ასევე წარმატებით დასრულდა მათი მონაწილეობა 1901 წელს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე, სადაც მათი ნამუშევრები ვერცხლის მედლებით შეფასდა. განსაკუთრებულ წარმატებებს კი მიაღწიეს 1909 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე. მათ ოქროს მედლები და დიდი აღიარება მოიპოვეს, – თავიანთი მოღვაწეობით ემსახურებოდნენ და ერთგვარ პროპაგანდას უწევდნენ ქართულ კულტურას.

ანა ღოღობერიძის მიერ დაარსებულ რაბათის ქალთა სასწავლებლის აღზრდილთა შორის ერთ-ერთი წარმატებული იყო **როზა (როზალია) მეფისაშვილი,** რომლის შესახებ საინტერესო ცნობებია (ბიოგრაფიული, სამოღვაწეო) დაცული იმ პერიოდის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, იქვე არსებულ ილია მაისურაძის არქივში, ხოლო ფოტო-ფონდში ინახება მისი რამდენიმე ფოტოსურათი და, რაც მთავარია, აქვეა მისი ნამუშევრები, რომლებიც მუზეუმის საუკეთესო ექსპონატებს წარმოადგენს.

მოძიებული მასალები ნათლად წარმოგვიდგენს როზა მეფისაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას. მამამისი – ივანე, ვაჭართა წრეს ეკუთვნოდა. იგი, წლების განმავლობაში, ცხოვრობდა სტამბოლში, სადაც ჩამოაყალიბა ახალციხელ ვაჭართა ამხანაგობა, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ახალციხეში მოღვაწეობდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში კი ოჯახით ქუთაისში გადავიდა. იქ მას ჰქონდა თამბაქოს ფაბრიკა. საცხოვრებლად 90-იან წლებში კვლავ ახალციხეში დაბრუნებულან. როზას ჰყავდა უფროსი და – აღათია



(სოფელ უდეში იყო გათხოვილი აღოშაშვილზე) და ორი ძმა – სამსონი და გიორგი, ორივემ უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღო, ძმები ბაქოში ცხოვრობდნენ. *(ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი, N824, ი. მაისურაძე, „ გენიალური პოეტის შთაგონებით").*

როზა მეფისაშვილმა პირველდაწყებითი განათლება ახალციხეში – რაბათის ქალთა უფასო სკოლაში მიიღო. როგორც მოძიებული მასალიდან ირკვევა, XIX საუკუნის 90-იან წლებში მან თავისი უნიკალური ნამუშევრები შექმნა: „თამარ მეფე", „სამეფო კარი", „შოთა რუსთაველი". 1895 წელს გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა: ***„ქუთაისში, ფრანგების ქუჩაზე, ფალიაშვილების სახლში, ცხოვრობს ერთი ქართველი მანდილოსანი – როზა მეფისაშვილი, რომელმაც ამოქარგა ქსოვილზე და მხატვრულად გადაიტანა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტაცია ზიჩის ნახატის მიხედვით – „შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს" მიართმევს თამარ მეფეს"*** *(გაზ. „ივერია", N54, გვ.3.).* Ეს ნამუშევარი შავ ხავერდზეა ნაკერი. სურათზე თვრამეტი პერსონაჟი ამოქარგა (ზიჩის სურათზე ცამეტი პერსონაჟია). თითოეულ მათგანს იმდროინდელი ტანისამოსი აცვია, სახე და ხელები ყველას ქსოვილისგან აქვს შეკერილი, თვალ-წარბიც ძაფით აქვს ამოკერილი.

ილია მაისურაძის ცნობით: *„როზალიას ორი ნაწარმოები დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. ამათგან ერთია ზიჩის ნახატიდან გადმოღებული კომპოზიცია: „შოთა რუსთაველი მიართმევს თამარ მეფეს თავის პოემას"... წარწერიდან ჩანს, რომ ეს მაღალი მხატვრული ნაწარმოები 1894 წელს არის დასრულებული, მაგრამ, როგორც ირკვევა, ის ერთადერთი ნამუშევარი არ უნდა იყოს ოსტატისა"* *(ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი, N824).* სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება 1894 წელს გადაღებული ფოტოსურათი – როზა მეფისაშვილი თავის სურათთან ერთად. აქვეა დედამისიც. ილია მაისურაძე სამართლიანად დაასკვნის, რომ ხელოვანს ეს სურათი ორჯერ აქვს შესრულებული – 1894 და 1896 წლებში, კერძოდ, ახალციხის მუზეუმში ინახება 1894 წელს შესრულებული ნამუშევარი და თბილისში – 1896 წელს შესრულებული *(ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი, N824).*

როზა მეფისაშვილის შესახებ ასევე საინტერესო ცნობებია დაცული **ანა გრიგოლის ასულ დიდიმამიშვილის** მოგონებაში: *„ქუთაისში ყოფნისას მოუწყვიათ გამოფენა. ამ გამოფენაზე მოუთავსებიათ როზა მეფისაშვილის მიერ შეკერილი სურათი: თამარ მეფეს როდესაც მიართმევს შოთა რუსთაველი თავის სურათს „ვეფხისტყაოსანს", იქ მყოფნი ყველა განცვიფრებაში მოსულა, თუ ვინ შეკერა ასეთი რამეო. ჩვენი უკვდავი მწერალი აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავიც ესწრებოდნენ ამ გამოფენას. და, აი, აკაკი წერეთელს მხარზე ხელის დადებით (ერთ მხარეს აკაკი იყო და მეორე მხარეს რაფაელი) წარმოუთქვამს სიტყვა: აი, ქართველი – მესხი ქალი, რომელმაც შეკრა ასეთი ძვირფასი ქმნილება. იმ დროს, როდესაც მან მხატვრობა სრულებით არ იცოდა და თავისი ნიჭით დაგვიხატა ასეთი სურათიო"* *(ს.ჯ.ი.მ. დამხმარე ფონდი, N 116).* მოხსენიებული გამოფენა ქუთაისში გაიმართა, 1898 წელს.

როზა მეფისაშვილის მეორე ნამუშევარი იყო თამარის სურათი: *„თამარ მეფის ცნობილი ფერადი პორტრეტის მიხედვით არის ამოქარგული. იმავე წესით და მხატვრული საშუალებით. თარიღი სურათზე ასოებით არის აღნიშნული: წელსა ჩუჟე"* ***(1895წ.)*** *შემსრულებლის ვინაობა კი ასე იკითხება: ხელოვანი როზა ივანეს ასული მეფისაშვილი".* ამ სურათის ზემოთ, მარჯვენა კუთხეში, წვრილი, ფერადი მძივებით ამოქარგულია წარწერა – ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში":

*„მოხედე ბედკრულს შენს*
*სატრფო მამულს*
*და ჯვარით შენით აკურთხე*
*კვალად.*
*შენი ივერი აღსდგეს ძლიერი*
*და დადგეს*
*ერად სხვა ერთა შორის. წმინდა*
*სალდარით, ენით მდიდარი,*
*სწავლისა შუქით განათებული".*

როზა მეფისაშვილის ამ სურათთან დაკავშირებით ანა დიდიმამიშვილი გადმოგვცემს: *„როდესაც მეფის შვილი* ***(ნამესტნიკი)*** *მიემგზავრებოდა აბასთუმანში, ახალციხეზე გავლით, თამარ მეფის სურათი მიურთმევიათ მისთვის. მეფის შვილს საჩუქრად მიუცია სამი ოქრო და უთქვამს, ეჩვენებინათ მისთვის ის ქალი, რომელმაც შეკერა ასეთი საუცხოვო რამე. რადგანაც როზა მამიდა იყო ძალიან ლამაზი ქალიშვილი, იგი არ გამოჩენილა – უთქვამს: ასე გადაეცით, რომ ამჟამად აქ არ იმყოფებაო"* *(ს.ჯ.ი.მ. დამხმარე ფონდი, N 116).* ანა დიდიმამიშვილის მიერ მოხსენიებული მეფის შვილი იყო რუსეთის მეფის ძმა, ტუბერკულოზით დაავადებული გიორგი. მან საჩუქრად მიღებული სურათი აბასთუმანში თავის სასახლეში მოათავსა. 1918-1920, წლებში სამოქალაქო ომის დროს, მაჰმადიანთა ბანდებმა დაარბიეს აბასთუმანი და გადაწვეს გიორგის სასახლე. სასახლის ბაღში მომუშავე აგრონომმა კი გადაარჩინა სურათი და მეფისაშვილებს დაუბრუნა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როზა მეფისაშვილის სურათები **აკაკი წერეთელმა** წარადგინა საფრანგეთში გამართულ მსოფლიო საერთაშორისო გამოფენაზე – 1909 წელს (იმ პერიოდში აკაკი ევროპაში სპეციალურად გაემგზავრა სამკურნალოდ). აღნიშნულ გამოფენაზე სურათებმა ოქროს მედალი დაიმსახურეს და, ამასთანავე, ევროპის მრავალმა მუზეუმმა და კოლექციონერმა სოლიდურ ფასებში მოინდომა მათი შესყიდვა. აკაკი წერეთელმა არ დატოვა ეს ეროვნული საუნჯე და ჩამოიტანა სამშობლოში *(თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები", თბ. 1948, გვ.36).*

ამჟამინდელი მდგომარეობით, როზა მეფისაშვილის ზემოთ მოხსენიებული ორივე სურათი ინახება სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში – საგამოფენო დარბაზებში. ეს სურათები 1937 წელს, როზა მეფისაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ – სამსონმა, გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შოთა რუსთაველის კაბინეტისათვის, რომლებიც ქალაქ ახალციხის მუზეუმს გადაეცა დაფუძნებისთანავე. რაც შეეხება შოთა რუსთაველის პორტრეტს, რომელიც თამარის სურათის სტილში ჰქონდა დამზადებული, თბილისშივე დაიკარგა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს სურათები შეუფასებელია, როგორც ხელოვნების ნიმუშები.

როზა მეფისაშვილი ცხოვრობდა ქალაქ ახალციხეში **ფანია ალელიშვილთან** – დედებოვის ქალთან. ის არ გათხოვილა. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თავის ხელსაქმეს ასწავლიდა გოგონებს. ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა სოფელ უდეში, დის – აღათია ალოშაშვილის ოჯახში 1937 წელს. დაკრძალულია სოფელ ივლიტის ეკლესიის ეზოში.

როზა მეფისაშვილმა, რაბათის ქალთა სკოლის ერთ-ერთმა წარმატებულმა კურსდამთავრებულმა, შექმნა მრავალი უნიკალური ნამუშევარი. მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა გამოფენებში და თავისი ნიჭიერებით წარმოაჩინა საქართველო, – პროპაგანდა გაუწია ქართულ კულტურას და მოკრძალებული წვლილი შეიტანა ეროვნული საუნჯის შექმნასა და გამდიდრებაში, ხოლო პედაგოგიური მოღვაწეობით – ქართულ ხელოვნებას მრავალი ქომაგი და დამცველი აღუზარდა.

**ნატო ყრუაშვილი**

გაზეთის დღევანდელი ნომერი იბეჭდება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი როსტომ მაგრაქველიძე) შეკვეთით

# მანფაიმიდან — საარბრიუკენში



შ.სუდაძე

საქართველოს ისტორია სავსეა მძიმე და ტკივილიანი დღეებით, რომელთა შორის ერთ-ერთი და გამორჩეული 1989 წლის 9 აპრილია, როგორც შინაარსით, ისე მსხვერპლთა რაოდენობით. ამ დიდი ტრაგედიის შემდეგ დაზარალებულთა დიდი ნაწილი საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში განთავსდა, ნაწილი კი საზღვარგარეთ გაიგზავნა სამკურნალოდ და დასასვენებლად. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1989 წლის 9 აპრილის მოწამვლით, დაზარალებულები, სამკურნალოდ გერმანიაშიც გაგზავნეს. კერძოდ, ქ. საარბრიუკენის საავადმყოფოში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაშინ, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ემიგრაციაში მყოფი, ახალციხელი **ვახტანგ სუდაძე** მოგვითხრობს: „პარასკევ საღამოს ჩემმა ქალიშვილმა მოისმინა საარლანდის პრეზიდენტის – ოსკარ ლაფონტეიმის განცხადება, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოდან 9 აპრილს დაზარალებულმა ავადმყოფებმა წარმატებით გაიარეს სამთვიანი მკურნალობის კურსი და ორშაბათს უკან ბრუნდებიან, საქართველოში.

თამარმა ეს რომ შემატყობინა, მე ძალიან შევწუხდი, რადგან საქართველოდან ავადმყოფები იყვნენ ჩამოსულნი საარბრიუკენში და დღემდე ვერ გავიგე. ამდენად, ჩემს ხელში მხოლოდ შაბათი და კვირა დღე იყო...

ამ საკითხის მოსაგვარებლად, შაბათ დილით, ჩავედი მანფაიმში მუსტაფა ბოლქვაძესთან. ამ ამბით მუსტაფაც ძალიან შეწუხდა. ამის შემდეგ, მანფაიმში მცხოვრები ქართველებიდან 1000 მარკა შევკრიბეთ. ვიყიდეთ რამდენიმე ყუთი ხილი და სასმელ-საჭმელი. ამ საქმის გახმაურებით შემოგვიერთდა რამდენიმე ქართველის და ლაზის ოჯახი და მუსტაფას ავტობუსით ყველა ერთად გავემგზავრეთ საარის მხარეს, ქალაქ ჰომბურგში, ავადმყოფების სანახავად.

ავადმყოფები ქ. ჰომბურგში არ დაგვხვდნენ, როგორც იქ გვითხრეს, ისინი ქ.ჰომბურგიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით, საკურორტო საავადმყოფოში გადაუყვანიათ, რომელიც სოფელ სტვენდელში მდებარეობდა. სწორედ ამ სოფლის პარკში შევხვდით ავადმყოფებს. დიდ გაოცებასთან ერთად ჩვენთან შეხვედრაც ძალიან გაეხარდათ.

კარგა ხანს ვისაუბრეთ. საღამო პირს საავადმყოფოს დირექტორმა „ზალა“ დაგვითმო. მე სიტყვით გამოვედი. ავადმყოფებს გავაცანი თურქეთელი ქართველები და ლაზები. ჩემი საუბრის შემდეგ მუსტაფას მივმართე: – აბა, შენ იცი, თავი გამოიჩინე. მუსტაფამ ჩამოუარა მათ, დაურიგა საჩუქრად წაღებული ფული, ხილი, შემდეგ ურთიერთშორის გაიმართა საუბარი. სიტყვით გამოვიდა ჟურნალისტი ნანა დგებუაძე, მას შემდეგ ვრცლად ისაუბრა ია ... (გვარი ვერ გაიხსენა ).

ბოლოს სიტყვით გამოვიდა მუსტაფა და დიდხანს ისაუბრა... მისმა გამოსვლამ ავადმყოფები გაახარა და იგი ტაშით დააჯილდოვეს... იმ დღიდან მუსტაფას დავითი უწოდეს... ამ სახელს მუსტაფა დიდი პატივისცემით დაეპატრონა და ახლაც, ჩვენ დავით ბოლქვაძეს ვეძახით.

ამის შემდეგ გაიმართა სიმღერები და ცეკვა - თამაში. დაზარალებულებს თითქოს დაავიწყდათ თავიანთი ავადმყოფობა. ეს ლხინი დიდხანს გაგრძელდა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ მათ და ღამის 12 საათზე გამოვემგზავრეთ მანფაიმისაკენ.

იმ საღამოს მე ჩვენ „ახალ დავითთან“ დავრჩი, სტუმრად.

გათენებისას, 7 საათი იქნებოდა, დავითი მაღვიძებს: – ადექი, ვახტანგი ბიძია, ჩაი დავლიოთ და ავადმყოფებთან წავიდეთ.

– ბიჭო, ჩვენ მათ უკვე გამოვემშვიდობეთ.

– არა, ბიძია, მაშინ ბნელოდა და კარგათ ვერ გამოვემშვიდობეთო.

დავითის მეუღლეს უკვე მოემზადებინა ხილი და სანოვაგე. დილის 8 სთ - ზე, განმეორებით გავემგზავრეთ ჩვენს ახალ ნაცნობებთან შესახვედრად.

მათ, ჩვენთან ხელმეორედ შეხვედრა, ძალიან გაუკვირდათ და გაუხარდათ კიდეც. თითქოს დიდი ხანი გასულიყო, რაც ერთმანეთი არ გვენახა.

კვლავ გაიმართა ლხინი, ლექსების თქმა და ცეკვა - თამაში. დავითს ჩააცვეს ჩოხა - ახალუხი, შემოარტყეს ქამარ - ხანჯალი და უთხრეს – ახლა ნამდვილი დავითი ბრძანდებითო.

მეორედ შეხვედრისას, დავითის ვაჟს – გიორგის თან წამოღებული ჰქონდა ვიდეო აპარატი და, ეს ჩვენი შეხვედრა, მთლიანად გადაიღო. კვლავ შეხვედრით გამოწვეული სიხარული უსაზღვრო იყო, მაგრამ ავადმყოფები 4 საათისათვის დაპატიჟებული იყვნენ გერმანელთა ოჯახებში და ჩვენც დავაჩქარეთ გამომშვიდობება და ჯანმრთელად დაბრუნება ვუსურვეთ დედასამშობლოში – მზიურ საქართველოში. სევდიანი თვალებით დავშორდით ერთმანეთს და უკან დავბრუნდით. ამ დროს დავითმა იხუმრა:

– აი, ვახტანგი ბიძია, ჩვენ, ქართველ მეგობრებს, მზის შუქზე უკეთესად გამოვემშვიდობეთ... გულჩათხრობილი, გაჩუმებული ვიყავი და თითქოს ჩემს გულში ვიმეორებდი – მადლობა ღმერთს, ჩემს თავგანწირულ შრომას თურქეთელ ქართველებთან ტყუილად არ ჩაუვლია...

პატივცემულო მუზეუმის დირექტორო და მსმენელებო, თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, მოგაწოდებთ ავადმყოფების გვარ - სახელს და ტელეფონის ნომრებს: ნანა დგებუაძე – 25 -06-13; მარიკა ჟღენტი – 35-34-66; გულიკო ნუცუბიძე – 34-36-32; ირინა ჯაფარიძე – 22-10-51; ია ლამბაშიძე – 99-66-33; ნინო ონიანი (ტელეფონი არ აქვს); დათო ბაქრაძე – 66-01-33; ზვიად ქასრაშვილი – 26-61; ირინა ჯაფარიძე-22-10-51; იოსებ ბერუკაშვილი – 68-36-84; გიორგი კეკელია და ბონდო ბანძელაძე“ (სტილი დაცულია).



ა.მელაშვილი

**ახმედ მელაშვილის ნათქვამი წურსაში**

ქართველი ჭირსაც შებმია,
გემოც იგემა ობლობის,
მაგრამ მას არ უძებნია
სამშობლო სხვა სამშობლოში.
*1978 წ*

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძვირფასი გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ საქართველოს უმრავლეს ქალაქს, დაბასა და სოფელს მიეწოდება და, აქედან გამომდინარე, თუ აქ ჩამოთვლილი მოქალაქეებიდან ვინმე მაინც გამოგვეხმაურება და თავის შთაბეჭდილებებს მოგვაწოდებს, ამით ძალიან დიდ სამსახურს გაგვიწევენ როგორც მუზეუმის, ისე ზემოთ დასახელებული გაზეთის რედაქციის თანამშრომლებს.

დიახ, ბატონო ვახტანგ, თქვენმა და დიდი აჰმედ მელაშვილის თავგანწირულმა საქმიანობამ ბევრი რამ შეცვალა თურქეთელი – მუჰაჯირი ქართველების როგორც ცნობიერებაში, ისე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაშიც. ყოველივე ამით თქვენ, ცოცხალი ხიდი აუგეთ მათ, რომლის საშუალებითაც ისინი თავიანთი წარსულის ჭეშმარიტ ფესვებს შეეხმიანენ, გაეცვნენ მის მტკივნეულ წარსულსა და დღევანდელობას, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაუცხოველდათ საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიყვარული და მონახულების სურვილი...

და, ბოლოს: სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ორმა ქართველმა, რომელთაც სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, იცხოვრეს საქართველოდან შორს: – ერთმა თურქეთში, ხოლო მეორემ – გერმანიაში, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს, როგორც ვხედავთ, საქართველოზე ფიქრი სიცოცხლის ბოლომდე თან გაჰყვათ... აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჰმედ მელაშვილმა და ვახტანგ სუდაძემ სამაგალითოდ შეასრულეს თავიანთი მისია და ამით საკუთარი სახელები უკვდავყვეს და შთამომავლობას დაუტოვეს გზავნილი – რათა მტრის მიერ დასერილ საქართველოში არ დავკარგოთ მამული, ენა, სარწმუნოება და, არც ის დავივიწყოთ, რომ საქართველოს მიწაში ჩვენი წინაპრების ძვლები განისვენებენ.

*ციური ლაფაჩი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის რეგიონული მუზეუმის მმართველი*

**რედაქტორის მინაწერი:**

***არასოდეს დამავიწყდება 1999 წლის 11 სექტემბერი. საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობაზე ვარ, რომელსაც ესწრება უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, აწ განსვენებული გია არსენიშვილი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები... სამცხე-ჯავახეთის მწერალთა დელეგაციაშია ახალციხელი დრამატურგი შალვა სუდაძე, – ვახტანგ სუდაძის შვილი. ბედის უკუღმართობით, იგი გვიან დაუკავშირდა გერმანიაში, ემიგრაციაში მყოფ მამას და მამა-შვილური ურთიერთობა მხოლოდ მას შემდეგ აღდგა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. შესვენების დროს ბატონი შალვა მიუახლოვდა ფოიეში მყოფ ბატონ გია არსენიშვილს და შინაურულად გაუბა საუბარი. ვერ წარმოვიდგენდი თუ იგი მას ასე ახლოს იცნობდა. მათ გვერდით ვიდექი და გაოცებას ვერ ვმალავდი, თუ როგორ ეფერებოდა პრემიერი ბატონ შალვას და მთელი გულით, პატივისცემის ნიშნად, უთხრა: – ჩემო შალვა, ჩვენ, გერმანიაში მყოფი ქართველები (ბატონმა გიამ გერმანიის მკვლევართა საზოგადოების მიწვევით სამეცნიერო სტაჟირება გაიარა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში და მოგვიანებით სალექციო კურსსაც კითხულობდა გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში), ემიგრანტი იქნებოდა თუ ნებისმიერი იქ დასაქმებული ქართველი, განსაკუთრებით დავალებულები ვართ მამათქვენისაგან, რომელიც ყველას მიმართ მამა-შვილურ დამოკიდებულებას იჩენდა და მისი წყალობით ბევრი მათგანი პრობლემებისა და ეკონომიური სიდუხჭირისაგან გადაარჩინა, მათ შორის მეც არაერთხელ მიგვრძნია მისგან თანადგომა და მრავალი ქართველისაგანაც მომისმენია ვახტანგ სუდაძის მიმართ უდიდესი მადლიერებით გამოხატული სიტყვები. და მე სიკვდილამდე დავალებული მამათქვენისაგან, თავს ვალდებულად ვთვლი, მის შვილს ყოველთვის დავუდგე გვერდში და თან დაამატა – ჩემო შალვა, ჩემი სახლისა თუ სამსახურის კარი შენთვის მუდამ ღიაა, ნუ მოგერიდება, ყველაფერზე შემაწუხეო.***

***ბატონმა გიამ ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა ვახტანგ სუდაძის ქველმოქმედებაზე, მის მოღვაწეობასა თუ იმ დიდ ქართულ, ეროვნულ საქმიანობაზე, რასაც იგი აკეთებდა უცხო მიწაზე, ასევე, თუ როგორი რუდუნებით მხარში ედგა თურქეთიდან გერმანიაში გადასულ ქართველებს.***

***მათი საუბრის შემდეგ ბატონი გია არსენიშვილის სიტყვებში ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანის სახე დავინახე, რომელიც ვახტანგ სუდაძისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად იქნა ნათქვამი.***

## გლეხური ლექსები

*(ვეფხისტყაოსნიდგან გადაკეთებული ხალხის მიერ, გაგონილი და ჩაწერილი სოფ.ხიზაბავრაში (ჯავახეთი) იაკობ ლაზარაშვილის მიერ).*

– ტარიელ, დამთმე გულითა,
ქვისაგან უმაგრესითა;
მე შენ კვდარს განახავ, დავიწვი
როგორც აბედი კვესითა.
*
ერთხელ ქაჯეთს მეც ვყოფილვარ,
თქვენც რომ ნახოთ, გეზარნებათ:
ოთხი კუთხით სალი კლდეა,
მგზავრი არსით გაივლება!..
რას ღირს ხარ, ქაჯის ხემწიფევ,
ამ ჩემსა დედოფლობისა!..
თუ ტარიელმა შეგიტყო,
მოგიშლის ქორწილობასა;
*
დილას ადრე მოიყვანეს
ის ლამაზი ქალი მწყრალი,
არცა სვა და არცა ჭამა,
არც არავის გასცა ხმანი!..
ან ხო იყო ანგელოზი,
ზეციდანა ჩამოსული;
ან ხო იყო ტრედის მსგავსი,
ინდოეთიდგან მოსული.
ან ჰყავდა სადმე მიჯნური,
იმაზე გულგაბასრული!..

***გაზეთი „ივერია“, 1887 წელი, N215***

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.meskheti@gmail.com lit–meskheti@yahoo.com